# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

21 ივნისი **ორშაბათი** 2010

№ 143 (13 131) ფასი 60 თეთრი



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა





F ჯგუფი

**ბრაზილია და ჰოლანდია 1/8 ფინალში**

# ტახტი შეირყა



G ჯგუფი

## ფეხბურთს ხელი შეაჩვიეს

**ფაბიანომ აღიარა, მაგრამ...**

» გვერდი 2




» გვერდი 2

ახალზელანდიელებმა ანგარიში გახსნეს

## ჯანყი დომენეკის წინააღმდეგ



ევრა ფიზმომზადების მწვრთნელზე იწევს



ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსანი ნაკრების ბაზას ტოვებს



ფეხბურთელებმა ვარჯიში შეწყვიტეს და სასტუმროში ბრუნდებიან



ანელკამ დომენეკს აგინა და შინ გაემგზავრა



ფეხბურთელებმა დემარშზე მოილაპარაკეს



დომენეკი კაპიტან ევრას აფრთხილებს...



...და დარჩა მარტო ვით მეფე ლირი...

» გვერდი 9

**დღევანდელი ლელო 20-გვერდიანია**

G ჯგუფი



# პენტაკამპეონე მერვედფინალში

20 ივნისი. იოჰანესბურგი. სოკერ სიტი. 84 455 მაყურებელი

**ბრაზილია–კოტ დ'ივუარი 3:1**

**ბრაზილია (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, ლუსიო, ჟუანი, ბაშტოში - ელანო (67. დ. ალვეში), ჟილბერტო სილვა, ფ. მელო - კაკა - რობინიო (93. რამირესი), ლ. ფაბიანო.

**კოტ დ'ივუარი (4-3-2-1):** ბარი - დემელი, კ. ტურე, ზოკორა, ტიენე - ებუე (72. რომარიკი), ი. ტურე, ტიოტე - დინდანე (54. ჟერვინიო), კალუ (68. კეიტა) - დროგბა.

**გოლები:** 1:0 ლუიშ ფაბიანო (25), 2:0 ლუიშ ფაბიანო (50), 3:0 ელანო (62), 3:1 დროგბა (79)

**გაფრთხილება:** ტიენე (31), კეიტა (75), კაკა (85), ტიოტე (86)

**გაძევება:** კაკა (90)

**მატჩი დაიწყო:** კოტ დ'ივუარი; **დარტყმა:** 12-10 (6-4); **ჯარიმა:** 17-23; **კუთხური:** 4-3; **გაფრთხილება:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**არბიტრი:** სტეფან ლანუა (საფრანგეთი)

**საინტერესო მომენტები**

1' - **რობინიომ** კინაღამ პირველივე წუთზე გახსნა ანგარიში, სწრაფი კონტრშეტევა მან თავადვე დაასრულა, თუმცა შორი მანძილიდან გადააცილა ბურთი აფრიკელთა კარს.

20' - **ელანომ** კუთხური ჩააწოდა, საჯარიმოში ბურთი **ჟილბერტო სილვამ** მიიღო, მაგრამ მისი დარტყმული კოლო ტურეს მოხვდა.

25' - 1:0, შეტევა **კაკამ** წამოიწყო, ის გაცდა მეურვეს, რომელმაც უხეიროდ ითამაშა და საჯარიმოს მარჯვენა კუთხეში ბურთი **ლუიშ ფაბიანოს** გადააწოდა, რომელმაც აუღებლად დაურტყა მეკარეს.

50' - 2:0, ლუიშ ფაბიანომ შორეული ჩაწოდება მიიღო, მან ჯერ ერთ მცველს გადაუგდო ბურთი თავზე, შემდეგ - მეორეს და ძლიერი დარტყმით მეკარისგან მარცხენა კუთხეში გაიტანა.

55' - **დინდანეს** ჩაწოდება, **დროგბამ** ააცილა თავით ახლო მანძილიდან.

62' - კაკას დარტყმული მეკარე **ბარიმ** მოიგერია.

62' - 3:0, ისევ რობინიოს დაწყებული კომბინაცია, მარცხენა ფლანგზე კაკამ გაილაღა, მის ჩაწოდებულს კი ფეხი ელანომ დაუხვედრა.

79' - 3:1, **ჟერვინიომ** თითქმის მთელი მოედანი გაირბინა ბურთით, შემდეგ ცენტრში ჩააწოდა, სადაც იაია ტურემ ბრწყინვალე პასით ბრაზილიელთა ორი ცენტრალური მცველი უფუნქციოდ დატოვა, დროგბამ კი ბურთს თავი დაუხვედრა.

88' - კაკამ მეტოქისთვის განზრახ იდაყვის ჩარტყმისთვის მეორე ყვითელი ბარათი მიიღო.

89' - **ტიოტეს** სახიფათო დარტყმული ჟულიო სეზარმა კუთხურზე მოიგერია.

ბრაზილიის ნაკრებმა გაცილებით უკეთ ითამაშა, ვიდრე ჩრდილოეთკორეელებთან მატჩში და მეორე გუნდი გახდა მუნდიალზე, რომელმაც მერვედფინალის საგზური მოიპოვა - „სელესაომ" მოუგო ნაკრებს, რომელმაც ყველას გაუცრუა იმედები, კოტ დ'ივუარის ნაკრები ერთი უხეში გუნდია, რომელიც ულამაზო ფეხბურთს თამაშობს, რომლის ფეხბურთელებს ხშირად ერთმანეთისა არ ესმით. მოკლედ, აფრიკული ფეხბურთის სრული კრახი სახეზეა. მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა შეხვედრა 10 კაცით დაასრულა, **კაკამ**, რომელმაც, როგორც იქნა, კარგად ითამაშა, ბოლოს სამი წუთის ინტერვალით მიიღო ორი ყვითელი ბარათი და ახლა ის პორტუგალიის ნაკრებთან თამაშს გამოტოვებს. პორტუგალიასთან, ალბათ, არც **ელანო** იქნება, რომელიც აფრიკელთა უხეშობის მთავარი მსხვერპლი გახდა...

თამაში ჯერ წვალებას ჰგავდა. ბრაზილიის ნაკრებს ორი გმირი ჰყავდა, ერთი ნაღდი, მეორე კი ყალბი, რეალურად შეტევები **მაიკონის** საშუალებით და მის იმედად ვითარდებოდა, ხოლო **რობინიო** თავისთვის ჟონგლიორობდა.

თამაშის მეორე ეტაპი მას შემდეგ დადგა, რაც **ლუიშ ფაბიანომ** ახლო მანძილიდან ყუმბარისებური დარტყმით ანგარიში გახსნა, ამის შემდეგ მართლაც გაილაღა ბრაზილიის ნაკრებმა და კარგი ფეხბურთი გვიჩვენა, სამაგიეროდ, ისიც კარგად გამოჩნდა, რისი მაქნისია კოტ დ'ივუარის ნაკრები - ანუ ბევრი არაფრის.

თამაშის ხასიათი კიდევ ერთხელ შეიცვალა, როცა ელანომ მესამე გოლი გაიტანა ბარის კარში, ეტყობა ამან აფრიკელთა თავმოყვარეობაზე იმოქმედა და... ისინი მეტოქეთა „ჩეხვაზე" გადავიდნენ. სიტუაციაში მთლად კარგად ვერც ფრანგი მსაჯი არბიტრი გაერკვა, რომელსაც აშკარად მართებდა უფრო მკაცრად განსჯა, რამაც გამოიწვია კიდეც ინციდენტი კაკას მონაწილეობით, როცა კაკამ **კეიტას** იდაყვი მკერდში მოსცხო, აფრიკელმა კი სახეზე ხელი იტაცა და ისე გააფორმა ყველაფერი, სანამ მსაჯი „რეალის" ვარსკვლავს მეორე ყვითელ ბარათს უჩვენებდა, გუნდებმა რამდენიმე წამით ჩხუბიც კი მოასწრეს (პირველი ჯგუფური ჩხუბი ამ მუნდიალზე).

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ლუიშ ფაბიანო

**ჩვენი და ფიფას გემოვნება ამჯერად დაემთხვა ერთმანეთს, თუმცა ცოდვა გამხელილი სჯობს და 88-ე წუთამდე კაკას დასახელებას ვაპირებდით, „რეალის" შემტევმა ნახევარმცველმა, როგორც იქნა, კარგი თამაში გვაჩვენა, რაც ორ საგოლე პასშიც აისახა, მაგრამ ბოლოს გმირი ლამის ანტიგმირად იქცა - ასე რომ, მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი „სევილიას" ფორვარდი ლუიშ ფაბიანოა, რომელმაც დუბლი შეასრულა. ორივე დარტყმა ბრწყინვალე იყო, მეორე გოლის შემთხვევაში კი მთელი ეპიზოდი ულამაზესი, მაგრამ... წესით, ეს გოლი არ უნდა ჩათვლილიყო, ხოლო ფაბიანოს ყვითელი ბარათი უნდა მიეღო, მან ორჯერ ჩამოილო ბურთი ხელით და არა მკერდით.**

**მატჩის შემდეგ**

ლუიშ ფაბიანო (ბრაზილია): **„ბოლო დროს ძალიან ბევრს ვმუშაობდი, მაგრამ გოლები არა და არ ჩანდა. ახლა კი თავისუფლად ამოვისუნთქე. ბურთმა ჩემი ხელი მოძებნა და არა პირიქით, ამიტომაც მჯერა, რომ გოლი წესების სრული დაცვით ჩათვალეს. ახლა კიდევ უფრო მეტს გავირჯები, რომ მუნდიალზე კვლავ გავიტანო გოლები".**

დუნგა (ბრაზილიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„უსამართლო გადაწყვეტილება მიიღეს მსაჯებმა კაკასთან მიმართებაში. მას ეუხეშნენ და კაკა აქეთ დასაჯეს. ველარ გავიგე, როგორ ითამაშონ ჩემმა ფეხბურთელებმა, რომ მსაჯებისგან უსაფუძვლო გაფრთხილებები არ მიიღონ".**

სვენ გორან ერიქსონი (კოტ დ'ივუარის ნაკრების მთავარი მწვრთნელი): **„პირველი გოლი ლუიშ ფაბიანომ მართლაც კარგად გაგვიტანა, აი, მეორე კი... მიკვირს, როგორ ვერ დაინახა მსაჯმა ხელით თამაში, თან ეს ხომ ორჯერ მოხდა. წარმოიდგინეთ, ლუიშ ფაბიანო ისედაც ძლიერია საჰაერო ორთაბრძოლებში და რა ძნელია მისი შეჩერება, როცა ხელით თამაშის უფლებასაც აძლევ".**

**სახალისო სტატისტიკა**

**ლუიშ ფაბიანო:** კარში 2 დარტყმა და 2 გოლი; მის წინააღმდეგ 3-ჯერ დაჯარიმდნენ; 2 სოლოგარღვევა; 22-დან 15 ზუსტი პასი; გაირბინა 8 843 მეტრი.

**ყველაზე მეტი პასი:** ფელიპე მელო (69)

**ყველაზე მეტი ზუსტი პასი:** ფელიპე მელო (60)

**ყველაზე მეტი ჩაწოდება:** ელანო (5)

**ყველაზე მეტი გაირბინა:** ჟილბერტო სილვა (11 054 მ)

**ყველაზე სწრაფი:** ფელიპე მელო (30,75 კმ/სთ)

დაბოლოს, მუნდიალზე უკვე გასულია 57 გოლი. ყველაზე მეტჯერ, 8-8 ჯერ თავი ესპანური პრიმერას და ინგლისური პრემიერლიგის წარმომადგენლებმა გამოიჩინეს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

F ჯგუფი

# იტალიამ საქმე გაირთულა

20 ივნისი. ნელსპრუიტი. მბომბელა. 38 229 მაყურებელი

**იტალია–ახ. ზელან. 1:1**

**იტალია:** მარკეტი - ძამბროტა, კანავარო, კიელინი, კრიშიტო - დე როსი, მონტოლივო, პეპე (46. კამორანეზი), მარკიზიო (60. პაცინი) - იაკუინტა, ჯილარდინო (46. დი ნატალე).

**ახ. ზელანდია:** პასტონი - რეიდი, ნელსენი, სმიტი, ელიოტი - კილენი (90. ბაროონი), ვისელიჩი (81. კრისიე), ლოხედი, ბერტოსი - შმელცი, ფალონი (62. ვუდი).

**გოლები:** 0:1 შმელცი (7), 1:1 იაკუინტა (29)

**გაფრთხილება:** ფალონი (15), სმიტი (28), ნელსენი (87)

**მატჩი დაიწყო:** ახალი ზელანდია; **დარტყმა:** 18(7)-3(1); **ჯარიმა:** 12-20; **კუთხური:** 15-0; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**არბიტრი:** კარლოს ბატრესი (გვატემალა)

**საინტერესო მომენტები**

7' - სტანდარტული სიტუაციიდან ზელანდიელებმა ბურთი იტალიელთა საჯარიმოში ჩაკიდეს, სადაც **ფაბიო კანავარო** შეცდა და **შმელცს** ახლო მანძილიდან კარის დალაშქვრის საშუალება მისცა - 0:1.

17' - იტალიელებმა კუთხური მეკარისაგან შორეულ ძელთან ჩააწოდეს, სადაც **ჯორჯო კიელინი** დაუხვდა ბურთს, თუმცა ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა.

25' - **ჯანლუკა ძამბროტამ** მარჯვენა ფრთიდან ცენტრში შეირბინა და დაარტყა კიდეც, ბურთი მცირე მანძილით ასცდა ზელანდიელთა კარის ცხრიანს.

27' - **რიკარდო მონტოლივომ** დაახლოებით 30 მეტრიდან გაისროლა და ბურთი კარის ძელს გაარტყა.

29' - იტალიელებმა რბილად ჩააგდეს ბურთი ზელანდიელთა საჯარიმოში, სადაც **სმიტი** შეცდა, **დე როსი** დაიჭირა მაისურზე და მატჩის არბიტრს თერთმეტმეტრიანის დანიშვნის საფუძველი მისცა. **ვინჩენცო იაკუინტამ** მეკარისაგან მარცხენა კუთხე დალაშქრა - 1:1.

45' - **სიმონე პეპემ** კარგად მოძებნა დანიელე დე როსი, „რომანისტამ" უძლიერესად დაარტყა, თუმცა მეკარე აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

55' - **ვისელიჩმა** დაარტყა **ფედერიკო მარკეტის** კარის მიმართულებით, თუმცა მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

70' - მონტოლივომ კიდევ ერთხელ გაისროლა შორიდან და კვლავ **პასტონმა** მოახდინა დროული რეაგირება.

83' - შეცვლაზე შესული **ვუდი** გასცდა ფაბიო კანავაროს, დაარტყა კიდეც და სანტიმეტრებით ააცილა ბურთი კარის ჩარჩოს.

87' - ძამბროტა შეიჭრა მეტოქის საჯარიმოში, ერთ ფეხბურთელს კარგად აუარა გვერდი და დაარტყა კიდეც, თუმცა ზელანდიელმა **ნელსენმა** თავგანწირული თამაშით უკუაგდო ბურთი.

90' - **მაურო კამორანეზიმ** დაახლოებით 25 მეტრიდან დაუბათქუნა, პასტონმა ნახტომში მოიგერია ბურთი.

**მარჩელო ლიპიმ** ტაქტიკა შეცვალა და გუნდი 4-4-2-ზე გადააწყო. თუმცა, შემადგენლობა იგივე დააყენა, რაც პარაგვაისთან პაექრობაში. შეტევის წინა ხაზზე **ალბერტო ჯილარდინო** და ვინჩენცო იაკუინტა მოქმედებდნენ, ნახევარდაცვაში კი მარჯვნიდან სიმონე პეპე თამაშობდა, მარცხნიდან **კლაუდიო მარკიზიო**, ცენტრში კი დანიელე დე როსი და რიკარდო მონტოლივო. მეორე ნახევარში, **ანტონიო დი ნატალემ** ჯილარდინო შეცვალა, მაგრამ ბევრი ვერაფრით დაგვამახსოვრა თავი. როდესაც ლიპი მიხვდა, რომ საქმე ცუდად მიდიოდა, მოედანზე **ჯამპაოლო პაცინიც** შეუშვა, თანაც ნახევარმცველი **კლაუდიო მარკიზიო** გამოცვალა და გუნდი 4-3-2-1-ზე გადააწყო. შედეგიდან ჩანს, რომ იტალიას ვერც ამან უშველა.

„აძურამ" დაახლოებით ისე ითამაშა, როგორც პირველ ტურში, პარაგვაის წინააღმდეგ. ბურთს უმეტესად მარჩელო ლიპის გუნდი ფლობდა, მათ შეტევებიც ბლომად განახორციელეს და კარშიც ურტყეს, მაგრამ რაღაც აკლია იტალიას და ეს რაღაც, პირველ რიგში ტემპია. „აძურა" ძალიან ნელა მოქმედებს და მეტოქეს მათი იერიშების მშვიდად წაკითხვის საშუალებას აძლევს. ტყუილს ვერ ვიტყვით, იტალია ცდილობდა კომბინირებას და მხოლოდ სწორხაზოვნად არ აწოდებდა ბურთს მეტოქის საჯარიმოში. მაგრამ კიდევ ერთხელ უნდა ვთქვათ, ეს ყველაფერი იმდენად ნელ ტემპში ხდებოდა, რომ ზელანდიელები მშვიდად უმკლავდებოდნენ იერიშებს. მართალია, იტალიელებმა თვრამეტჯერ დაარტყეს მეტოქის კარის მიმართულებით და თხუთმეტი კუთხური ჩააწოდეს, მაგრამ ფაქტია, რომ რეალური საგოლე ეპიზოდი არ შეუქმნიათ. კი, ბატონო, მონტოლივომ ძელი შეზანზარა, მაგრამ ეს არა გუნდური შეტევის შედეგი, არამედ ერთი კონკრეტული ფეხბურთელის ინდივიდუალური გარჯის ნაყოფი გახდათ.

კიდევ რა აკლია იტალიას? - კრეატიული ფეხბურთელი. რაც არ უნდა იძახოს ლიპიმ, რომ მთავარი ფანტაზისტა **ჯანლუიჯი ბუფონია**, ფაქტია, რომ ასეთი ფეხბურთელის გარეშე „სკუადრა აძურას" ძალიან უჭირს. „თანაც, ბუფონიც დაშავდა და ამ კუთხით კიდევ უფრო დამძიმდა ვითარება. ახალ ზელანდიასთან შეხვედრამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ **ანდრეა პირლო** იტალიას ჰაერივით სჭირდება.

» მე-3 გვერდზე



ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**

გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ, რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა* lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

F ჯგუფი

# იტალიამ საქმე გაირთულა

« მე-2 გვერდიდან

ამბობენ, სლოვაკეთთან პირველივე წუთებიდან ითამაშებსო და ვნახოთ, რამდენად გამართლდება აპენინელ ექიმთა დანაპირები. აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ იტალიის დაცვის ხაზში აშკარად პრობლემებია. განსაკუთრებით ეს ცენტრზე ითქმის, სადაც ფაბიო კანავარო და ჯორჯო კიელინი მოქმედებენ. უფრო ხშირად კაპიტანი სცოდავს, პარაგვაისთანაც მას აუხტა გოლის ავტორი **ანტოლინ ალკარასი** და ზელანდიელებმა მისი შეცდომის შედეგად გახსნეს ანგარიში. მისი ბედი, რომ ახალგაზრდმა **ვუდს** უმტყუნა ბოლო წუთებში მიზანმა, თორემ ფაბიოს აუცილებლად მატჩის ანტიგმირად შევრაცხავდით. განსაკუთრებულად დაბნეულნი იტალიელი მცველები სტანდარტული სიტუაციებისას არიან, რისი ახსნაც ძალიან გვიჭირს.

პრობლემები ნათელია, თითქოს ხელის გულზეა და ლიპის ყველა პირობა აქვს იმისთვის, რომ მათ აღმოფხვრაზე იმუშაოს. ფანტაზისტას ვერ გააჩენს, გასაგებია, მაგრამ იქნებ პირლო ანიოს წინ და ასე გავიდეს ფონს? - რაც შეეხება ტემპს, ეს უბრალოდ უნდა მოითხოვოს და თუ იტალიელებს უფრო სწრაფად სირბილი არ შეუძლიათ, მაშინ ჩაალაგონ ჩემოდნები და სახლში წავიდნენ. ახალ ზელანდიას კი ქებათა ქება, გუნდი უკვე მეორე თამაშია მაქსიმუმს აკეთებს და ორ ქულასაც მოუყარა თავი. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მესამე ტურის წინ, მერვედფინალში გასვლის შანსებს ინარჩუნებენ - ეს უკვე სერიოზული გამარჯვებაა.

შანსებზე ჩამოვარდა საუბარი და ბარემ აღვნიშნოთ, რომ ჯგუფის ლიდერი პარაგვაია. თუ სამხრეთამერიკელებმა ზელანდიელებთან სამი ქულა მოიპოვეს, იტალიელები მხოლოდ მეორე ადგილს თუ დაიკავებენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მერვედფინალში ჰოლანდიელებთან მოუწევთ შეტოქება. თუმცა, ჯერ პლეი ოფში გავიდნენ და ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

### საუკეთესო ფეხბურთელი

დანიელ ნელსენი
(ახ. ზელანდია)

შეხვედრის პირველი ნახევრის შემდეგ საუკეთესო ფეხბურთელად ზელანდიელთა შუახაზელი ბერტოსი მოჩანდა, რომელმაც ძალიან ბევრი ირბინა და გარდა იმისა, რომ დაცვასაც ეხმარებოდა, იტალიელთა უკანახაზელებიც გაანვალა. შემდეგ პასტონის კანდიდატურა გამოიკვეთა, რომელმაც არაერთხელ გადაარჩინა გუნდი გაშვებულ გოლს. თუმცა, ბოლოს მაინც დანიელ ნელსენს მივანიჭეთ უპირატესობა. ცენტრალური მცველი, რომელმაც არ გადავაჭარბებთ თუ ვიტყვით, რომ უამრავი საჰაერო ორთაბრძოლა მოიგო და პოზიციურად უშეცდომოდ ითამაშა. ცალკე აღნიშვნის ღირსია ბოლო წუთებზე მის მიერ ჩადენილი გმირობა, როდესაც საჯარიმოში შეჭრილ და დასარტყმელ პოზიციაზე გასულ ძამბროტას ნახტომში გადაეფარა და ახალ ზელანდიას ქულა შეუნარჩუნა.

### მატჩის შემდეგ

მარჩელო ლიპი (იტალია): „ძალიან საწყენია, რომ ვერ მოვიგეთ, მაგრამ ტრაგედია არ უნდა შევქმნათ. მე მჯერა ჩემი გუნდის და იმ ფეხბურთელების, რომლებიც მუნდიალზე წამოვიყვანე. დარწმუნებული ვარ, რომ თავს ხელში აიყვანენ და შესაძლებლობების მაქსიმუმს წარმოაჩენენ. ყველაფერი ჩვენს ხელშია და სლოვაკეთი აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. გეთანხმებით, ანდრეა პირლო ძალიან გვჭირდება, ის დიდი ფეხბურთელია, მაგრამ 100 პროცენტით ჯერ კიდევ არ ვიცით, ითამაშებს თუ არა ჯგუფური ეტაპის დასკვნით პაექრობაში“.

ლაშა წიკლაური

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარაგვაი | 2 | 1 | 1 | 0 | 3-1 | 4 |
| იტალია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| ახ. ზელანდია | 2 | 0 | 2 | 0 | 2-2 | 2 |
| სლოვაკეთი | 2 | 0 | 1 | 1 | 1-3 | 1 |

### ბოლო ტური

**24 ივნისი**

| | |
|---|---|
| სლოვაკეთი-იტალია | 18:00 |
| პარაგვაი-ახ. ზელანდია | 18:00 |

# პარაგვაის დიდი ნაბიჯი მერვედფინალისკენ

20 ივნისი. ბლუმფონტეინი.
ფრი სტეიტი. 27 000 მაყურებელი

### სლოვაკეთი-პარაგვაი 0:2

**სლოვაკეთი (4-4-1-1):** მუჩა - პეკარიკი, შკრტელი, დურიცა, სალატა (83. სტოხი) - ვეისი, შტრბა, შეშტაკი (70. ჰოლოშკო), შამშიკი - კოზაკი - ვიტეკი.

**პარაგვაი (4-3-2-1):** ვილარი - ბონეტი, ალკარასი, და სილვა, მორელი - ვერა (88. ბარეტო), კასერესი, რივეროსი - სანტა კრუსი, ვალდესი (68. ა. ტორესი) - ბარიოსი (84. კარდოსო).

**გოლები:** 0:1 ვერა (27), 0:2 რივეროსი (86)

**გაფრთხილება:** დურიცა (42), ვერა (45), შეშტკაი (47), ვაისი (84)

**მატჩი დაიწყო:** სლოვაკეთი; **დარტყმა:** 3(1)-10(5); **ჯარიმა:** 17-16; **კუთხური:** 3-1; **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**არბიტრი:** ედი მაილე (სეიშელის კუნძულები)

### საინტერესო მომენტები

2' - **როკე სანტა კრუსმა** დაარტყა საჯარიმოს გარედან, თუმცა სლოვაკთა მეკარემ ბურთი კუთხურზე მიგერია.

20' - **ვალდესის** პასის შემდეგ, **რივეროსმა** დაარტყა საშუალო დისტანციიდან და ბურთს **მუჩა** დაეუფლა.

25' - **ლუკას ბარიოსი** დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა, მეკარისაგან ახლო ცხრიანს დაუმიზნა, მაგრამ მცირედით არაზუსტად დაარტყა.

27' - სლოვაკმა ცენტრალურმა მცველებმა უხეში შეცდომა დაუშვეს, ბარიოსმა საჯარიმოში შეჭრილი **ენრიკე ვერა** დაინახა და შესანიშნავად უპასა, ამ უკანასკნელმა კი ერთი შეხებით გადაგზავნა ბურთი ევროპელთა კარში - 0:1.

70' - სანტა კრუსი შეიჭრა მარცხენა ფრთიდან, და ძალიან კარგად ჩააწოდა, თუმცა ენრიკე ვერას თავური მცირედით არაზუსტი გამოდგა.

75' - შეცვლაზე შესული **ტორესი** ურტყამს შორი მანძილიდან, ბურთი ზემოდან მცირედით გადასცდა სლოვაკთა კარს.

86' - სტანდარტულის შემდეგ, სლოვაკეთის საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, ყველაზე უკეთ სიტუაციაში რივეროსი გაერკვა და უძლიერესი დარტყმით შეხვედრის საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 0:2.

90' - **რობერტ ვიტეკმა** ძლიერად დაარტყა საჯარიმოს მისადგომებიდან და პარაგვაელთა კიპერმა მოიგერია ბურთი.

პარაგვაელებმა უმნიშვნელოვანესი თამაში მოიგეს და დიდი ნაბიჯი გადადგეს მერვედფინალში გასასვლელად. სამხრეთამერიკელებმა ერთი თავით აჯობეს მეტოქეს ყველა კომპონენტში და სრულიად დამსახურებულად გაიმარჯვეს. მართალია, საყაიმო შედეგი უფრო პარაგვაელთა წისქვილზე დაასხამდა წყალს, მაგრამ **ხერარდო მარტინომ** გარისკა და ძირითად შემადგენლობაში სამი ნომინალური თავდამსხმელი დააყენა. ცენტრფორვარდის პოზიციაზე **ლუკას ბარიოსი** ირჯებოდა, ფლანგებიდან კი **სანტა კრუსი** და **ვალდესი** მოქმედებდნენ. სლოვაკებმა პირიქით, ჩაკეტეს თამაში და მეტოქეს 4-4-1-1 დაუპირისპირეს. ის ერთადერთი ფორვარდი რალა თქმა უნდა **რობერტ ვიტეკი** გახლდათ.

პარაგვაელთა შეტევები გაცილებით უფრო აგრესიული და აზრიანი იყო. მარტინოს შეგირდები ცენტრიდანაც ცდილობდნენ მეტოქის კარზე ხიფათის მიტანას და ფლანგებიდანაც აქტიურად უტევდნენ. ვერ ვიტყვით, რომ სანტა კრუსი შეუჩერებელი იყო, მაგრამ კიდევ უფრო სახიფათო რომ გახადა პარაგვაელთა შეტევის ხაზი, ცხადზე ცხადია. სლოვაკებმა კი ვერაფერი გვიჩვენეს და საერთოდაც, რჩება შთაბეჭდილება, რომ ამ გუნდს მსოფლიოს ჩემპიონატზე არაფერი ესაქმება. ამასთან, გასაკვირია, ამ ფორმაციის სლოვაკეთმა როგორ ჩაატარა შესარჩევი ეტაპი ძალიან მაღალ დონეზე. იქნებ მესამე შეხვედრაში მაინც მოახერხონ სლავებმა ძალის დემონსტრირება, მაგრამ ეს მაინც ნაკლებად სავარაუდოა, რადგან სლოვაკებს იტალიელებთან მოუწევთ ურთიერთობის გარკვევა. პარაგვაელებთან კი ევროპელებმა მხოლოდ ერთხელ მოარტყეს ბურთი კარის



ენრიკე ვერა (მარჯვნივ)

ჩარჩოში, ისიც 90-ე წუთზე და იმ შემთხვევაშიც სამხრეთამერიკელთა კიპერი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. პარაგვაი უკეთესი გუნდია, შედეგი კი აბსოლუტურად კანონზომიერი.

### საუკეთესო ფეხბურთელი

ენრიკე ვერა (პარაგვაი)

**ის, რომ პარაგვაელები მოედნის ცენტრს სრულად აკონტროლებდნენ, ენრიკე ვერას დიდი დამსახურებაა. სამი შემტევის პირობებში, ნახევარმცველებს დიდი ჯაფა დაადგათ და სამხრეთამერიკელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოვალეობას თავი ძალიან კარგად გაართვეს. ყველა სიკეთესთან ერთად, ვერამ გოლიც გაიტანა და ცოტა რომ გამართლებოდა, სულაც დუბლის ავტორად მოგვევლინებოდა.**

ლაშა წიკლაური

H ჯგუფი

# ოტმარისთვის ფავორიტი ჩილეა

21 ივნისი. პორტ ელიზაბეთი. ნელსონ მანდელა-ბეი. 18:00

### ჩილე-შვეიცარია

სავარაუდო შემადგენლობები

**ჩილე:** ბრავო - ისლა, მედელი, პონსე, ვიდალი - მილარი, ფერნანდესი, კარმონა - სანჩესი, ბოსეჟური - ვალდივია.

**შვეიცარია:** ბენალიო - ლიხტშტაინერი, სენდეროსი, გრიხტინგი, ციგლერი - ბარნეტა, ჰუგელი, ინლერი, ფერნანდესი - დერდიოკი - ნკუფო.

**არბიტრი:** ჰალილ ალ გამდი (საუდის არაბეთი)

მუნდიალის პირველი ტურის უმთავრესი სენსაციის ავტორებმა შესანიშნავად იციან, რომ თვით ესპანეთის დამარცხებაც კი არაა მერვედფინალში გასვლის გარანტია და ამიტომაც შვეიცარიელები არანაკლები მონდომებით ემზადებიან ჩილესთან დაპირისპირებისთვის. სადაც **ოტმარ ჰიტცფელდის** გუნდს ვაქებთ, იქ არც **მარსელო ბიელსა** და მისი ფეხბურთელები უნდა დავივიწყოთ, რომლებმაც პირველ შეხვედრაში მხოლოდ და მხოლოდ ჰონდურასს, თანაც მინიმალურად სძლიეს, მაგრამ სამაგიეროდ, ეს ისე დამაჯერებლად გააკეთეს, რომ საკუთარი ამბიციების მართებულობაში სრულად დაგვარწმუნეს.

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ვიფიქრებდით, რომ ჩილე-შვეიცარიის მატჩი გადამწყვეტი იქნებოდა ჯგუფის მეორე ადგილისთვის ბრძოლაში, მაგრამ დღეს საქმე ასე მარტივად აღარ არის. გამარჯვება მხოლოდ შვეიცარიას თუ მისცემს დამშვიდების უფლებას, რადგან ბოლო ტურში ჰონდურასთან დაიჭერენ საქმეს, სამხრეთამერიკელებს კი როგორც უნდა დასრულდეს დღევანდელი შეხვედრა, ბოლო ტურში ესპანელებთან უმძიმესი ბრძოლის გადატანა მოუწევთ.

შვეიცარიის ნაკრების თავდასხმის ლიდერი **ალექსანდრ ფრაი** ვარჯიშს შეუდგა და ჩილესთან მატჩისთვის გამალებით ემზადება. ფრაი შვეიცარიელთა ყველა დროის საუკეთესო მეგოლეა. შუაევროპელებმა ესპანეთის ნაკრები ხომ „ბაზელის“ ფორვარდის გარეშე დაამარცხეს. ბუნებრივია, ჩილესთან მატჩის წინ ფრაის დაბრუნება სერიოზული უპირატესობა იქნება ოტმარ ჰიტცფელდის შეგირდებისთვის. არ არის გამორიცხული, გერმანელმა სპეციალისტმა ფრაი ეგრევე ძირითადში გაამწესოს.

შვეიცარიელთა მთავარი საფიქრალი დაცვის ბურჯის, **ფილიპ სენდეროსის** ტრავმაა. შეგახსენებთ, იგი ესპანელებთან მატჩისას პირველივე ტაიმში დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. მართალია, შვეიცარიის ნაკრების დაცვის ხაზმა მის გარეშეც შესანიშნავად შეძლო ესპანელთა იერიშების ალკვეთა, მაგრამ ბუნებრივია, სენდეროსი თავისი გუნდისთვის უაღრესად საჭირო ფიგურად რჩება. ის დღეს თამაშს ვერ შეძლებს. ჩილელებს საკადრო პრობლემები ნაკლებად აწუხებთ და წესით, ბიელსამ სასტარტო შემადგენლობაში ცვლილებები არ უნდა განახორციელოს.

*„ესპანეთთან ისტორიული გამარჯვება მოვიპოვეთ, მაგრამ ახლა ამ ამბით ტკბობის დრო არ გვაქვს. საჭიროა, ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილი მატჩებიც მაქსიმალური კონცენტრაციით ჩავატაროთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შევძლებთ წინსვლას“*, - ამბობს შვეიცარიელთა კარის დარაჯი **დიეგო ბენალიო.**

უფრო საინტერესო განცხადება გააკეთა ჰიტცფელდმა, რომელიც დღევანდელი შეხვედრის ფავორიტად ჩილეს ასახელებს. *„ეს არაა არაფრისმთქმელი დიპლომატიური სიტყვები. ამ გუნდმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჰონდურასთან ჩატარებული ჩინებული თამაშის გარდა, არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ჩილეს ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და იქ არგენტინასაც კი გაასწრო“*, - ამბობს შვეიცარიელთა მრავლისმნახველი დამრიგებელი.

*„არ დავმალავ და მე და ჩემი თანაგუნდელები ვფიქრობდით, რომ ჯგუფში ყველაზე მძიმე თამაში ესპანეთის ნაკრების წინაამდეგ გველოდა, მაგრამ უკვე დავრწმუნდით, რომ შვეიცარიელებთან ბრძოლაც ურთულესი იქნება. ამის მიუხედავად, ჩვენ მხოლოდ გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ, რადგან ნამდვილად შეგვწევს მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ მეორე მატჩის მოგების ძალა“*, - ეს ჩილელთა ნახევარმცველის, **მარკ გონსალესის** სიტყვებია.

ამ გუნდებს ურთიერთშეხვედრათა დიდი ისტორია არა აქვთ. სამი მატჩიდან ორი შვეიცარიამ მოიგო, ერთიც - ჩილემ.

ლევან ჯანეზაშვილი



შვეიცარიის ნაკრებს ალექსანდრ ფრაი (მარცხნივ) უბრუნდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

G ჯგუფი



# კეიპტაუნში ლივერპული მეორდება

## გაიმეორებს რონალდო ეუსებიოს?

21 ივნისი. კეიპტაუნი. გრინ პოინტი. 15:30

**პორტუგალია–ჩრდ. კორეა**

სავარაუდო შემადგენლობები

**პორტუგალია (4-1-2-3):** ედუარდო - ფერეირა, კარვალიო, ალვეში, კოენტრაო - მენდეში - დეკუ, მეირელეში - რონალდო, ლიდსონი, დანი.

**ჩრდ. კორეა (5-3-1-1):** მიონ გუკი - იონ ჰიოკი, ჩოლ ჯინი, ჯუნ ილი, კვან ჩონი, იუნ ნამი - ინ გუკი, იუნ ჰაკი, ნამ ჩოლი - იონ ჯო - ტაე სე.

**არბიტრი:** პაბლო პოსო (ჩილე)

პორტუგალიის ნაკრები, რომელიც მხოლოდ ქულით ინონებს თავს, ჩრდილოეთ კორეის გუნდს ხვდება, გუნდს, რომელმაც ხასიათი გამოავლინა პენტაკამპეონეთა წინააღმდეგ და კინალამ სასწაულიც მოახდინა მუნდიალზე... გუნდს, რომელსაც მუდამ უცნაური ისტორიები სდევს თან სამხრეთ აფრიკაში ყოფნისას...

მაშ ასე, კეიპტაუნში თქვენ წინაშე 1966 წლის ლივერპულური მეოთხედფინალის რემატჩია. მაშინ მართლაც ლეგენდარული მატჩი შედგა - „გუდისონ პარკზე" ჩრდილოეთ კორეის ნაკრები 25-ე წუთისთვის 3:0-ს იგებდა (!) და ბევრი აღარაფერი აშორებდა ნახევარფინალს, მაგრამ პორტუგალიური ფეხბურთის ლეგენდა **ეუსებიომ** პოკერი შეასრულა **ლი ჩან მიუნის** კარში, ერთიც პენალტით **ჟოზე აუგუსტუმ** გაიტანა და პორტუგალიის ნაკრებმა 5:3 მოიგო მეოთხედფინალი. ეს იყო 44 წლის წინათ...

და რა ხდება დღეს? პორტუგალიის ნაკრები დიდად არის დამოკიდებული **კრიშტიანო რონალდოს** თამაშზე, ამიტომაც „რეალის" ვარსკვლავი ფრთხილად უნდა იყოს - ფიფამ პორტუგალიელთა საჩივარი არ დააკმაყოფილა, კოტ დივუარის ნაკრებთან მატჩში მიღებული ყვითელი ბარათი რონალდოს არ გაუუქმა, მორიგი გაფრთხილება მას ბრაზილიის ნაკრებთან გადამწყვეტი შეხვედრის გამოტოვებად დაუჯდება.

პორტუგალიის ნაკრები აზიელებთან სათამაშოდ კოტ დივუართან არცთუ დამაჯერებელი მატჩის შემდეგ გადის. აფრიკელებთან შეხვედრაში ერთადერთი საგოლე მომენტი შეექმნათ პირინეელებს, მე-11 წუთზე კრიშტიანო რონალდოს გასროლას ვგულისხმობთ. შემდეგ იყო **კარლოშ კეიროშისა** და იმავე რონალდოს უცნაური კომენტარები, თითქოს **დროგბა** და კომპანია დაცვაში იყო გამაგრებული და ამიტომ გაჭირდა მათი დამარცხება.

კეიროშის გუნდში რომ ვერაა ხეირიანი ატმოსფერო ჯერ კიდევ **ნანის** სკანდალმა დაგვანახვა. ახლა კი **დეკუსა** და კეიროშს შორის მომხდარი ინციდენტი გვიდასტურებს, რომ მწვრთნელი მთლად ვერ ფლობს სიტუაციას. არა, დეკუს თანაკლუბელ **ანელკასავით** არ გაულანძლავს მწვრთნელი, მაგრამ მან კეიროში სერიოზულად გააკრიტიკა, რის გამოც პორტუგალიის ფეხბურთის ფედერაცია „ჩელსის" ვარსკვლავისგან ოფიციალურ ბოდიშს ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში დეკუ კორეასთან ვერ ითამაშებს. ჯერ არაფერი გვსმენია, რომ დეკუმ მოიბოდიშა, მაგრამ ის ჩვეულებრივად ვარჯიშობდა გუნდთან ერთად...

ფიფას რეიტინგში 104-ე ადგილზე მყოფმა კორეამ კი I ტურში 55 წუთი შეინახა კარი მშრალად პირველ ნომრად განთესილ ბრაზილიასთან. ორი გოლის გაშვების შემდეგ თავადაც გამოილო ხელი და ბრწყინვალე გოლი გაუტანა **ჟულიო სეზარს**. მოკლედ, ჩრდილოეთ კორეის ნაკრები ადვილად დასამარცხებელი არ არის. აი, ნაკრებში რა ხდება არავინ უწყის, არადა, ხმები დაირხა, 4-მა ფეხბურთელმა ნაკრების ბაზა მიატოვა და თავშესაფრის მოთხოვნას აპირებსო... ნაკრების ხელმძღვანელობამ ეს კი უარყო, მაგრამ ძალზე არადამაჯერებლად.

კეიროშის ტაქტიკაში გაოცებას იწვევს ის ინსტრუქცია, რასაც მწვრთნელი განაპირა მცველებს აძლევს - რაც შეიძლება იშვიათად დატოვონ პოზიცია. სწორედ ამ მიზეზით ურჩევნია **პაულო ფერეირა მიგელს**, რადგან „ვალენსიას" მარჯვენა მცველი უფრო შემტევია. ეს კი ნაკრებს პოტენციალს აკლებს შეტევებში, მით უფრო, რომ „სელეშაუს" მარცხენა ფლანგი მოისუსტებს. ყველამ დაინახა **დანის** სუსტი თამაში, გაზეთები მის ნაცვლად **სიმაოს** ვარაუდობენ, მაგრამ კეიროში არ ყიდულობს გაზეთებს და არც კითხულობს. რაღაც საოცარი უნდა მოხდეს, რომ მან ცვლილება განახორციელოს. ერთი ვარიანტია დეკუს ამოვარდნა ზემოთ დასახელებული მიზეზის გამო, ამ შემთხვევაში სიმაო მარცხენა ფლანგზე დადგება, რადგან... კეიროშს სხვა ვარიანტი არც დარჩენია, მაგრამ დანის ადგილი მაინც გამოიძებნება მინდორზე - დეკუს ნაცვლად. სხვათა შორის, ვეტერანი ნახევარმცველი ერთ-ერთი უსუსტესი იყო მოედანზე და როცა კეიროშს აკრიტიკებს, სჯობს, ჯერ საკუთარი თამაში გაარჩიოს, მერყევი გადაწყვეტილებები, პასების უმეტესობა უკან და ა.შ. ეს დეკუს უკანასკნელი მუნდიალია. წინ **ლიდსონს** ეგებ **ალმეიდა** სჯობდესო, ამტკიცებენ პორტუგალიელი კრიტიკოსები, ბოლო-ბოლო ჩრდილოეთ კორეის ტიპის გუნდებთან საბრძოლველად ალმეიდა უფრო შეეფერება შეტევის ხაზს, მაგრამ, როგორც უკვე გითხარით, კეიროში გაზეთებს არ კითხულობს...

იყო მომენტები, როცა ბრაზილიასთან მატჩში 11-ივე კორეელი საკუთარ საჯარიმოსთან იყო გამაგრებული! ძნელია ასეთ გუნდს გაუტანო, მით უმეტეს, რომ აზიელებს ხასიათის გამოვლენაც შეუძლიათ, მაგრები არიან ართმევებში და სწრაფები... პლუს მათ ჰყავთ **იონ ტაე სე**, „კორეელი რუნი". სასაცილოდ არ გვეყო, პირველად ეს რომ გავიგეთ, თუმცა თავად **რუნი** ისე არ წვიმს, როგორც ქუხდა, აი, ტაე სე კი... დაუღალავი ფორვარდი, მუდამ ბურთზე დაგეშილი, ბრწყინვალე პასით. პორტუგალიის ნაკრების დაცვა უნდა უფრთხილდეს მას.

პორტუგალიის ნაკრების ნახევარმცველი **რაულ მეირელეში** აღნიშნავს, რომ სულაც არ არის საჭირო ჩრდილოეთ კორეის ნაკრების განადგურება, მთავარია მოგება, თუნდაც 1:0.

*„რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა შეიძლება მიეცეს გატანილ გოლებს, მაგრამ უმთავრესი მაინც მოგებაა. ჩვენი მთავარი მიზანიც ესაა, არავინ ფიქრობს მეტოქის განადგურებაზე, თუმცა რაც მეტ გოლს გავიტანთ უკეთესი იქნება. ჩრდილოეთ კორეა ზუსტად ისევე ითამაშებს, როგორც ბრაზილიის ნაკრებთან შეხვედრაში. ვიცით, რომ ისინი დაცვაში ძლიერები არიან, რადგან თავს 10 კაცით იცავენ. ჩვენ კარგად მოვემზადეთ და მზად ვართ ეს კედელი გავარღვიოთ და მოვიგოთ".*

და ბოლოს, იცით თუ არა, რომ... ბოლოს კრიშტიანო რონალდომ ნაკრების მაისურით 16 თვის წინ გაიტანა?

# ორი ცვლილება ფურია როხაში

## დელ ბოსკე დარჩება, მიუხედავად შედეგისა...

21 ივნისი. იოჰანესბურგი. ელის პარკი. 22:30

**ესპანეთი–ჰონდურასი**

სავარაუდო შემადგენლობები

**ესპანეთი (4-4-2):** კასილიასი - ს. რამოსი, პიკე, პუიოლი, კაპდევილა - ფაბრეგასი, ჩაბი ალონსო, ჩავი, ინიესტა - ტორესი, ვილია.

**ჰონდურასი (4-4-2):** ვალადარესი - მენდოსა, ჩავესი, ფიგეროა, ისაგირე - ალვარესი, ვ. პალასიოსი, გევარა, ესპინოსა - პავონი, ნუნიესი.

**არბიტრი:** იუჩი ნიშიმურა (იაპონია)

არის თუ არა მწარედ დაჭრილი ფავორიტი ორმაგად საშიში ნებისმიერი მეტოქისათვის? რა თქმა უნდა, არის, ამიტომაც ჰონდურასის ნაკრებს ცუდ დროს მოუწია „ფურია როხასთან" დაპირისპირება, მაგრამ მუნდიალების ისტორიაში ამაზე უფრო ცუდ დროსაც უთამაშია ჰონდურასის ნაკრებს ესპანელთა წინააღმდეგ და თავი არ შეურცხვენია...

ესპანეთის ნაკრებს მუდმივად მძიმე ტვირთად აწევს წარსული წარუმატებლობები მუნდიალებზე, ასე რომ, თითოეული ასეთი დეტალი გასათვალისწინებელია. საქმე კი იყო ასე... ჰონდურასის ნაკრები მუნდიალზე პირველად 1982 წელს მოხვდა. 28 წლის წინათ მსოფლიოს ჩემპიონატს ესპანეთი მასპინძლობდა, ხოლო ჰონდურასს მე-5 ჯგუფში მასპინძლებთან ერგო თამაში. ამ მუნდიალზე ჰონდურასი ყველას წინასწარ 0:10-ებისთვის ჰყავდა განწირული (სინამდვილეში კი სულ სხვა გუნდმა წააგო დაახლოებით ასეთი ანგარიშით, ელ სალვადორი უნგრეთმა 10:1 დაამარცხა). ვალენსიაში კი „ლუის კასანოვაზე" ესპანეთის ნაკრები მეორე ტაიმში პენალტით გატანილი გოლის სხვაობით გადაურჩა ჰონდურასელებთან მარცხს - 1:1.

„ლა როხამ" შვეიცარიასთან მატჩში ურიგოდ არ ითამაშა, ბევრიც უტია, მაგრამ გოლი ვერაფრით გაიტანა, სამაგიეროდ, ორი კონტრშეტევიდან ერთი გაეპარა და წააგო. მოკლედ, **ვისენტე დელ ბოსკეს** გუნდმა დიდი შოკი მიიღო. ამ მარცხზე უკვე ბევრი დაიწერა და საკუთარი მოსაზრებებიც შემოგთავაზეთ, ამიტომ მასზე აღარ შევჩერდებით, ფაქტია, ესპანეთის ნაკრებმა ვერ გაუმართლა გულშემატკივრებს იმედები და მუნდიალი ისე ვერ დაიწყო, როგორც მათ სურდათ. ეს კი ძალზე ძვირად შეიძლება დაუჯდეს „ფურია როხას", ჯერ ერთი, მას ჯგუფიდან გასვლისთვის ბრძოლა მოუწევს, მეორეც (რაც უფრო რეალურია) გუნდი ალბათ ველარ შესწვდება პირველ ადგილს, რაც თითქმის უეჭველად ნიშნავს მერვედფინალში ბრაზილიის ნაკრებთან რანდევუს, ეს კი ლამის ფინალია ფინალამდე ბევრად ადრე.

ბოლო მატჩის შემდეგ ვისენტე დელ ბოსკეს კრიტიკოსები მოუმრავლდა, თუმცა არა მხოლოდ კრიტიკოსები - ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის ბოსმა **ანხელ ვილიარ მარმა** განაცხადა, რომ ვისენტე დელ ბოსკე შეინარჩუნებს სამსახურს იმის მიუხედავად, თუ როგორ გამოვა „ფურია როხა" მუნდიალზე. *„ვისენტე დელ ბოსკეს 2012 წლის ჩათვლით აქვს კონტრაქტი ფედერაციასთან და სწორედ ის უთავკაცებს ნაკრებს 2012 წლის ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც პოლონეთსა და უკრაინაში გაიმართება. თუნდაც ჯგუფიდან ვერ გავიდეთ, ეს არ იქნება ესპანური ფეხბურთის დასამარება".*

სავარაუდოდ, სასტარტო შემადგენლობას უბრუნდება **ფერნანდო ტორესი**, რომელმაც ვერაფერი გვაჩვენა შვეიცარიასთან მატჩში, ის, უბრალოდ, არ იყო მზად. ტორესი თანაგუნდელთა აზრს იზიარებს, კონკრეტული მიზნის მიღწევის გულისთვის ნაკრებმა სათამაშო სტილი არ უნდა შეცვალოს: *„ყველაზე მნიშვნელოვანია ვუერთგულოთ ჩვენი თამაშის სტილს, რომლის გამოც ხშირად ვიმარჯვებთ. ერთმა წარუმატებლობამ არ უნდა ამოგვაგდოს კალაპოტიდან და არ უნდა დავიწყოთ სიახლეების ძებნა. ახლა ჩვენ შორეულ ჩანოდებებზე აქცენტს ვერ გავაკეთებთ, ვერც პრესინგს გავუმართავთ მეტოქეს მისსავე ნახევარზე - ეს არ არის ესპანური ფეხბურთი. თუ დავიბრუნებთ თვითრწმენას, ყველაფერი ძალიან კარგად იქნება"*, - განაცხადა „ლივერპულის" ვარსკვლავმა.

ჰონდურასელთა ბანაკში ფიფას ოფიციალურმა საიტმა ის სამი ფეხბურთელი მოინახულა, რომელთაც უკვე შეაბიჯეს რეკორდების წიგნებში - ლაპარაკია, **ვილსონ, ჯონი** და **ჯერი** პალასიოსებზე, პირველ სამ ძმაზე მუნდიალების ისტორიაში. ჯერი პალასიოსი სულ ბოლო მომენტში მოხვდა სამხრეთ აფრიკაში, მან ტრავმირებული **ხულიო სესარ ლეონი** შეცვალა. *„მუნდიალზე თამაში ისედაც დიდებული რამ არის, მაგრამ როცა გვერდში ორი ძმა გიდგას, ეს უკვე დაუვიწყარი მოვლენაა, რაღაც ისეთი, რასაც შვილებსა და შვილიშვილებს მოვუყვებით. ჩინეთში ვიყავი, როცა ვილსონმა დამირეკა და მითხრა, რომ ჩემთან ლაპარაკი რუედას სურს. ეს მომენტი არასოდეს დამავიწყდება. რასაც ჩვენ ვაკეთებთ, ყველაფერს ჩვენი უმცროსი ძმის, ედვინის ხსოვნას ვუძღვნით. ძალიან ძნელი იქნება ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ თამაში, ისინი მუნდიალის ფავორიტებად რჩებიან შვეიცარიასთან მარცხის მიუხედავად, მაგრამ ყველაფერი შეიძლება მოხდეს. როცა ვილსონი ბავშვი იყო, ის აცხადებდა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ითამაშებდა ეროვნული ნაკრების მაისურით და მან ეს ოცნება აიხდინა. ასე რომ, შეუძლებელი ამქვეყნად არაფერია, მთავარია ძალიან მონდომო"*, - განაცხადა პალასიოსთაგან უფროსმა ჯერიმ.

ესპანეთის ნაკრები 4-4-2 სისტემაზე გადაერთვება, დელ ბოსკე ორი სუფთა ფორვარდით ითამაშებს. ძნელი გამოცნობა არ უნდა იმას, რომ **დავიდ ვილიას** ფერნანდო ტორესი დაეხმარება წინა ხაზზე. მართალია, შვეიცარიასთან მატჩში **ანდრეს ინიესტამ** ტრავმა მიიღო და ის შეცვალეს, მაგრამ „ბარსელონას" ნახევარმცველი მწყობრშია და ის სასტარტოში მოხვდება. **სერხიო ბუსკეტსი** ავტომატურად ამოვარდება შემადგენლობიდან, ხოლო **დავიდ სილვას** ადგილი შესაძლოა **სესკ ფაბრეგასმა** დაიკავოს, რომელსაც შვეიცარიასთან მატჩში არ უთამაშია.

ჰონდურასის ბანაკში კვლავ საეჭვოა „ინტერის" ფორვარდ **დავიდ სუასოს** თამაში, ალბათ, ის ამ მატჩსაც გამოტოვებს. ძმებ პალასიოსთაგან კი ისევ მხოლოდ ვილსონი იქნება სასტარტო შემადგენლობაში.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**




ძმებ პალასიოსებს ესპანეთის არ ეშინიათ

E ჯგუფი



იაპონიის ნაკრების მეკარე შეცდა და სნეიდერის დარტყმის შემდეგ ანგარიში გაიხსნა

# პირველი აფრიკული ფიასკო

19 ივნისი. პრეტორია. ლოფტუს ვერსფელდი. 38 074 მაყურებელი

**კამერუნი-დანია 1:2**

**კამერუნი (4-3-3):** სულეიმანუ - ბასონგი (73. იდრისუ), მბია, ნკულუ, ასუ-ეკოტო - სონგი, ჯერემი, ენო (46. მაკუნი) - ემანა, ეტო'ო, ვებო (81. აბუბაკარი).

**დანია (4-4-2):** სორენსენი - ს. პოულსენი, კიაერი, აგერი, ლ. იაკობსენი - რომედალი, გრონკიაერი (67. კალენბერგი), კ. პოულსენი, მ. იორგენსენი (46. დ. იენსენი) - ტომასონი (86. ი. პოულსენი), ბენდტნერი.

**გოლები:** 1:0 ეტო'ო (10), 1:1 ბენდტნერი (34), 1:2 რომედალი (61)

**გაფრთხილება:** ბასონგი (49), მბია (75), სორენსენი (86), კიაერი (87)

**მატჩი დაიწყო:** კამერუნი; **დარტყმა:** 21(9)-10(4); **ჯარიმა:** 8-13; **კუთხური:** 7-2; **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**არბიტრი:** ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

**საინტერესო მომენტები**

4' - **სამუელ ეტოო** ურტყამს შორი დისტანციიდან, ბურთი ასცდა დანიელთა კარს.

10' - **კრისტიან პოულსენმა** უხეში შეცდომა დაუშვა და ბურთი მეტოქეს ჩააბარა. მარცხენა ფრთიდან ეტოომ შესანიშნავი გადაცემა მიიღო, დაამუშავა და უძლიერესი დარტყმით **ტომას სორენსენს** შანსი არ დაუტოვა - 1:0.

19' - **ენომ** შორი მანძილიდან გაისროლა და სორენსენი დაეუფლა ბურთს.

34' - **დენის რომედალმა** მარჯვენა ფლანგზე გრძელი გადაცემა მიიღო და თავის მხრივ, **ნიკლას ბენდტნერი** მოძებნა, ამ უკანასკნელმა კი პრაქტიკულად დაუცველ კარში შეაგორა ბურთი - 1:1.

48' - ეტოოს ჩაწოდების შემდეგ **მბიამ** დაარტყა თავური, თუმცა სორენსენი აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე.

59' - **ვებო** აღმოჩნდა დასარტყმელ პოზიციაზე, დაარტყა კიდეც, თუმცა ბურთი კარს ზემოდან გადასცდა.

61' - დენის რომედალმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო და როდესაც ყველას ეგონა, რომ საჯარიმოში ჩააწოდებდა, სიღრმისკენ დაიძრა და მეკარისაგან შორეული კუთხე დალაშქრა - 1:2.

77' - კამერუნელი **ემანა** მეკარესთან პრაქტიკულად პირისპირ დარჩა, თუმცა გამარჯვებული სორენსენი გამოვიდა..

84' - კრისტიან პოულსენის პასის შემდეგ **აბუბაკარმა** დაარტყა დანიელთა კარის მიმართულებით, მაგრამ მისი მცდელობაც უშედეგო გამოდგა.

მსოფლიოს ჩემპიონატი ცრემლების გარეშე ნამდვილად წარმოუდგენელია და აი, პირველი ცრემლებიც ვიხილეთ. ისე გამოვიდა, თითქოს ძალიან გაგვახარა ამ ცრემლებმა და ერთი სული გვქონდა, როდის ვიხილავდით, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის - უბრალოდ, ამ ემოციებმა თითქოს შეგვახსენა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატს ვადევნებთ თვალს, ტურნირს, რომელიც ოთხ წელიწადში ერთხელ ტარდება. შეხსენება კი იმად გახდა საჭირო, რომ შეხვედრათა უმეტესობა მაინც ნელ ტემპში და რალაცნაირად დუნედ მიმდინარეობს.

რაც შეეხება კამერუნი-დანიის პაექრობას, ერთობ თვალსასეირო ბურთაობა ვიხილეთ და ეს პაექრობა ამადაც გახლდათ გამორჩეული. **მორტენ ოლსენმა** გარისკა და ნიკლას ბენდტნერთან ერთად, ძირითად შემადგენლობაში **იონ დალ ტომასონი** გაამწესა. ვერ ვიტყვით, რომ ტომასონმა მთები გადაატრიალა, მაგრამ დანიამ მოიგო და გამომდინარე აქედან, ოლსენის გადაწყვეტილება სწორად უნდა მივიჩნიოთ. არადა, თუ სახიფათო მომენტებს გავიხსენებთ, კამერუნელებს მეტი ჰქონდათ და დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ ცოტა უკეთ ეთამაშათ და მეტი იღბალი ჰქონოდათ, ქულა კი არა, შეიძლება სამი ქულისთვისაც კი გამოეკრათ ხელი. თუმცა, მეორე მხრივაც შეიძლება შევხედოთ ამ ყველაფერს - დანიელებმა კიდევ ერთხელ დაუშვეს უპატიებელი შეცდომა და კამერუნელებს პრაქტიკულად აჩუქეს გოლი. დაახლოებით ანალოგიური რამ შეემთხვათ ჰოლანდიელებთან, სადაც სულაც ავტოგოლით გამოირჩნენ - შესაბამისად, სადაც აფრიკელთა უიღბლობაზე ვსაუბრობთ, იქ სკანდინაველთა მუხთალი ფორტუნაც უნდა ვახსენოთ...



პოლ ლე გენს ალბათ გადადგომა მოუწევს

» მე-8 გვერდზე

# ჰოლანდია პლეი ოფში

## ექვსი ქულა და არც ერთი გაშვებული გოლი

19 ივნისი. დურბანი. დურბან სთედიუმი. 60 000 მაყურებელი

**ჰოლანდია-იაპონია 1:0**

**ჰოლანდია (4-2-3-1):** სტეკელენბურგი - ვან დერ ვილი, ჰეიტინგა, მატიისენი, ვან ბრონკჰორსტი - ვან ბომელი, დე იონგი - სნეიდერი (83. აფელაი), კუიტი, ვან დერ ვაარტი (72. ელია) - ვან პერსი (88. ჰუნტელაარი).

**იაპონია (4-2-3-1):** კავაშიმა - კომანო, ნაკაზავა, ტულიო, ნაგატომო - ენდო, აბე - ოკუბო (77. ტამადა), ჰასებე (77. ოკაზაკი), მაცუი (64. ნაკამურა) - ჰონდა.

**გოლი:** 1:0 სნეიდერი (53).

**გაფრთხილება:** ვან დერ ვილი (36)

**მატჩი დაიწყო:** ჰოლანდია; **დარტყმა:** 7(5)-10(3); **ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 4-5; **ბურთის ფლობა:** 61%-39%.

**არბიტრი:** ექტორ ბალდასი (არგენტინა)

**საინტერესო მომენტები**

5' - **ვესლი სნეიდერმა** დაარტყა საჯარიმო და მცირე მანძილით ააცილა ბურთი იაპონელთა კარს.

7' - **ნაგატომომ** დაარტყა საშუალო დისტანციიდან, მცირედით არაზუსტად.

45' - **ვან დერ ვაარტმა** შორი მანძილიდან დაარტყა, თუმცა **კავაშიმა** განსაკუთრებული პრობლემების გარეშე დაეუფლა ბურთს.

47' - მარცხენა ფრთიდან ჩაწოდების შემდეგ, **რობინ ვან პერსიმ** დაარტყა თავით და კავაშიმა დაეუფლა ბურთს.

53' - საჯარიმოში მყოფმა ვან პერსიმ ვესლი სნეიდერს დაუგდო ბურთი, ამ უკანასკნელმა უძლიერესი დარტყმით იაპონელთა კიპერს შანსი არ დაუტოვა - 1:0.

85' - მეკარესთან პირისპირ დარჩენილმა **აფელაიმ** ბურთი კავაშიმას გაარტყა.

88' - ისევ აფელაი გავიდა დასარტყმელ პოზიციაზე, თუმცა კვლავ კავაშიმამ ითამაშა კარგად.

90' - იაპონელთა ორსვლიანი კომბინაციის შემდეგ, დასარტყმელ პოზიციაზე **შინჯი ოკაზაკი** აღმოჩნდა, გაისროლა კიდეც, თუმცა მცირე მანძილით ააცილა ბურთი კარს.

ჰოლანდია ცვლილებებს ითხოვდა, მაგრამ ვერ მიიღო. **ბერტ ვან მარვიიკის** შეგირდებმა დაახლოებით ისეთივე ფეხბურთი ითამაშეს, როგორიც დანიასთან და დაახლოებით ისეთივე შედეგი მიიღეს. იაპონელებსაც ერთი გოლი გაუტანეს, ისევე როგორც სკანდინაველებს, თუმცა განსხვავება ის იყო, რომ თავად იაპონელებს არ დაულაშქრავთ საკუთარი კარი. ასე რომ მომხდარიყო, ანგარიშიც იდენტური იქნებოდა. მართალია, ჰოლანდიამ ცვლილებები ვერ მიიღო, მაგრამ ყველა ლოგიკით, კრიტიკა უნდა შენელდეს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ნარინჯისფრებმა მიჯრით მეორე შეხვედრაში გაიმარჯვეს, ექვსი ქულა დააგროვეს და მერვედფინალის საგზური გაინაღდეს. დღეს კი მთავარი რეზულტატია და მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი ამის ნათელი დადასტურებაა. გუნდთა აბსოლუტური უმეტესობა ჩაკეტილ და დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობს. თუ უფრო ზუსტნი ვიქნებით, პრიორიტეტი საკუთარი კარის უსაფრთხოებას ენიჭება.

დავუბრუნდეთ შეხვედრას და აღვნიშნოთ, რომ ჰოლანდიელები მთელი 90 წუთის განმავლობაში ტერიტორიულ უპირატესობას ფლობდნენ. ამაზე ბურთის ფლობის პროცენტული მაჩვენებელი ნათლად მეტყველებს და შეგიძლიათ, შეავლოთ კიდეც თვალი. თუმცა, იმას ვერ დავიჩემებთ, რომ ევროპელებმა გადაუარეს მეტოქეს და შანსი არ დაუტოვეს. მეტიც, ცოტა იღბალი და, აზიელები შეხვედრის უკანასკნელ წუთზე სულაც ანგარიშს გაათანაბრებდნენ. დიახ, შინჯი ოკაზაკი აღმოჩნდა საჯარიმო მოედანში, ბურთიც თითქოს იდეალურად დააჯდა ფეხზე, მაგრამ მაინც არაზუსტად დაარტყა. უფრო მაღალი კვალიფიკაციის თავდამსხმელი იმ ეპიზოდს გოლად აქცევდა, თუმცა საქმეც ისაა, რომ **ტაკეში ოკადას** უფრო მაღალი დონის ფეხბურთელები უბრალოდ არ ჰყავს.

ბერტ ვან მარვიიკმა ისეთივე შემადგენლობა გაიყვანა მინდორზე, როგორიც დანიასთან პაექრობაში. არადა, პრესა აქტიურად ითხოვდა ცვლილებებს და ძირითადში ახალი ფეხბურთელების დაყენებას. ყველაზე ხშირად **ელიასა** და **აფელაიზე** საუბრობდნენ, თუმცა არც **ჰუნტელაარი** ავიწყდებოდათ. სამივე ფეხბურთელი მეორე ნახევარში ჩაერთო თამაშში და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მათზე დაყრდნობა შეიძლება. განსაკუთრებით აქტიური ამჯერად აფელაი გახლდათ. რაც შეეხებათ **ვან დერ ვაარტს, დირ კუიტს** და ვან პერსის, მათ კვლავაც ბევრი ვერაფერი გვაჩვენეს. სამაგიეროდ, კარგი შთაბეჭდილება დატოვა ვესლი სნეიდერმა და პირველი გოლიც მიითვალა აქტივში.

მთლიანობაში, ჰოლანდიელებმა უკეთესად ითამაშეს და დაიმსახურეს კიდეც გამარჯვება, მაგრამ მაინც გვგონია, რომ ნარინჯისფერთა რეალური ძალა გაცილებით უფრო სერიოზულ მეტოქესთან უნდა გამოჩნდეს.

**საუკეთესო ფეხბურთელი**

ვესლი სნეიდერი (ჰოლანდია)

**ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ სნეიდერმა კარიერის საუკეთესო მატჩი ჩაატარა, თუმცა სხვებისგან მაინც გამოირჩეოდა. ცოტა ჰქონდა ტექნიკური წუნი, ბურთი ფაქტობრივად არ დაუკარგავს და რაც მთავარია, გამარჯვების გოლი გაიტანა. ნათლად გამოჩნდა, რომ „ინტერის“ ნახევარმცველს შეუძლია ჰოლანდიის ნაკრების ლიდერის ფუნქციებიც კი იტვირთოს. არიენ რობენის არყოფნაში, მისი როლი, როგორც ლიდერის, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია.**

**მატჩის შემდეგ**

ბერტ ვან მარვიიკი (ჰოლანდია): **„ზუსტად ისე მივდივართ, როგორც დაგეგმილი გვქონდა, ამიტომ, უკმაყოფილების საბაბი უბრალოდ არ გვაქვს. შესაძლოა, ბევრს ჩვენი თამაშის მანერა არ მოსწონს, მაგრამ დღეს მთავარი შედეგია, რომელიც სახეზეა. ძალიან კმაყოფილი ვარ, რომ ორ გამართულ შეხვედრაში არც ერთი გოლი არ გვაქვს გაშვებული. თუმცა, იყო გარკვეული ხარვეზები და მათ აღმოსაფხვრელად ყველაფერს ვილონებთ“.**

ლაშა ნიკლაური

www.britishcentre.ge

დაზოგეთ დრო ენერგია და ბიუჯეტი !
შეისწავლეთ ინგლისური ოთხჯერ უფრო სწრაფად !
ბრიტანული ცენტრის კარი ღიაა ნებისმიერი მსმენელისთვის !

BRITISH CENTRE

ირინა ონაშვილი:

„პირველივე გაკვეთილიდან მივხვდი, რომ ზუსტად იქ მოვხვდი, სადაც საჭირო იყო. საოცრად კარგი გარემოა, თბილი ატმოსფერო, ამასთან ერთად უმაღლეს დონეზეა დისციპლინა. ძალიან ხშირად მიწევს უცხოელ მეგობრებთან ურთიერთობა და ვატყობ, რომ ჩემი ინგლისური საოცრად დაიხვეწა. კომპლექსი არასდროს მქონია და რა დონეზეც ვიცოდი, ისე ვლაპარაკობდი, მაგრამ ახლა უკვე ვამაყობ ჩემი ინგლისურით. აუცილებლად ვაპირებ სწავლის გაგრძელებას ბრიტანულ ცენტრში და ამ დონეზე არ გავჩერდები”.



ლელა მებურიშვილი:

„ბრიტანულ ცენტრში ენას კი არ გასწავლიან, აგალაპარაკებენო, მითხრეს და ეს სწორედ, ის იყო, რაც მე მჭირდებოდა. აღმოვაჩინე, რომ ბრიტანულ ცენტრში ინგლისური ენის მასწავლებლები, მოქმედი ლექტორები გადიან ენის შემსწავლელ მაღალ საფეხურებს, იმისთვის, რომ უფრო დახელოვდნენ და დახვეწონ თავიანთი ცოდნა. ერთი სიტყვით, მოვედი და დავრჩი. თვე-ნახევარია დავდივარ და ინგლისურად ლაპარაკის ყველანაირი კომპლექსი მომეხსნა”.



დირექტორი დალი ლომიძე:

„თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ბრიტანული ცენტრი სავსებით აკმაყოფილებს ყველა ასაკისა და პროფესიის წარმომადგენელს”.

რუსთაველის 36; ტელ: 933 878; 989 999; 934 000
ალმაშენებლის 189; ტელ: 941 111; 952 222
ფალიაშვილის 60; ტელ: 221 915
ჰაინის 9; ტელ: 332 557; 514 143

www.britishcentre.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

E ჯგუფი



დენის რომედალს (№19) გააქვს გამარჯვების გოლი კამერუნელთა კარში

# პირველი აფრიკული ფიასკო

« მე-5 გვერდიდან

გოლების და მომენტების აღწერით თავს არ შეგაწყენთ, რადგან ამას ზემოთაც გაეცნობოდით. უბრალოდ აღვნიშნოთ, რომ მთლიანობაში, დანიელებმა მაინც დამსახურებულად მოიპოვეს სამი ქულა. თუ კამერუნელთაგან მხოლოდ სამუელ ეტოო იდგა მონოდების სიმაღლეზე, სკანდინავიელთა რიგებში რამდენიმე ფეხბურთელის გამორჩევა შეიძლება: **დენის რომედალის** (გოლი და საგოლე პასი), **დანიელი აგერის, ნიკლას ბენდტნერის, ტომას სორენსენის**. როდესაც პრაქტიკულად ყველა რგოლში გყავს გამორჩეული ფეხბურთელი, ბუნებრივია, რომ გამარჯვების მეტი შანსი გაქვს. მესამე ტურში დანიელები იაპონელებს შეხვდებიან და ურთიერთშეხვედრაში გაარკვევენ მერვედფინალში გამსვლელის ვინაობას. კამერუნი კი პრესტიჟის შეხვედრას გამართავს და სამხრეთაფრიკას დატოვებს.

### საუკეთესო ფეხბურთელი

დენის რომედალი (დანია)

**ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დანიელთა რიგებში რამდენიმე ფეხბურთელი გამოირჩეოდა, თუმცა მათ შორის საუკეთესო მაინც რომედალი გახლდათ. ძალიან ბევრი ირბინა, თავის ფლანგის სრული ბატონ-პატრონი იყო და რაც მთავარია, გოლს პლუს პასი მიითვალა აქტივში. დიახ, გარდა იმისა, რომ შესანიშნავი გოლი გაიტანა, ნიკლას ბენდტნერს ჩინებული საგოლე პასი მისცა.**

### მატჩის შემდეგ

პოლ ლე გენი (კამერუნი): **„ძალიან დასანანი მარცხი ვიწვნიეთ, სიტყვები არ მყოფნის. ეს არის ყველაზე მძიმე დღე ჩემს სამწვრთნელო კარიერაში. მინდა ბოდიში მოვუხადო მთელ კამერუნელ ერს და პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე ავიღო. თუმცა, მიუხედავად ამისა, გამოგიტყდებით და კამერუნის უმთავრესი გუნდის დატოვება არ მსურს. იმედია, მომეცემა იმის საშუალება, რომ მუშაობა გავაგრძელო და დაშვებული შეცდომები ერთად გამოვასწოროთ“.**

**ლაშა ნიკლაური**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჰოლანდია | 2 | 2 | 0 | 0 | 3-0 | 6 |
| იაპონია | 2 | 1 | 0 | 1 | 1-1 | 3 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-3 | 3 |
| კამერუნი | 2 | 0 | 0 | 2 | 1-3 | 0 |

### ბოლო ტური

**24 ივნისი**

| | |
|---|---|
| დანია-იაპონია | 22:30 |
| კამერუნი-ჰოლანდია | 22:30 |

D ჯგუფი

19 ივნისი. რუსტენბურგი.
როიალ ბაფოკენგი.
34 812 მაყურებელი

### განა–ავსტრალია 1:1

**განა (4-2-1-3):** კინგსონი - პენტსილი, ჯონათან მენსა, ედი, სარპეი - ანანი, კ. ბოატენგი (88. ამოა) - ასამოა (77. მუნტარი) - ტაგოე (56. ოვუსუ-აბეიე), გიანი, აიევი.

**ავსტრალია (4-2-3-1):** შვარცერი - უილკშირი (84. რუკავიცა), ნილი, მური, კერნი - კულინა, ვალერი - ემერტონი, ჰოლმენი (68. კენედი), ბრეშანო (66. ჩიპერფილდი) - კიუელი.

**გოლები:** 0:1 ჰოლდენი (11), 1:1 გიანი (25-პენ)

**გაფრთხილება:** ედი (40), ჯონათან მენსა (79), ანანი (84), მური (85)

**გაძევება:** კიუელი (25)

**მატჩი დაიწყო:** ავსტრალია; **კარში დარტყმა:** 18(7)-7(5); **კუთხური:** 7-1; **ჯარიმა:** 12-15; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**არბიტრი:** რობერტო როზეტი (იტალია)

# განის გზა გერმანიაზე გადის



დიდი იმედებით ელოდნენ ავსტრალიელი ქომაგები **ჰარი კიუელის** დაბრუნებას, მაგრამ მოვლენები იმგვარად წარიმართა, რომ სწორედ კიუელი იქცა მატჩის ანტიგმირად. შეხვედრის 25-ე წუთზე მან ავსტრალიის ნაკრების კარისკენ მიმავალ ბურთს ალბათ უფრო უნებლიედ, მაგრამ მაინც ხელით გადაუღობა გზა და თავად დამსახურებული წითელი ბარათით, მისი გუნდი კი თერთმეტმეტრიანით დაისაჯა.

განამ და კონკრეტულად, **ასამოა გიანმა** მუნდიალზე მეორე გოლი მეორე პენალტით გაიტანა და თითქოს ყველაფერს ნათელი მოეფინა - ძნელი წარმოსადგენი იყო, დარჩენილ 65 წუთში აფრიკელებს კაცნაკლული ავსტრალიელების დაჯაბნა ვერ მოეხერხებინათ, მაგრამ **მილოვან რაევაცსა** და მის შეგირდებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ - ავსტრალია არაფრით ჰგავდა იმ გუნდს, რომელიც რამდენიმე დღის წინ გერმანიასთან პირწმინდად განადგურდა, განელებმა კი მეტოქის კარს გასალები ვერაფრით მოუძებნეს და მეორე სამუნდიალო მატჩი ისე ჩაამთავრეს, რომ თამაშიდან გოლი არ გაუტანიათ. ვერ გეტყვით, ავსტრალიელთა სასიკეთოდ გარდასახვა შემადგენლობაში განხორციელებული სამი ცვლილების დამსახურება იყო მათი მწვრთნელის სხვა ნოვაციებისა, მაგრამ ფაქტია, რომ მწვანეკონტინენტელებმა შაბათს შემტევი და რაც მთავარია, მძლავრი ფეხბურთი ითამაშეს.

არადა, განელებს ეს შეხვედრა სოლიდური ანგარიშით რომ მოეგოთ, თავი, ფაქტობრივად, ქუდში, ანუ მერვედფინალში ექნებოდათ, ამ დანაკარგით კი საქმე საგრძნობლად გაირთულეს.

მოკლედ ისიც გავიხსენოთ, რა მოხდა კიუელის გაძევებამდე. შეხვედრის დებიუტში **მარკო ბრეშანოს** დარტყმა განელთა მეკარე **რიჩარდ კინგსონმა** უხერხულად მოიგერია, დამატებაზე ყველას **ბრეტ ჰოლმანმა** დაასწრო და ანგარიშიც გახსნა.

განელებმა კი ანგარიშის გათანაბრების შემდეგ მართალია არცთუ ურიგოდ, მაგრამ მაინც სწორხაზოვნად ითამაშეს. მეტიც, მეორე ტაიმში უპირატესობა ავსტრალიის მხარეს უფრო იყო და ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მოედანზე სრული შემადგენლობის ყოფნის შემთხვევაში, **პიმ ფერბეეკის** გუნდი გამარჯვებასაც შეძლებდა. ჩინებული საგოლე შანსი გაუშვა ხელიდან შეცვლაზე შესულმა **სკოტ ჩიპერფილდმა**, განელთა მხრიდან კი გამარჯვების გოლის გატანა ისევ და ისევ გიანს შეეძლო.

განელების არადამაჯერებელი თამაშის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა, ძირითადი შემადგენლობის ორი ცენტრალური მცველის არყოფნაც იყოს. სერბეთთან მატჩის შემდეგ აფრიკელებს **ისააკ ფორსა** და კაპიტანი **ჯონ მენსა** გამოაკლდნენ და დაგვეთანხმებით, მათმა შემცვლელებმა დაკისრებულ მოვალეობებს თავი არცთუ დამაჯერებლად გაართვეს.

საერთო ჯამში, მაინც ლოგიკური ფრე დაფიქსირდა, რამაც ავსტრალიელებს მინიმალური სამერვედფინალო შანსი შეუნარჩუნა, განელების წინაშე კი არცთუ იოლად შესასრულებელი მისია დააყენა - ფლეი ოფში გასასვლელად აფრიკელებს ბოლო ტურში გერმანიასთან მინიმუმ ფრე სჭირდებათ. ამ შემთხვევაში განა მერვედფინალში გავა იმისდა მიუხედავად, რა მოხდება პარალელურად მიმდინარე ავსტრალია-სერბეთის დაპირისპირებაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა


# ვის ეშინია მსოფლიოს ჩემპიონატის?

## ფაბიო კაპელოს გადაყენება ემუქრება

ალჟირთან შეხვედრა რომ დამთავრდა, მთელმა მსოფლიომ ნახა, როგორ ჩაუარა ინგლისის ნაკრების მთავარმა იმედმა და ვარსკვლავმა **უეინ რუნიმ** ტელეკამერას და ერსა თუ ბერს რაღაც უთხრა. ეს რაღაც გახლდათ: *„მშვენიერია, როდესაც საკუთარი გულშემატკივარი „ბუუს" გეძახის. აი, გულშემატკივრობაც ამას ჰქვია"*. ასე დასრულდა მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტად მიჩნეული ინგლისის ნაკრების მეორე შეხვედრა სამხრეთ აფრიკაში. შეგახსენებთ, რომ პირველში ინგლისელებმა აშშ-სთან ითამაშეს 1:1, მეორე კი ალჟირთად უგოლოდ დაასრულეს - 0:0.

გულშემატკივრის კრიტიკა სად-სად და, ინგლისში რომ არავის შერჩება, რად უნდა ლაპარაკი. რუნის გამოხდომის მეორე დღეს ბრიტანულმა მასმედიამ „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდი შავ დღეში ჩააგდო, რის გამოც ფეხბურთელს ბოდიშის მოხდა მოუხდა. ეს ბოდიში ქვეყნის ფეხბურთის ასოციაციამ გაავრცელა.

*„თამაშის შემდეგ, ცხელ გულზე, საკუთარი უხარისხო თამაშითა და ცუდი შედეგით გაღიზიანებულმა ისეთი რამ ვთქვი, რის გამოც ახლა ბოდიშს ვიხდი. მე ინგლისის ნაკრების დღევანდელ მდგომარეობას ძალიან განვიცდი. ახლა მთავარია, სწორად გადავჯგუფდეთ და ოთხშაბათს სლოვენიის ნაკრებთან გავიმარჯვოთ, მაგრამ ამისათვის ფეხბურთელებს ფანების მხარდაჭერა გვჭირდება".*

თუმცა, რუნისა და მის თანაგუნდელებზე მეტად, ინგლისელთა ცუდი გამოსვლა გუნდის იტალიელ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** აყენებს რთულ მდგომარეობაში. პრესაში უკვე გამოჩნდა ინფორმაცია, რომ ნაკრების ჯგუფში ჩარჩენის შემთხვევაში სახელოვან სპეციალისტს თანამდებობიდან მოხსნიან. კაპელოც, თურმე, შეგუებულია ამ აზრს - თუ ინგლისის ნაკრები ჯგუფიდან ვერ გავა, ახალი სამსახურის ძებნა მოუწევს. ეს ინფორმაცია „დეილი მეილს" იტალიელ მწვრთნელთან დაახლოებულმა წყარომ გაანდო.

ალჟირთან ყბადაღებული მატჩის შემდეგ კაპელოსა და მთელ გუნდს კრიტიკის ქარცეცხლი დაატყდათ თავს. ბუნებრივია, ასეთ დროს განტევების ვაცი მთავარი მწვრთნელია. კაპელო პასუხისმგებლობას არ გაურბის. ის, რომ „მაესტრო" მოხსნას ელოდება, თითქოს მის პასუხებშიც ჩანს. გუშინ მან პრესკონფერენცია გამართა და ჟურნალისტის კითხვაზე - ელოდებით თუ არა გადაყენებასო, სულაც არ გაღიზიანებულა, როგორც ეს სხვა შემთხვევაში მოხდებოდა. აი, კაპელოს თავაზიანი პასუხიც:

*„მომხსნიან? იცით, უნდა მოვიცადოთ. ჯგუფში ჩასატარებელი დაგვრჩა ერთი მატჩი და ჩვენ გვაქვს დრო იმისთვის, რათა ყველა კითხვას პასუხი გავცეთ".*

თუ ინგლისის ნაკრებს სლოვენიასთანაც დაუცდება ფეხი და ჯგუფიდან ვერ გავა, ფეხბურთის სამშობლოს უპირველესი გუნდისთვის ეს იქნება ყველაზე ცუდი შედეგი მსოფლიოს 1958 წლის ჩემპიონატის შემდეგ, თანაც იმ მწვრთნელის ხელში, რომელსაც, თუ არ ვცდებით, ყველაზე დიდ იმედებს უკავშირებდნენ.

მაგრამ კაპელოს გადაყენება ინგლისის საფეხბურთო ასოციაციისთვის ფინანსურად წამგებიანი იქნება. მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე, რათა მწვრთნელის მიმართ ნდობა დაემტკიცებინა და ყველა კითხვის ნიშანი მოეხსნა, საფეხბურთო ასოციაციამ კაპელოს (ყოველწლიური) 6-მილიონგირვანქიანი კონტრაქტიდან ამოიღო მუხლი, რომლის ძალითაც, მწვრთნელს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე შეეძლო წასვლა. ეს მოხდა ზუსტად იმ დღეებში, როცა კაპელოს სამსახური „ინტერმა" შესთავაზა.



უეინ რუნის ირონიული შეძახილი სკანდალურად მონათლეს

ახლა კი რა ხდება? კაპელომ იცის, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში გაუშვებენ და თანაც - საფეხბურთო ასოციაცია მზად იქნება, გადაუხადოს მას კომპენსაცია იმ დრომდე, ვიდრე ახალ სამსახურს არ იშოვის. აი, აქ კი შეიძლება გაუმართლოთ ინგლისური ფეხბურთის მამებს, რადგან კაპელო უმუშევრად დიდხანს არ დარჩება...

თუმცა, მოხსნაზე მთავარი, ალბათ, თავმოყვარეობის საკითხია. ვის-ვის და, კაპელოს მსოფლიოს ჩემპიონატის თავჩახრილი დატოვება არ ეკადრება. მართლაც, იმ დღეს, როდესაც ინგლისელებმა ალჟირთან ფრედ ითამაშეს, იტალიელს 64 წელი შეუსრულდა და ვინ იცის, მას ასეთი ცუდი დღეობა არასდროს ჰქონია. ერთმა ინგლისურმა გაზეთმა ირონიულად დაწერა - ერთადერთი, რაშიც მას იმ დღეს გაუმართლა, ვუვუზელების ხმაური იყო - ეს ხმაური რომ არა, ამხელა დამსახურების კაცს „ბუუს" მოსმენა მოუწევდაო.

*„დღეს რუნიმ რუნივით ვერ ითამაშა, - უთხრა მოგვიანებით კაპელომ ჟურნალისტებს, - მან ძალიან ბევრჯერ დაკარგა ბურთი, მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფეხბურთელად რჩება. უეინი დიდებული ფეხბურთელია და ცუდად რომ თამაშობს, მაშინაც დიდ ხიფათს უქმნის მოწინააღმდეგეს".*

მაგრამ, რამ გამოიწვია ის, რომ რუნი რუნივით ვერ თამაშობს? იქნებ ყველაფერი ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში, „ბაიერნთან" შეხვედრაში ნატკენი კოჭის ბრალია? მწვრთნელის აზრით, აქ ტრავმა აღარაფერ შუაშია და პრობლემა გონებიდან მოდის.

*„არა, ტრავმა რა ხანია მოშუშებულია და რუნი თავიდან ბოლომდე მზად გახლავთ. ყოველი ვარჯიშის შემდეგ ჩვენ მას ძალად ვაგდებთ მოედნიდან, რადგან რჩება და დანარჩენ ფეხბურთელებზე გაცილებით დიდხანს ვარჯიშობს. ვარჯიშებზე ის სრულყოფილია, იქ არანაირი პრობლემა არ არის. ყველაფერი ფსიქოლოგიის ბრალია. მე ამ ფეხბურთელს კარგად ვიცნობ და საკუთარი ფეხბურთელობის დროიდანაც კარგად მახსოვს, როგორ ვეუბნებოდი ხანდახან საკუთარ თავს „არ იღელვო, ყველაფერი კარგად არის", მერე კი მოედანზე გავდიოდი და..."*

იმას, რომ რუნის ფსიქოლოგიური მდგომარეობა ყოველთვის მსჯელობის საგანი იყო, ინგლისური პრესაც აღიარებს და თავადაც ეხება ამ საკითხს. იხსენებენ 2006 წელს, როდესაც ინგლისელმა ვარსკვლავმა პორტუგალიასთან შეხვედრაში მსაჯს მოედნიდან თავი გააგდებინა. მართლია, მას მერე ბევრჯერ დაიწერა, რომ რუნი გაიზარდა და გაცილებით გაწონასწორებულ პროფესიონალად ჩამოყალიბდა, მაგრამ ალჟირთან თამაშის შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ, ადამიანი თავის ხასიათს ხშირად ვერსად გაურბის.

ცნობისთვის - ინგლისის ნაკრებს სამხრეთ აფრიკაში ფსიქოლოგი **კრისტიან ლატანციო** ახლავს, მაგრამ კაპელო მასთან ურთიერთობას არც ერთ ფეხბურთელს არ ავალდებულებს. ლატანციოსთან საუბარი ნებაყოფლობითია.

### ჰესკის ნაცვლად კრაუჩი? ჯო კოული?

ზემოთ ვთქვით, რომ კაპელო დიდი გამოცდის წინაშე დგას. მწვრთნელმა, რომლის CV-ში „მილანში", „რომაში", „იუვენტუსსა" და „რეალში" წარმატებული მუშაობის ამბები ოქროს ასოებით წერია, ახლა უნდა დაამტკიცოს, რომ ინგლისის ნაკრებისა და მსოფლიოს ჩემპიონატისთვისაც ჰყოფნის კვალიფიკაცია და შეუძლია, ისეთ რთულ პიროვნებას, როგორიც უეინ რუნია, ნებისმიერ პირობებში გამოავლენინოს მაქსიმუმი. აქამდე, კაპელოს ყველაზე დიდ მიღწევად 4-3-2-1 სისტემა ითვლებოდა. ამ სისტემის თანახმად **სტივენ ჯერარდი** მარცხნივ იყო გაწეული, რუნი კი ერთი შეხედვით **ემილ ჰესკის** უკან იყო დაწეული, მაგრამ, სინამდვილეში ხშირად უცვლიდა ფორვარდს ადგილსა და თავად გადადიოდა ცენტრალური ფორვარდის პოზიციაზე. ალჟირთან შეხვედრაში კი ეს სისტემა სადღაც გაქრა და ინგლისელი მოთამაშეები მოედანზე კლასიკური 4-4-2 სისტემით განლაგდნენ და არც ჯერარდისა და რუნის ურთიერთქმედება იყო ძველებურად შეწყობილი. მეტიც, ინგლისელი ჟურნალისტების მტკიცებით, უეინ რუნი ამ დღეს ბურთს საერთოდ ვერ აკონტროლებდა, მეტოქის მცველებთან ფიზიკურ ორთაბრძოლებს ერიდებოდა და მოედნის სიღრმეში იწევდა. ახლა, ოთხშაბათამდე დარჩენილ დღეებში, კაპელომ რუნის ძველებური თამაში უნდა აპოვნინოს. ის კვლავ გუნდისთვის ეფექტურად მებრძოლ ფორვარდად უნდა აქციოს და ბურთის ძებნაში ნახევარდაცვის სიღრმეში დაუსრულებელ დაწევას უნდა გადააჩვიოს.

როგორც ამბობენ, ამ ყველაფრის მოსაწყობად, არ არის გამორიცხული, მწვრთნელმა **ემილ ჰესკი** დაასვენოს და მისი საქმე **პიტერ კრაუჩს** ჩააბაროს, თუმცა, მწიფდება კიდევ ერთი ვარიანტი: რუნის წინ, ერთადერთ თავდამსხმელად განევა და მის დამხმარედ ჯერარდის გამწესება. თუმცა, ტაქტიკა ტაქტიკად და, ინგლისში თავიანთი ბიჭების ტექნიკური მომზადებითაც უკმაყოფილონი დარჩნენ. გაზეთები წერენ, რომ შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად თამაშობენ არა მხლოდ უკვე ნახსენები ფეხბურთელები, რუნი და ჯერარდი, არამედ სხვებიც : **ფრენკ ლემპარდისა და გარეთ ბერის** ჩათვლით.

კაპელო: *„თუ გავითვალისწინებთ, რა დონის ფეხბურთელები გვყავს, მართლა ძალიან გასაკვირია, რატომ ვაკონტროლებდით პირველ ორ შეხვედრაში ბურთს ასე ცუდად და რატომ დაიკარგა ამდენი პასი... მაინც იმ აზრისკენ ვიხრები, რომ ფეხბურთელებს მსოფლიოს ჩემპიონატისა ეშინიათ. მე ამის შესახებ ბიჭებთან ყოველდღე ვლაპარაკობ, ვარჯიშებზე უნაკლოები ვართ, მაგრამ თამაშებზე სულ სხვა რამეს ვხედავთ. არადა,თითქოს რა განსხვავებაა, ბურთის თამაში ბურთის თამაშია. თუ ეს გეხერხება, ყველგან უნდა გეხერხებოდეს. პირდაპირ გეტყვით, ეს ის გუნდი არ არის, რომელსაც მე ვიცნობდი. გაოცებული ვარ. მახსოვს, რა დღეში ვიყავით, როდესაც 2008 წელს საქმეს შევუდექი. მახსოვს შვეიცარიასთან პირველი ამხანაგური თამაში. შემდეგ, ხორვატებთან შეხვედრაში (ინგლისმა ზაგრებში 4:1 მოიგო) ყველაფერი გამოსწორდა და გუნდმაც სახე იცვალა. იმედი მაქვს, იგივე მოხდება ახლაც. ჩვენ ვალდებული ვართ, ისევე ვითამაშოთ, როგორც ვვარჯიშობთ. მე ფეხბურთელებისგან პასებს ვითხოვ. თუმცა, პრობლემა მხოლოდ მაშინ კი არ იჩენს თავს, როდესაც ბურთი ჩვენ გვაქვს, არამედ მაშინაც, როდესაც ბურთი მეტოქესთან გადადის. ასეთ დროს ჩვენ ის რაც შეიძლება მალე უნდა დავიბრუნოთ. ესეც ჩვენი უდიდესი პრობლემათაგანია. მეტი პრესინგია საჭირო. მე სულისკვეთება მჭირდება, მინდა ისეთი ბრძოლა და ჟინი ვნახო, როგორიც ალჟირთან შეხვედრაში ვერ ვნახე".*

შემდეგ კი კაპელოს ჰკითხეს, თუ რა უნდა ქნას ინგლისის ნაკრებმა, სლოვენებთანაც იგივე რომ არ განმეორდეს. მწვრთნელმა უპასუხა:

*„ამ გუნდში ხელშეუხებელი არავინ არის. სლოვენიასთან შეხვედრისთვის, არ არის გამორიცხული, ზოგი რამ შევცვალო. ამ მატჩისთვის მოსამზადებლად დრო გვაქვს, ასე რომ, მანამდე კარგად ავწონ-დავწონი ყველაფერს".*

დაირხა ხმა, რომ შესაძლოა კაპელომ **ჯო კოული** ათამაშოს. თავად ფეხბურთელმაც დაადასტურა, რომ კარგ ფორმაშია, არაფერი აწუხებს და მზად არის ითამაშოს, თუმცა არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმადაც, ინგლისელთა იტალიელი თავკაცი **აარონ ლენონსა** და **შონ რაიტ-ფილიპსს** არ შეელევა.

*„მინდა ჩემმა ფეხბურთელებმა იცოდნენ, რომ რაც აქამდე ვნახეთ, ეს არ არის ინგლისის ნაკრები, რომელსაც მე ვიცნობ"*, - დაადგვირგვინა კაპელომ

# ყველაფერი პრინცების ბრალია

ალჟირთან შეხვედრის შემდეგ ინგლისის ნაკრების გასახდელში ფანი შევარდა და პირველი ინფორმაციის თანახმად, გვარიანადაც ილანძღა. ამბობენ, რომ მას უნებლიეთ **დევიდ ბექჰემი** შეეფეთა და განრისხებულმა ქომაგმაც მასზე გადატეხა ჯოხი. რასაკვირველია, ფანი მალევე გააძევეს უცხო პირთათვის აკრძალული ტერიტორიიდან, თუმცა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია კეიპტაუნის „გრინ პოინტ სთედიუმის" დაცვაზე საშინლად გაბრაზდა - დიდი ბრიტანეთის პრინცებმა **ჰარიმ** და **უილიამმა** ფანის შემოვარდნამდე რამდენიმე წუთით ადრე დასტოვეს ის ტერიტორია... დაცვის ზომები დაიწუნა ფიფამაც, თუმცა, ტრადიციულად, შეეცადა არც მწვადი დაეწვა და არც შამფური - მასპინძელს აღარ აწყენინა და თქვა, სანამ საქმეს საფუძვლიანად არ გამოვიძიებთ, არაფერს ვილინებთო. დევიდ ბექჰემმა კი, როგორც ჩანს გადაწყვიტა, თანამემამულე ფანისთვის ხელი დაეფარებინა და ასე თქვა:

*„მას თამაშზე არაფერი უთქვამს. ფანი შემოვიდა და, პატარა შელამაზებით რომ ვთქვათ, მოგვესალმა, მეტი არაფერი ყოფილა. ასე ვთქვათ: ჩემსა და მას შორის პირადი საუბარი გაიმართა. ის მოულოდნელად შემოვიდა, რაღაც მითხრა და წავიდა. არანაირი აგრესია და შეხლა-შემოხლა არ ყოფილა. გაგვიმართლა იმაშიც, რომ ეს პრინცების წასვლიდან 5-10 წუთის შემდეგ მოხდა. ზოგადად კი, რასაკვირველია, ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს".*

საინტერესოა, რომ სამხრეთ აფრიკის პოლიცია წესრიგის დამრღვევ ფანს დღემდე ეძებს. როგორც ჩანს, გაიყვანეს თუ არა გასახდელიდან გაუშვეს და ახლა მისი ძებნა ზღვაში წვეთის ძებნას ემსგავსება - სამხრეთ აფრიკაში ინგლისის ნაკრებს 40 ათასი კაცი ჩაჰყვა. ერთი რამ იციან, იმ კაცს წითელი მაისურა ეცვაო.

პოლკოვნიკმა **კოლ ჯონსმა** თქვა: *„გასახდელში შეაღწია ადამიანმა, რომელიც, სავარაუდოდ, ინგლისელი გულშემატკივარი უნდა ყოფილიყო. არანაირი ცნობა იმის შესახებ, რომ ის რომელიმე ფეხბურთელის ნაცნობი იყო, არ გვაქვს. გასახდელიდან ფანი ფიფას სკაუტებმა გაიყვანეს. ამჟამად ჩვენ სტადიონის უსაფრთხოების თანამშრომლებთან ინტენსიური დიალოგი გვაქვს, რათა გამოვიკვლიოთ, ვინ იყო ეს კაცი და როგორ შეაღწია გასახდელში".*

კარგად იხუმრეს პრინცებმაც. **უილიამმა** თქვა: *„ყველაფერი ჩემი და ჰარის ბრალია. რომ გავედით, კარი არ მივკეტეთ".*

ახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია ოთხშაბათისთვის ემზადება და მასპინძლებისგან პორტ ელიზაბეტში დაცვის ზომების გაძლიერებას ითხოვს. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს ინგლისის ნაკრები სლოვენიას ხვდება. დევიდ ბექჰემმა ამ შეხვედრის შესახებაც თქვა თავისი აზრი:

*„ბოლო თამაშში საქმე მარტივად არის, უნდა მოვიგოთ და ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდეთ. ვიცი, რომ პირველ და მეორე ტურში ცუდად ვითამაშეთ, მაგრამ არც წაგვიგია. ორი თამაში ჩავატარეთ და ორივეში ფრე იყო. ერთი სიტყვით, ოთხშაბათს ერთი გამარჯვებით შეგვიძლია ყველაფერი თავის ადგილზე დავაყენოთ".*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



დევიდ ბექჰემი პრინცებს შორის

ეროვნული ბიბლიოთეკა

არგენტინა

# მარადონა და 23 მხეცი

## იგუაინი ახალი ბატისტუტააო...

სამხრეთ კორეის ნაკრების დამარცხების შემდეგ, არგენტინის ნაკრებში სრული იდილიაა. **დიეგო მარადონა** თავის შეგირდებს ყოველდღე აქებს, ფეხბურთელები კი ყველა პრესკონფერენციასა თუ ინტერვიუში იმეორებენ, რომ დიეგო „ალბისელესტესთვის" იდეალური მწვრთნელია. ამ მოსაზრებას ბევრი არ ეთანხმება, მაგრამ დიეგოსადმი კრიტიკულად განწყობილი მიმომხილველები ახლა დუმილს ამჯობინებენ, რადგან მარადონას შედეგი აქვს და მთავარიც ხომ ეს არის. და მხოლოდ შედეგი? დღემდე ჩატარებული მატჩების მიხედვით, არგენტინა ბოლოლა გუნდებიდან ყველაზე ეფექტური და უხვგოლიანია. თანაც, ვერავინ იტყვის, რომ სხვა გრანდებს „ალბისელესტეზე" რთული ან ძალიან რთული მეტოქეები ჰყავდათ. არგენტინაში კრიტიკოსები ჯერჯერობით ვეღარც იმით სპეკულირებენ, რომ მარადონას გუნდის დაცვა საკმაოდ სუსტად გამოიყურება - არგენტინელებს ფეხებზე ჰკიდიათ დაცვის ხაზის სისუსტე მანამ, სანამ შეტევის ხაზი იდეალურია.

წინა ხაზი კი „ალბისელესტეს" მართლაც შთამბეჭდავი ჰყავს. თავდასხმა არც სხვა გრანდებს დაეწუნებათ, მაგრამ არგენტინა ერთადერთია, რომელმაც ორ თამაშში ხუთი გოლის გატანა შეძლო და ერთადერთი გუნდია, საიდანაც ფეხბურთელმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. **ლეო მესის** ტაქტი, **კარლოს ტევესის** რიტმი და არგენტინის ნაკრების კონცერტებს **გონსალო იგუაინი** ტუშით ამთავრებს - ყოველ შემთხვევაში, ასე იყო სამხრეთ კორეასთან და მარადონას რომ ჰკითხოთ, ასე უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ „ალბისელესტე" მსოფლიოს ჩემპიონი არ გახდება.

*„აქ იმიტომ ვართ, რომ მუნდიალი მოვიგოთ,"* - ამბობს იგუაინი და ერთი მოსმენით, შეიძლება ბანალურად ჟღერდეს, მაგრამ როგორც ჩვენი არგენტინელი კოლეგა წერს, მადრიდის „რეალის" თავდამსხმელის სიტყვებში ისეთი თავდაჯერება იგრძნობა, რომ ლამისაა შამპანურები აქედანვე ჩავაციოო.

სამხრეთ კორეასთან შესრულებული ჰეთ-თრიკით, 22 წლის იგუაინმა დაამტკიცა, რომ არგენტინის ნაკრები მარტო მესი არ არის. თუმცა არგენტინელთა ცხრიანი იმასაც აღიარებს, რომ ძალლის ბედის პატრონია - გოლების დროს გამიმართლა კიდეც, საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდიო. მაგრამ ამასაც მოხერხება უნდა, ანუ ალღო და მესი ამბობს, გონსალოს რომ საგოლე ალღო აქვს, ბარე ორმა ინატროსო. თვითონ ლეო კი ჯერ კიდევ უგოლოდაა. *„მერე რა? ამის გამო თავს წნეხის ქვეშ ნამდვილად არ მოვიქცევ. მე მგონი, ცუდად არ ვთამაშობ და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიტანს გოლებს? ვაღიარებ, რომ ცოტათი ვნერვიულობ, ორი თამაშის შემდეგ არც ერთი გოლი რომ არ მაქვს გატანილი, მაგრამ ამის გამო დეპრესიაში ნაღდად არ ჩავარდები,"* - აცხადებს მესი.

ამ დღეებში არგენტინული ბანაკიდან ყველაზე მეტს, რა თქმა უნდა, მარადონა ლაპარაკობს, თუმცა მისი განცხადებების შინაარსი თითქმის ყოველთვის ერთნაირია და დიეგოს ყველა რეპლიკა, შეგვიძლია, ერთ წინადადებაში ჩავატიოთ. კერძოდ: *„ორი თამაში, ორი მოგება - ყველაფერი გენიალურადაა, სწორ გზაზე ვართ, ასე უნდა გავაგრძელოთ, ჩვენს სტილს არ უნდა ვუღალატოთ და მნიშვნელობა არა აქვს, ვის შევხვდებით, ყველას ცუდ დღეშ ჩავაგდებთ!"*

მომდევნო გაჩერება საბერძნეთია - მარადონას გუნდი სამშაბათს **ოტო რეჰაგელის** გამოფხიზლებულ საბერძნეთს დაუპირისპირდება და მართალია, „ალბისელესტეს" ფრეც ჰყოფნის იმისათვის, რომ მერვედფინალში გავიდეს, დიეგოს გუნდი მაინც მხოლოდ სამი ქულისთვის იბრძოლებს.

**კარლოს ტევესს** არ მოსწონს ის, რომ არგენტინა ჯერჯერობით ყველაზე შთამბეჭდავი გუნდია. *„ჩემი აზრით, უმჯობესი იქნებოდა, რომ სხვა გუნდებზე უფრო მეტი ესაუბრათ, ვიდრე ჩვენზე. კარგ ფორმაში კი ვართ, მაგრამ თუ მსოფლიოს ჩემპიონობა გვინდა, კიდევ უნდა მოვუმატოთ, თანაც ძალიან,"* - ამბობს ტევესი.

კარლიტო, მესი და იგუაინი სამხრეთ აფრიკაში 84-გოლიანი შედეგით გაემგზავრნენ - სწორედ ამდენი გოლი გაიტანა ამ ტრიომ გასულ საკლუბო სეზონში. თუკი ნიგერიასთან თავი მცველმა **გაბრიელ ჰაინცემ** გამოიჩინა, სამხრეთ კორეის განადგურების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა და არგენტინიდან წამოსული კრიტიკის კორიანტელიც დროებით ჩაცხრა, რაც იგუაინის და მსოფლიოს ჩემპიონატების ისტორიაში შესრულებული 49-ე ჰეთ-თრიკის დამსახურებაა.

თანაც, გონსალო მესამე არგენტინელი გახდა, რომელმაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ჰეთ-თრიკი შეასრულა. ასეთი პატივი ორჯერ ხვდა წილად **გაბრიელ ბატისტუტას** (ბოლოს 1998 წელს). სწორედ ამიტომ, პარასკევს არგენტინული გამოცემა „კლარინი" წერდა: „იგუაინი ახალი ბატისტუტაა!"

ეს, რა თქმა უნდა, გადაჭარბებული ნათქვამია და იგუაინს „ბატიგოლამდე" ჯერ ძალიან ბევრი უკლია, მაგრამ ფაქტია, რომ სწორ გზას ადგას.

*„ვამაყობ, რომ გონსალო ჩემი ვაჟია. მან ისეთი რამ შეძლო, რაზეც ბავშვობიდან მეც ვოცნებობდი. მიხარია, რომ ჩემი ოცნება ჩემმა შვილმა მაინც აისრულა,"* - უთხრა გონსალოს მამამ, ხორხე იგუაინმა „კლარინს" და აღსანიშნავია, რომ უფროსი იგუაინიც ფეხბურთელი იყო და როცა გონსალო დაიბადა, ხორხე ფრანგულ კლუბ „სტად ბრენში" თამაშობდა. სხვათა შორის, იგუაინის გადაბირება საფრანგეთის ნაკრებს სურდა, მაგრამ გონსალომ სამშობლო არჩია.

შესრულებული ჰეთ-თრიკის შემდეგ, იგუაინის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირობის ბრწყინვალე შანსი აქვს და გოლების აქტივის გაზრდას საბერძნეთთანვე ეცდება...

### 23 მხეცი

არგენტინის ნაკრებში ცვლილებები მოხდება. **დიეგო მარადონა** საბერძნეთთან ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურის მატჩში განსხვავებულ შემადგენლობას გამოიყვანს და თავის გამოჩენის შანსს სხვებსაც მისცემს. თუმცა ცვლილებების მიზანი მხოლოდ ეს არ არის - არგენტინის ნაკრების თავკაცი გუნდის წამყვან ფიგურებს უფრთხილდება, რაკი ფიქრობს, რომ „ალბისელესტე" კიდევ უფრო შორს წავა. შეგახსენებთ, რომ B ჯგუფში არგენტინის ნაკრებს ორივე მატჩი მოგებული აქვს - ნიგერიასთან 1:0, სამხრეთ კორეასთან კი 4:1.

რაც შეეხება ცვლილებებს. ერთი იძულებითია - მარჯვენა მცველმა **ხონას გუტიერესმა** კორეელებთან მეორე ყვითელი ბარათი მიიღო და ისედაც გამოტოვებს თამაშს. როგორც არგენტინული „ლა ნასიონი" გვარწმუნებს, მარადონა მის ადგილზე **ნიკოლას ოტამენდის** დააყენებს.

ვერ ითამაშებს **ვალტერ სამუელიც**, რომელმაც კორეასთან მატჩში ტრავმა მიიღო. მარადონა გახარებულია, რომ სამუელის ტრავმა სერიოზული არ აღმოჩნდა. თუმცა დიეგო მაინც დაიზღვევს თავს და როგორც „ოლე" წერს, **ნიკოლას ბურდისოს** უხმობს.

როგორც ამბობენ, მარადონას ინიციატივითვე დაისვენებს **ხავიერ მასკერანოც**, რომელსაც ერთი ყვითელი ბარათი აქვს და არის საშიშროება, ბერძნებთან კიდევ ერთი გაფრთხილების შემთხვევაში, მერვედფინალური (სადაც ყველა წესით და კანონით არგენტინა უნდა მოხვდეს) მატჩი გამოტოვოს. ყველაზე რეალურია, მასკერანოს ნაცვლად „ფიორენტინას" ნახევარმცველმა **მარიო ბოლატიმ** ითამაშოს.

ასევე მოსალოდნელია, დაასვენონ **ლიონელ მესი** და **გონსალო იგუაინიც**, სამაგიეროდ კი, ითამაშოს **ხუან სებასტიან ვერონმა**, რომელსაც სამხრეთკორეელებთან მატჩი ტრავმის გამო გაუცდა. არის შანსი, რომ ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში მარადონამ სასტარტოში დააყენოს ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩის გმირი **დიეგო მილიტო** და თავისი სიძე **სერხიო აგუერო**.

*„გუნდში მყავს 23 მხეცი, ესე იგი, მყავს 23 ფეხბურთელი, რომელთაგან თითოეული სასტარტო შემადგენლობის ღირსია",* - განაცხადა მარადონამ დღევანდელ პრესკონფერენციაზე.


გონსალო იგუაინი

გერმანია


გერმანიის ნაკრების მწვრთნელი იოახიმ ლიოვი და კაპიტანი ფილიპ ლამი

# ლიოვი: სანერვიულო არაფერია!

## გერმანელებმა სერბეთი უკვე დაივიწყეს და გულშემატკივრებისთვის ბოდიშის მოხდას განასთან გამარჯვებით აპირებენ

ბოლო 24 წელიწადში მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფურ ეტაპზე განცდილი პირველი მარცხის (0:1 სერბეთთან) შემდეგ მეცხრე ციდან მიწაზე დაშვებული და ოცნების მწვერვალიდან რეალობაში დაბრუნებული გერმანიის ნაკრები მესამე ტურის შეხვედრისთვის ემზადება. მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, ბუნდესგუნდის მთავარი მწვრთნელი **იოახიმ ლიოვი** მაინც ოპტიმისტურადაა განწყობილი და ოთხშაბათს, განასთან პირველი ადგილისთვის გასამართი „ფინალის" მოგებაში ეჭვი არ ეპარება. ოპტიმიზმი არც ფეხბურთელებს აკლიათ. გუნდის კაპიტანი **ფილიპ ლამი** ამბობს, ოდნავადაც არ ვნერვიულობო.

სერბეთთან წაგება ექსპერტებმაც შეაფასეს და მათაც მიაჩნიათ, რომ მიუხედავად დამძიმებული მდგომარეობისა, გერმანიას სანერვიულო არაფერი აქვს. მათ შორისაა შვეიცარიის ნაკრების თავკაცი **ოტმარ ჰიტცფელდიც**, რომელიც ამბობს: *„გერმანიის ნაკრებს ყოველთვის რკინის ნერვები ჰქონდა და არა მგონია, რომ დღევანდელი ბუნდესგუნდი ამ მხრივ გამონაკლისი იყოს. ლიოვი გუნდს განასთან მატჩისთვის ისე მოამზადებს, რომ ორი აზრი არ არსებობს, გერმანია მერვედფინალში გავა,* - თქვა მიუნხენის „ბაიერნისა" და დორტმუნდის „ბორუსიას" ყოფილმა მწვრთნელმა შაბათს, - *ხომ ნახეთ, მიუხედავად კაცნაკლულობისა, გერმანელებმა სერბეთის საკმაოდ ძლიერ გუნდთან მაინც კარგად ითამაშეს."*

ლიოვის თქმით, ასეთი რანგის ტურნირზე შეუძლებელია, რომ გუნდმა ყველა თამაში უმაღლეს დონეზე ჩაატაროს - კარგია, რომ მცირე ჩავარდნა ჯგუფში გვქონდა და თანაც, მერვედფინალში გასვლის შანსი შევინარჩუნეთო. მართალია, ეს ყველაფერი თავის მართლებას უფრო ჰგავს, მაგრამ სანამ ბუნდესგუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეა, ლიოვს ვერავინ გაკიცხავს. თუმცა იოგი იმდენად თავდაჯერებულია და სერბეთთან ფიასკოს შემდეგ ისე იქადნება, რომ თუ გერმანელებს ფეხი სერიოზულად დაუცდათ, აი, მერე კი ნამდვილად ცოდვა იქნება.

ყველაფერთან ერთად, ბუნდესმწვრთნელი გულშემატკივრებს იმასაც ჰპირდება, რომ მისი შეგირდები განასთან კვლავ შემტევ და ვაჟკაცურ ფეხბურთს ითამაშებენ. *„განასთან აუცილებლად უნდა შევუტიოთ. მერვედფინალში მხოლოდ ასე გავალთ,"* - ამბობს გერმანიის ნაკრების 50 წლის დამრიგებელი.

ლიოვის აზრით, განაც შემტევ ტაქტიკას აირჩევს და წინა ხაზში სწრაფი პასებით შეეცდება გერმანიის დაცვის აფორიაქებას. *„ზუსტად ვიცი, რომ ძალიან მაღალი ტემპი იქნება, მაგრამ ჩვენ არაფრის გვეშინია. თუ განა ფიზიკურად კარგად არის მომზადებული, არც ჩვენ ვართ ვინმეზე რამეთი ნაკლებნი,* - ამბობს ლიოვი და იქვე დასძენს, - *მშვიდად ვარ და ნერვებს ვერაფერი მომიშლის. ვიცი, რომ სერბეთთან ყველას იმედები გავუცრუეთ, მაგრამ ჩვენი ბედი ჩვენს ხელთაა."*

კაპიტანი ლამი კი იმაზე ამახვილებს ყურადღებას, რომ მისი თანაგუნდელები მსაჯების სხვანაირ მიდგომას უნდა შეეჩვიონ და გაითვალისწინონ, რომ ამ მუნდიალზე ფეხბურთელები მცირე უხეშობისთვისაც კი მკაცრად ისჯებიან. თვითონ ფილიპს ყვითელი ბარათი მიღებული აქვს. ასეთივე მდგომარეობაში არიან **ბასტიან შვაინშტაიგერი, სამი ხედირა, მესუთ იოზილი** და **კაკაუ**. შესაბამისად, თუ რომელიმე ან რამდენიმე მათგანი განასთან მორიგ გაფრთხილებას „აიკიდებს", მერვედფინალის (გასვლის შემთხვევაში) გამოტოვება მოუწევს. ეს კი ძალიან საშიშია, რადგან გერმანიას დასაკარგი ფეხბურთელები არ ჰყავს. მით უმეტეს, რომ გამორიცხული არაა, ბუნდესგუნდი მერვედფინალში ინგლისის ნაკრებს დაეჯახოს.

მიუხედავად ამისა, ლიოვი ფეხბურთელებს ორთაბრძოლებში თამამად შესვლას არ აუკრძალავს. *„არცერთ გაფრთხილებულ ფეხბურთელს არ ვეტყვი, რომ ფრთხილად იყოს. ისე უნდა ვითამაშოთ, როგორც ვთამაშობთ ხოლმე. ამაში კი ზომიერი აგრესიაც შედის,"* - აცხადებს ლიოვი. ერთი რამ ამთავითვე ცხადია: გერმანიას განასთან **მიროსლავ კლოზე** არ ეყოლება - „ბაიერნის" თავდამსხმელი ხომ სერბეთთან გააძევეს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი

# ანელკამ დომენეკს აგინა...

## ...მაგრამ ეს მხოლოდ ჟურნალი იყო. ქაოსი სამფეროვანთა ბანაკში

საფრანგეთის ნაკრებში ჯანსაღი ატმოსფერო რომ არ სუფევს, ეს უცხო თვალისთვისაც ადვილი შესამჩნევია, მექსიკასთან მატჩის შესვენებისას მომხდარი ამბავი კი საბოლოოდ ცხადყოფს, რომ **რაიმონ დომენეკს** მართვის სადავეები მთლიანად გაექცა ხელიდან.

სათაურში მოყვანილი ამბავი კი ასე დაიწყო: გასახდელში დომენეკმა **ნიკოლა ანელკას** მექსიკელებთან პირველ ტაიმში ნაჩვენები უსახური თამაშისთვის შენიშვნა მისცა და მეტი აქტიურობისკენ მოუწოდა. პასუხად ფორვარდმა მწვრთნელს არც მეტი და არც ნაკლები, უშვერი სიტყვებით აგინა. დომენეკმა ანელკა იმწამსვე შეცვალა და მოედანზე მის ნაცვლად **ანდრე-პიერ ჟინიაკი** შეიყვანა.

ანელკას უსაქციელობის ამბავი უმალ გახმაურდა და საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას საჯაროდ ბოდიშის მოხდა მოსთხოვა. ამაზე ნიკოლამ უარი თქვა და ფრანგული ფეხბურთის მამებმა ნაკრებიდან მოკვეთეს. იმის მიუხედავად, რომ ალბათ, არც მთელი საფრანგეთის ნაკრების სამშობლოში დაბრუნებამდეა დიდი დრო დარჩენილი, ანელკამ სამხრეთ აფრიკა გუშინ საღამოს დატოვა. მანამდე კი განაცხადა, არა მხოლოდ მსოფლიოს ჩემპიონატს ემშვიდობება, არამედ სანაკრებო კარიერასაც ასრულებს.

მომხდართან დაკავშირებით საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჟან-პიერ ესკალეტმა** და ნაკრების კაპიტანმა **პატრის ევრამ** პრესკონფერენცია გამართეს. ესკალეტმა დომენეკის მხარე დაიჭირა, ევრამ კი ნაკრებში შექმნილ მძიმე მდგომარეობაზე უფრო ვრცლად ისაუბრა: *„მიმაჩნია, რომ ანელკა სულაც არ არის საფრანგეთის ნაკრების მთავარი პრობლემა. ჩვენ შორის არის ვილაც გამცემი, რომელიც წყალს ამღვრევს. ჩვენ იგი გუნდიდან უნდა გავაძევოთ, რადგან მას უნდა, რომ ტკივილი მოგვაყენოს. ეს არ არის პატარა თაგვი, ეს ადამიანია, მაგრამ არ ვიცი, ვინაა, ჯადოქარი ხომ არ ვარ, რომ გამოვიცნო“.*

ლაპარაკია საფრანგეთის ნაკრების ინკოგნიტო ფეხბურთელზე, რომელმაც დომენეკსა და ანელკას შორის მომხდარ კონფლიქტზე გაზეთ „ეკიპის“ ჟურნალისტს უამბო. ევრამ კი ბოლოს ისიც თქვა, ანელკას საქციელი ჩემთვის აბსოლუტურად მიულებელიაო.

მაგრამ ეს ყველაფერი ჟურნალი ყოფილა. „სამფეროვანთა“ ბანაკში ქაოსი ანელკას ნაკრებიდან გაგდებით არ დასრულებულა. თურმე, დომენეკს შელაპარაკება ევრასთან და ფიზმომზადების მწვრთნელ **რობერ დუვერნთანაც** მოსვლია, რის შემდეგაც ამ უკანასკნელმა ნერვები ვერ მოთოკა და თავისი აკრედიტაცია ძირს დაახეთქა. იმასაც ამბობენ, რომ ამის შემყურე ფეხბურთელებმა ვარჯიში თვითნებურად მიატოვეს და ავტობუსში ჩასხდნენ.

ამ ყველაფრის ფონზე, საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის დირექტორმა **ჟან-ლუი ვალენტინმა** თანამდებობიდან გადადგომა და პარიზში დროზე ადრე დაბრუნება გადაწყვიტა. *„მრცხვენია იმ ყველაფრის გამო, რაც ახლა საფრანგეთის ნაკრების ბანაკში ხდება. მომხდარი ამბები არა მხოლოდ ფრანგული ფეხბურთის, არამედ მთელი ქვეყნის სირცხვილია“,* - განაცხადა მან.

ფრანგული პრესა ვარაუდობს, რომ ევრასა და დომენეკის სიტყვიერი დაპირისპირება, ასევე ფეხბურთელთა დემარში ანელკასადმი სოლიდარობის გამოხატვაა.

**ლევან ჯანეზაშვილი**



ნიკოლა ანელკამ საფრანგეთის ნაკრები დატოვა

სიახლე თიაქრის მკურნალობაში




საყლაპავის და მუცლის თიაქრების
მკურნალობა ლაპარასკოპული მეთოდით
კონსულტაცია უფასოა
მედ. მეც. დოქტორი თენგიზ ჩართოლანი
ტელ: 77-19-06; 899 56-13-71; 33-78-74 (სახლი)
ჯანმრთელობის სახლი, „არამიანცის“ საავადმყოფო

ჩაშლილი ტრანსფერი?

# მაკლიში კინილოგია



„ბირმინგემს“ ჯერ იტალიელი თავდამსხმელის **ფაბრიციო მიკოლის** ყიდვა უნდოდა, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი რომ გამოვიდა, **რობი კინს** მიადგა. საინტერესო ის გახლავთ, რომ ჩია და ტექნიკური მიკოლის თაობაზე ბირმინგემელები „პალერმოსთან“ უკვე შეთანხმებულები იყვნენ. ოთხწლიანი კონტრაქტის შედგენილი და გამართული გახლდათ, ინგლისელები იტალიელებს 5 მილიონ ფუნტს ანუ თითქმის 6 მილიონ ევროს უხდიდნენ, მაგრამ ბოლო წამს ტრანსფერი თავად ფეხბურთელმა ჩაშალა.

ჩაიშალა თუ არა მიკოლის ტრანსფერი პრემიერლიგელებმა სხვა ვარიანტების ძებნა დაიწყეს. საქმე ის გახლავთ, რომ პრემიერლიგის მეცხრე ადგილოსანმა **ნიკოლა ჟიგიჩი** შეიძინა. ჟიგიჩი, 202 სანტიმეტრი სიმაღლის 29 წლის თავდამსხმელი „ვალენსიას“ საკუთრება გახლდათ. მისი ფიზიკური მონაცემებიდან გამომდინარე იოლი მისახვედრია, რომ ბირმინგემელების თავკაც **ალექს მაკლიშს** ტაქტიკური სრულყოფილებისთვის სერბთან შეწყვილებული უფრო ტანმორჩილი და მოძრავი თავდამსხმელი სჭირდება. და აი, ამიტომ გაჩნდა ზემოხსენებული ირლანდიელის „ტოტენჰემიდან“ გადაბირების იდეა. თან, ყველამ იცის, რომ კინი „სფურზის“ მწვრთნელს **ჰარი რედნაპს** ძველებურად აღარ მოსწონს. მეტიც, გასულ სეზონში მან კინი „სელტიკში“ გააქირავა, რადგან „უაით ჰართ ლეინზე“ რომ დაეტოვებინა მოთამაშისთვის ცუდი იქნებოდა - სათადარიგოთა სკამს ვერ აცდებოდა და პრაქტიკის გარეშე დარჩებოდა.

აღსანიშნავია, რომ კინის გადაბირებით ქალაქ ბირმინგემის მეორე გუნდი „ასტონ ვილაც“ არის დაინტერესებული, მაგრამ მაკლიშმა დაასწრო - „ბირმინგემმა“ უკვე აამოქმედა აგენტები და ესეც არ იყოს, „ასტონ ვილამ“ რომელიმე ფეხბურთელი რომ შეიძინოს, ჯერ ვინმე უნდა გაყიდოს, რათა ნავაჭრი ფულით ბაზარში ხელახლა გავიდეს.

რაკილა „ბირმინგემის“ ამბებს მოგახსენებთ, დავაზუსტოთ, რომ მაკლიშმა კლუბის მეპატრონე **კერსონ იეუნგს** უკვე დაახარჯვინა დაახლოებით 12 მილიონი ფუნტი, 14,5 მილიონი ევრო - ამ თანხის ნახევარი ზემოხსენებული ჟიგიჩის შეძენაში დაიხარჯა და ნახევარიც „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მეკარე **ბენ ფოსტერის** ყიდვამ წაიღო. რაც შეეხება კინს, ის მარტო ღირს 12 მილიონი ევრო - შეგახსენებთ, რომ 29 წლის ირლანდიელი „ტოტენჰემში“ ერთი წლის წინ „ლივერპულიდან“ დაბრუნდა.

საინტერესო ფაქტია: ჟიგიჩთან „ბირმინგემმა“ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და ფეხბურთელს ხელფასად კვირაში 50 ათასი ფუნტი დაუნიშნა, რაც, როგორც ირკვევა, კლუბის სახელფასო სტრუქტურისა და პრინციპების დარღვევაა. თან, სერბის გამოჩენამ გასულ სეზონში გუნდის საუკეთესო ბომბარდირი **კემერონ ჯერომი** აიძულა მაკლიშთან თავისი აგენტები მიეგზავნა და ხელშეკრულებაში ხელფასის პუნქტის გადასწორებაზე დაეწყო ლაპარაკი.

გარდა ამისა, „ბირმინგემი“ მოლაპარაკებებს აწარმოებს „კრისტალ პალასთან“, რომლისგანაც მარჯვენა მცველი, 19 წლის **ნათანიელ კლაინის** ყიდვას აპირებს.

**ილია ბაბუნაშვილი**

მუნდიალს მიღმა

# მაკარონე პალერმოს გაიფორმა

ᲘᲢᲐᲚᲘᲣᲠᲘ პრესის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრაქტიკულად გადაწყვეტილი ამბავია, რომ მომავალი სეზონიდან **მასიმო მაკარონე** „პალერმოს“ ღირსებას დაიცავს. 30 წლის ფორვარდმა გასული სეზონი „სიენას“ შემადგენლობაში გაატარა და მიუხედავად იმისა, რომ ტოსკანურმა გუნდმა სერია A დატოვა, თვითონ მაკარონემ თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინა. შესაბამისად, ორი აზრი არ არსებობდა, რომ გაცილებით უფრო ამბიციურ გუნდში გააგრძელებდა კარიერას. პრესა ჯერჯერობით ზუსტ ინფორმაციას არ ფლობს იმის შესახებ, თუ რამდენწლიანი იქნება ხელშეკრულება, თუმცა კულუარებიდან გამოჟონილი ცნობის თანახმად, კონტრაქტი ორ სეზონზე იქნება გათვლილი. მასიმო „სიენას“ შემადგენლობაში წლების განმავლობაში თამაშობდა და „შავთეთრი“ მაისურით 40 გოლი აქვს გატანილი.

„პალერმოს“ თავკაცის **დელიო როსის** თქმით, ამ ზაფხულს გუნდი კიდევ უფრო გაძლიერდება და მომდევნო სეზონში ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებას შეეცდება: *„ამბიციური მიზნები გვაქვს და შესაბამისად, გაძლიერებას ვაპირებთ. ყველა ამპლუაში თითო მაღალკვალიფიციური ფეხბურთელი მაინც უნდა დავიმატოთ, რომ გრანდებს ღირსეული კონკურენცია გავუწიოთ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ წამყვანი ფეხბურთელები აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ“.*

გუშინვე, „პალერმოს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა დაადასტურა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მაკარონე კარიერა სიცილიურ გუნდში გააგრძელებს.

**ლაშა ნიკლაური**



მასიმო მაკარონე

# რაზე ამბობს სილვა უარს...

ᲐᲡᲔᲗ რამეს იშვიათად ნახავთ - ფეხბურთელს კვირაში 160 ათას ფუნტ სტერლინგს (192 ათასი ევრო) სთავაზობენ „მანჩესტერ სიტიში“, ის კიდევ... ჩემთვის დიდი პატივი იქნება „ჩელსიში“ თამაშიო. მუნდიალზე მყოფმა **დავიდ სილვამ** კი ზუსტად ასე გააკეთა.

„დეილი მირორის“ ცნობით, „სიტის“ დავიდ სილვას შეძენა, შესაძლოა, 30 მილიონი ფუნტი სტერლინგი დაუჯდეს, ესპანელს ხუთწლიან კონტრაქტს სთავაზობენ მართლაც ზღაპრული ხელფასით (ხუთ წელიწადში 40 მილიონი ფუნტი სტერლინგი გამოდის). ამ დრომდე სილვას მომავალს უფრო ესპანურ გრანდებთან აკავშირებდნენ, „რეალთან“ და „ბარსელონასთან“, თუმცა თავად შემტევი ნახევარმცველი ახალი სარბიელით, ინგლისური პრემიერლიგით არის დაინტერესებული. „სიტის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი **გარი კუკი** უკვე დაუკავშირდა „ვალენსიას“ პრეზიდენტ **მანუელ ლორენტეს** და ოფიციალური შეთავაზებაც გაუკეთა.




„სიტის“ გარდა სილვას შეძენით სერიოზულადაა დაინტერესებული „ჩელსიც“, როგორც ჩანს, თავად ფეხბურთელს ლონდონში თამაში ურჩევნია. სილვას სურს თავი ჩემპიონთა ლიგაში გამოიჩინოს, ამიტომ მანჩესტერულ კლუბს, ალბათ, უარით გაისტუმრებს.

*„ბოლო ხუთ წელიწადში „ჩელსი“ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ჩამოყალიბდა. შესაძლოა, მას ისეთი დიდი ისტორია არა აქვს, როგორც „რეალს“ ან „მილანს“, მაგრამ დღეისათვის კლუბი ძალიან მაგარია. „ჩელსის“ „ბარსელონასთან“ ერთად საუკეთესო შემადგენლობა ჰყავს. ჯონ ტერის, ფრენკ ლემპარდისა და დიდიე დროგბას გვერდიგვერდ თამაში ჩემთვის დიდი პატივი იქნება“,* - განაცხადა ესპანეთის ნაკრების ნევრმა იოჰანესბურგში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოლიმპი

# ტატანაშვილი და მოდებაძე რუსთავში?

## ოლიმპმა წააგო და გასასინჯები გაუშვა

მოსამზადებელ ეტაპზე „ვიტ ჯორჯიამ" „ოლიმპთან" პირველი შეხვედრა ჩაატარა. რუსთაველებმა „დინამოსთან" მარცხის შემდეგ (0:3) მეორე სპარინგიც წააგეს - 0:2. „ოლიმპი" ახალი გუნდია, შეუთამაშებელია და მისი წაგება ლოგიკურიც გახლდათ. ლიდერების წასვლის შემდეგ ბევრი ფიქრობდა, რომ „ვიტ ჯორჯია" დასუსტდებოდა. თუმცა რუსთავში გამოჩნდა, რომ **გურამ რუხაძის** „კონვეიერი" კვლავ გამართულად და ჩავარდნის გარეშე მუშაობს. რუსთაველებს ასეთი აწყობილი სისტემა აკლიათ და სწორედ ამის შედეგია, ყოველ ნახევარ სეზონში საკადრო პრობლემების მოგვარებას რომ ცდილობენ.

„ვიტ ჯორჯია" უფრო შეთამაშებულად გამოიყურებოდა, მასპინძლები კი ერთმანეთს ვერ უგებდნენ და მხოლოდ ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე ცდილობდნენ მომენტების შექმნას. პირველ ტაიმში რამდენჯერმე მშვენივრად ითამაშა ბრაზილიელმა თავდამსხმელმა **მანზატომ**, რომელმაც თანაგუნდელები ორჯერ მეკარესთან პირისპირ დატოვა: პირველ შემთხვევაში ალბანელ ფორვარდ **რომეო რამზაის გურამ ადამაძემ** დაასწრო და ვითარება განმუხტა. მეორედ კი **დავით ბოლქვაძეს გიორგი ჭედიამ** შეუშალა ხელი და მან **არდალიონ მიქაბერიძეს** ველარ აჯობა.

ანგარიში 37-ე წუთზე გაიხსნა: **დავით მაისაშვილის** წამოწყებული კომბინაცია **ჯაბა ლიპარტიამ** გააგრძელა, მცველებს დაუსხლტა და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა - 0:1.

ტაიმის მიწურულს **ლუკა რაზმაძის** გადაცემის თავურით დაგვირგვინებას **დავით გიგაური** ცდილობდა, მაგრამ ბურთი კარს ააცილა.

ტაიმის მიწურულს, **დავით ლომაიას** თავურის შემდეგ, „ოლიმპი" მეკარე **ზურაბ ბათიაშვილმა** გადაარჩინა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა მეორედაც გაიტანეს: შეტევა კვლავ ლიპარტიას აქტიურობას მოჰყვა, მან საჯარიმოში **დავით ხურცილავა** დასარტყმელ პოზიციაზე გაიყვანა და ამ უკანასკნელმა ბედიაშვილს ახლო კუთხეში მოულოდნელი დარტყმით გაუტანა - 0:2.

„ვიტ ჯორჯიას" სელექცია გაოცებასა და პატივისცემას იმსახურებს. ამის წყალობით ლიდერებისგან დაცლილ „ვეტერინარებს" წელსაც სერიოზული გუნდი ეყოლებათ. ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპამდე (1 ივლისი) „ოლიმპის" მთავარი მწვრთნელი **თემურ მახარაძე** კი უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდა - გუნდიდან 12 წამყვანი მოთამაშე გაუშვეს (ან ისინი საკუთარი ნებით წავიდნენ), თან „ოლიმპს" ფინანსურადაც არ ულხინს, უცხოური შეკრება, ფაქტობრივად, გამოირიცხა და, რაც მთავარია - დღემდე მოუგვარებელია თავდამსხმელის პრობლემა.

პირველ ტაიმში მანზატომ რამდენიმე ეპიზოდში საინტერესოდ ითამაშა, მაგრამ მეორე ტაიმში ფეხი ველარ გაანძრია. როგორც შევიტყვეთ, მას და დანარჩენ სამ გასასინჯ ფეხბურთელს - ჩერნოგორიელ ცენტრალურ მცველ **იგორ კუცს**, ესტონელ მარცხენა მცველ **ურმას როობასა** და ალბანელ ფორვარდ **რომეო ჰამზაის** სახლში უშვებენ. არადა, მანზატომ რაც გააკეთა, იმას უნიჭო ფეხბურთელი ვერ გამოავლენდა.

საკითხავიც სწორედ ესაა - რამდენად ეფექტური და გამართლებულია ერთ კვირაში ფეხბურთელზე დასკვნის გაკეთება, როცა ის უცხო გარემოში „გახსნას" ვერ ასწრებს? „ოლიმპს" თავდამსხმელი არც დარჩა, რადგან **რეზო ჯიქია** ტრავმირებულია, **სანდრო იაშვილი** კი წავიდა და საკითხავია, უთავდამსხმელო გუნდიდან ბრაზილიელის გაშვება ნაჩქარევი გადაწყვეტილება ხომ არ იყო, იქნებ დრო მისცენ და გაიხსნას?

მატჩის შემდეგ „ოლიმპის" ხელმძღვანელობას დაველაპარაკეთ...

ოლიმპის ვიცე-პრეზიდენტი ზურაბ ჯაფარიძე

**- ბატონო ზურაბ, ცენტრალური თავდამსხმელის პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?**

- ვიცოდით, რომ ძლიერი ფეხბურთელები ჩამოდიოდნენ, მაგრამ იმედები გაგვიცრუეს. ახლა სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოვჩნდით და ვფიქრობთ, რა გავაკეთოთ.

**- სანდრო იაშვილის დაბრუნებას გამორიცხავთ?**

- გამორიცხულია, რადგან სანდრო ვარჯიშებს აცდენდა. მისი და ჯიქიას იმედი გვქონდა, მაგრამ იაშვილმა ვარჯიშები გააცდინა და მერე საერთოდ დაგვეკარგა. ჯიქია კი კვლავ მკურნალობს. ასე რომ, სასწრაფოდ გვჭირდება თავდასხმელი!

**- თქვენზე მეტად „ოლიმპზე" გული ვის უნდა შესტკიოდეს, მაგრამ გაუგებარია, რა საჭიროა ყოველ ნახევარ წლიწადში საკადრო რევოლუცია, ასე ხომ გუნდი აშკარად სუსტდება?!**

- ბევრი ფეხბურთელი და მწვრთნელიც გაგვიშვია, მაგრამ ამას შედეგიც გამოუღია. ვისაც „ოლიმპში" თამაში არ სურს და სხვაგან უკეთეს პირობებს სთავაზობენ, ძალით ხომ არ გავაჩერებთ?

**- მეკარე გია ჭანტურიას რას ერჩოდით? 37 წლისაა და მიუხედავად ამისა, საქართველოში საუკეთესო იყო. იმედაშვილიც გულდაწყვეტილი დარჩა, პირობები რომ არ შესთავაზეთ...**

- იმედაშვილმა ისეთი პირობები მოგვთხოვა, მისი დაკმაყოფილება შეუძლებელი იყო და ვერ მოვილაპარაკეთ, თორემ მისი დატოვება როგორ არ გვსურდა. რაც შეეხება ჭანტურიას, მისით უკმაყოფილო არ ვყოფილვართ და ისიც ყველამ კარგად იცის, რომ საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო მეკარეა... მაგრამ ჩვენ უფრო ახალგაზრდა მეკარისკენ გადავიხარეთ. თანაც, გია ბედიაშვილი რუსთაველია და „ოლიმპში" გადმოსვლის სურვილი თავადაც გამოთქვა. საერთოდ, არსებული ვითარება უიმედოდ ნამდვილად არ მიმაჩნია, რადგან ოთხი ვიტჯორჯიელი გვყავს. ისინი „ოლიმპის" ლიდერებთან საერთო ენას იოლად მოძებნიან. როცა ფეხბურთელები ჯგუფურად გადმოდიან, შეუთამაშებლობის პრობლემა ნაკლებად მტკივნეულია. გენაძე ჩვენთან იყო და ადაპტაცია არ დასჭირდება. ეს უკვე ბირთვია და ორ-სამ ახალწვეულს მათთან შეგუება არ უნდა გაუჭირდეს...

თემურ მახარაძე, ოლიმპის მთავარი მწვრთნელი

**- ბატონო თემურ, გუნდი აშკარად ვერ არის კარგ მდგომარეობაში, ფეხბურთელები შეუთამაშებლები არიან, შეტევის წამოწყება და ორგანიზება ჭირს...**

- უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით, მორიგი საკადრო რევოლუცია მოხდა და არ ვიცი, დარჩენილ სამ კვირაში მოხერხდება თუ ვერა ისეთი გუნდის ჩამოყალიბება, ევროპაში საქართველო ღირსეულად რომ წარმოაჩინოს. ამ ყველაფერს 7 ფეხბურთელის ტრავმა ემატება - გენაძე, ჯაფარიძე, ლონლაძე, ხუბუა, რეხვიაშვილი, ჯიქია ვერ ვარჯიშობენ, ჭედიაც მხოლოდ ახლა დაგვიბრუნდა... აი, ასეთ რთულ ვითარებაში ვართ...

**- ნუთუ არ გსურდათ იმ ფეხბურთელების დატოვება, რომლებმაც გუნდს ჩემპიონობა მოუპოვეს?**

- სამწუხაროდ, რიგი მიზეზების გამო, ასე მოხდა. პირველ წრეში 13 ფეხბურთელი წავიდა, სეზონის შემდეგ კი - 11.

**- ჩემპიონთა ლიგის პირველ შეხვედრამდე გუნდის შეთამაშება და გაძლიერება შესაძლებლად მიგაჩნიათ?**

- ვნახოთ... ტრავმირებულების გამოჯანმრთელებას დაველოდებით და იქნებ, ვინმე კიდევ დავიმატოთ. რამდენიმე საკონტროლო შეხვედრის გამართვაც დაგვეხმარება, გუნდის სახე რომ ჩამოყალიბდეს, მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ - მდგომარეობა რთულია.


დიმიტრი ტატანაშვილი

რუსთავი. ფოლადის სტადიონი. 300 მაყურებელი

**ოლიმპი-ვიტ ჯორჯია 0:2**

1:0 ლიპარტია (37), 2:0 ხურცილავა (54)

ოლიმპი: **ბათიაშვილი (46. ბედიაშვილი) - გიგაური (85. როგავა), ა.კვახაძე, კუცი, როობა - რაზმაძე, დობროვოლსკი, ბოლქვაძე (46. დოლიაძე) - ჭედია (46. ხიდაშელი), მანზატო, რამზაი (85. ტვილდიანი).**

ვიტ ჯორჯია: **მიქაბერიძე - ხურცილავა (73. სარაჯიშვილი), ლომაია, ადამაძე (81. გოგიაშვილი), ჭანკვეტაძე (50. ლანიაშვილი) - ვასაძე (77. ვაშაკიძე), მაისაშვილი (46. კასრაძე), გურეშიძე (81. დვალაშვილი) - ბერიაშვილი (30. ჩიმაკაძე (73. ზაქრაძე)), კვარაცხელია (63. ჯანელიძე), ლიპარტია (60. კორიფაძე).**

წერილი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, როცა სანდო წყაროსგან შევიტყვეთ, რომ „ოლიმპის" ხელმძღვანელობა უცხოეთში მოთამაშე ორი ქართველი თავდამსხმელის ჩამოყვანაზე ფიქრობს - ზაპოროჟიეს „მეტალურგიდან" **ირაკლი მოდებაძის**, ხოლო ჩეხეთის უმაღლესი ლიგის „პლზენიდან" - **დიმიტრი ტატანაშვილის**. ამ უკანასკნელს კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ წამოსვლა სურს. შეიძლება დაუჯერებლად გეჩვენებოდეთ, მაგრამ ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში არც ისეთი მომხიბვლელი პირობებია, როგორც საქართველოში გვგონია...

**მერაბ მამულაშვილი**

საკონტროლო მატჩი


ბურთისთვის იბრძვის შოთა ბაბუნაშვილი (მარჯვნივ)

# ზესტაფონმა ავსტრიის ჩემპიონს სძლია

ავსტრიაში მოსამზადებელ შეკრებაზე მყოფმა „ზესტაფონმა" მორიგი სპარინგმატჩი გამართა. პლზენის „ვიქტორიასთან" წაგებისა (1:2) და რუსულ გრანდ სანკტ- პეტერბურგის „ზენიტთან" უგოლო ფრის შემდეგ, იმერელთა გუნდი ავსტრიის ჩემპიონ ზალცბურგის „რედ ბულს" („წითელი ხარი" ან უბრალოდ - „ზალცბურგი") გაეჯიბრა. **გია გეგუჩაძის** გუნდი ძლიერ მეტოქესთანაც სოლიდურად წარმოჩნდა და დაამარცხა კიდეც. ავსტრიელთა გუნდს, რომელსაც ცნობილი ჰოლანდიელი სპეციალისტი **ჰუუბ სტევენსი** წვრთნის, მხოლოდ ერთი ფეხბურთელი აკლდა - მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრებული ნიგერიის ნაკრების მცველი **რაბიო აფოლაბი**. ზესტაფონელთა შორის კი თამაში შეძლო ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა მცველმა **გიორგი ხიდეშელმა**.

ამხანაგური მატჩი, რომელიც დაძაბულად და საინტერესოდ წარიმართა, ავსტრიის ქალაქ ლეოგანგში, „შტაინბერგშტადიონზე" 19 ივნისს გაიმართა. იმერული კლუბის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრის სტარტი ავსტრიელთათვის შოკის მომგვრელი იყო - უკვე მე-5 წუთზე, მასპინძელ მცველთა უყურადღებობით ჩინებულად ისარგებლა ნახევარმცველმა **შოთა ბაბუნაშვილმა** და ანგარიში გახსნა (ბაბუნაშვილის მეორე მატჩი და პირველი გოლი „ზესტაფონის" შემადგენლობაში).

ამ გოლმა მასპინძელთა რიგებში მცირე ხანს არეულობა გამოიწვია. ამ დროს კი იმერლებს ფორის გაზრდა შეეძლოთ, მაგრამ **ნიკოლოზ გელაშვილმა** ხელსაყრელ სიტუაციაში ვერ ივარგა.

„რედ ბული" მალევე მოეგო გონს - ჯერ თამაში გაათანაბრა (**იაკობ იანჩერი** 33-ე წუთზე), ტაიმის მიწურულს კი არა მარტო წონასწორობა აღადგინა, არამედ, დაწინაურებაც მოახერხა (**მილან დუდიჩი** 39-ე წუთზე). ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

მეორე ნახევარში მწვრთნელებმა შეცვლებს მიმართეს. მატჩის ეს ნაწილი ზესტაფონელთა აშკარა უპირატესობით წარიმართა. გეგუჩაძის ბიჭებმა საგოლე მომენტები შექმნეს, თუმცა გატანა მხოლოდ მატჩის ბოლო 15 წუთში შეძლეს. 77-ე წუთზე **გოგი ფიფიას** მშვენიერი გადაცემა გელაშვილმა შეირგო - იმერელთა მეგოლემ გააზრებულად ითამაშა და წონასწორობა აღადგინა - 2:2. გამარჯვების გოლის ავტორადაც ზესტაფონელთა მთავარი მეგოლე მოგვევლინა. მე-80 წუთზე მან **თორნიკე აფციაურის** გამოზომილი პასი დააფასა, დუბლიც გააფორმა და ჩვენი გუნდის გამარჯვებაც. სხვათა შორის, გელაშვილმა პლზენის „ვიქტორიასაც" გაუტანა, ამდენად, ავსტრიაში ჩატარებულ სამ მატჩში ამდენივე გოლი დაუგროვდა. გეგუჩაძემ „ზალცბურგის" წინააღმდეგ ასეთი შემადგენლობა ათამაშა: **მამალაძე, ბენაშვილი, გ. ონიანი, ხიდეშელი (46. კობახიძე), ელიავა, ძარია (67. ფიფია), დაუშვილი (73. გორგიაშვილი), აფციაური (82. ცხადაია), ბაბუნაშვილი (61. გრიგალაშვილი), გელაშვილი (82. ჩიხლაძე), დვალი (61. ს. ლომია).**

ბოლოს კი დავძენთ, რომ ზესტაფონელები დასკვნით საკონტროლო შეხვედრას ზეგ, 23 ივნისს, მოსკოვის „დინამოსთან" ჩაატარებენ.

**დავით ცაბაძე**

ლეგიონი

## ჯანოს ორი საგოლე კუთხური

მოსკოვის „სპარტაკმა" საკონტროლო შეხვედრა 3:1 მოუგო უკრაინის ჩემპიონ „შახტარს". ამ შეხვედრაში რუსული გუნდის ქართველმა ლეგიონერმა **ჯანო ანანიძემ** 90 წუთი ითამაშა. პირველ ტაიმში **ბაჟენოვმა** (მე-7 წუთი) და **შეშუკოვმა** (44-ე) ქართველი ფეხბურთელის პასებით გამოიჩინეს თავი (ორივე შემთხვევაში ჯანომ კუთხური ჩამოაწოდა). სხვათა შორის, პირველი კუთხურიც, რომელსაც გოლი მოჰყვა, ანანიძემ მოინადირა, მისი შორეული დარტყმული უკრაინელთა გოლკიპერმა კუთხურზე მოიგერია.

**ვალერი კარპინმა** ამ შეხვედრაში ექსპერიმენტს მიმართა და პირველ ტაიმში ანანიძე პლეიმეიქერ **ალექსის** ადგილზე ათამაშა, ბრაზილიელი კი მარცხენა ფლანგზე გადაიყვანა. ქართველს მეორე ტაიმში შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ მისი სახიფათო დარტყმული ოდნავ გადაცდა დონეცკელთა კარს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ევროტურნირები

# დღეს მეტოქეებს გაგვირკვევენ

**დღეს შვეიცარიის ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში, ჩემპიონთა ლიგისა და ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპების წილისყრა ჩატარდება. პროცედურა, რომელსაც უკვე დიდი ხანია ელის ჩვენი ფეხბურთის გულშემატკივარი, ქვეყნის ჩემპიონ რუსთავის „ოლიმპის“, თასის მფლობელ „ვიტ ჯორჯიას“, ვიცე-ჩემპიონ თბილისის „დინამოსა“ და ბრინჯაოს პრიზიორ „ზესტაფონის“ მეტოქეებს გაარკვევს. ამ ოთხი გუნდით წარდგება საქართველო ევროტურნირების 2010/11 წლების სეზონში. ოქროსმედალოსანი „ოლიმპი“ ჩემპიონთა ლიგის გათამაშებას მეორე საკვალიფიკაციო ეტაპიდან დაიწყებს. დანარჩენი სამი გუნდი კი ევროპის ლიგაზე იასპარეზებს. მოდი, ჯერ ჩემპიონთა ლიგასა და სავარაუდო მეტოქეებზე ვთქვათ...**




პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ანდორის (**„სანტა კოლომა“**), მალტის (**„ბირკირკარა“**), ჩერნოგორიისა (**„რუდარი“**) და სან მარინოს (**„ტრე ფიორი“**) ჩემპიონები ითამაშებენ. მათგან ორი გამარჯვებული იასპარეზებს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე. პირველი ეტაპის ორ გამარჯვებულს რამდენიმე ქვეყნის ჩემპიონი დაემატება. საქართველოს ჩემპიონი განთესილებს შორის არ არის. რუსთავის „ოლიმპის“ მეტოქეც სწორედ ამ განთესილი ქვეყნის ჩემპიონებს შორის უნდა ვეძებოთ. ასე რომ, სავარაუდო მეტოქეთა ჩამონათვალი ასეთია:

**„რედ ბული“** (ზალცბურგი, ავსტრია), **„ბატე“** (ბელარუსი), **„ლიტექსი“** (ბულგარეთი), **„დინამო“** (ზაგრები, ხორვატია), **„ომონია“** (კვიპროსი), **„სპარტა“** (პრაღა, ჩეხეთი), **ჰიკ** (ფინეთი), **„ჰაპოელი“** (თელ-ავივი, ისრაელი), **„ბოჰემიანსი“** (ირლანდია), **„მეტალურგსი“** (ლიეპაია, ლატვია), **„ეკრანასი“** (ლიტვა), **„შერიფი“** (მოლდოვა), **„რუსენბორგი“** (ნორვეგია), **„ლეხი“** (პოლონეთი), **„პარტიზანი“** (სერბეთი), **„კოპერი“** (სლოვენია), **„ჟილინა“** (სლოვაკეთი), **„დებრეცენი“** (უნგრეთი), **აიკ** (შვედეთი), **„აქტობე“** (ყაზახეთი).

თუ რუსთავის „ოლიმპი“ ამ ბარიერს გადალახავს, მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე გათამაშებას ბელგიის (**„ანდერლეხტი“**), დანიისა (**„კოპენჰაგენი“**) და შვეიცარიის (**„ბაზელი“**) ჩემპიონები დაემატებიან. ამ რაუნდში გამარჯვებულები მომდევნო ეტაპზე ითამაშებენ, დამარცხებულები კი ევროპის ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე გააგრძელებენ ასპარეზობას. ასე რომ, თუ რუსთაველები ერთ (მეორე) ეტაპს მაინც გადალახავენ და მესამე რაუნდში გავლენ, უკიდურეს (წაგების) შემთხვევაში ევროპის ლიგაში მაინც გააგრძელებენ თამაშს... ჩემპიონთა ლიგის ფინალი გაისად 28 მაისს ლონდონში, „უემბლიზე“ გაიმართება.

ახლა კი ევროპის ლიგაზეც ვთქვათ. პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები 1 და 8 ივლისს გაიმართება, მეორე ეტაპისა 15 და 22 ივლისს, მესამე კი 29 ივლისსა და 5 აგვისტოს. პლეი ოფის შეხვედრები 19 და 26 აგვისტოსაა დანიშნული, ჯგუფური ეტაპის პირველი ტური კი - 16 სექტემბრისთვის.

ამ გათამაშებაში საქართველოს თასის მფლობელი „ვიტ ჯორჯია“ მეორე ეტაპიდან, ანუ 15 ივლისიდან ჩაერთვება. დანარჩენი ორი გუნდი კი პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან იასპარეზებს. ევროპის ლიგის ფინალური მატჩი მომავალ წელს დუბლინში, „ლენსდაუნ როუდზე“ გაიმართება.

ევროპის ლიგაზე თბილისის „დინამო“ და „ზესტაფონი“ პირველი საკვალიფიკაციო ეტაპიდან ჩაერთვებიან, „ვიტ ჯორჯია“ კი მეორე რაუნდიდან დაიწყებს. შესაბამისად, ამ გათამაშებაში ჩვენი სამი გუნდის მეტოქეები ამ ჩამონათვალში უნდა ვეძებოთ:

**„ანორთოსისი“** (კვიპროსი), **„რანდერსი“** (დანია), **„კალმარი“** (შვედეთი), **„ბნეი იეჰუდა“** (ისრაელი), **„ნიტრა“** (სლოვაკეთი), **„რაბოტნიჩკი“** (მაკედონია), **„მიუპა“** (ფინეთი), **„გეფლე“** (შვედეთი), **„ზრინსკი“** (ბოსნია), **„ყარაბახი“** (აზერბაიჯანი), **„რუხი“** (პოლონეთი), **„შიბენიკი“** (ხორვატია), **„დნეპრი“** (მოგილიოვი, ბელარუსი), **„ტორპედო“** (ჟოდინო, ბელარუსი), **„შიროკი ბრიგი“** (ბოსნია), **„სკონტო“** (ლატვია), **„რეიკიავიკი“** (ისლანდია), **„დაჩია“** (მოლდოვა), **„დანდალკი“** (ირლანდია), **ტპს** (ფინეთი), **„ტირანა“** (ალბანეთი), **„ტაურასი“** (ლიტვა), **„ოლიმპია“** (ბელცი, მოლდოვა), **„მოგრენი“** (ჩერნოგორია), **„ტობოლი“** (ყაზახეთი), **„ოლიმპია“** (ლუბლიანა, სლოვენია), **„ფლორა“** (ესტონეთი), **„სტრეიმური“** (ფარერები), **„დიორი ეტო“** (უნგრეთი), **„ზალაეგერსეგი“** (უნგრეთი), **„გლენტორანი“** (ჩრდ. ირლანდია), **„დუდელანჟი“** (ლუქსემბურგი), **„ტრანსი“** (ესტონეთი), **„ხაზარი“** (აზერბაიჯანი), **„ფილკირი“** (ისლანდია), **„მეტალურგი“** (სკოპიე, მაკედონია), **„შახტიორი“** (ყარაღანდა, ყაზახეთი), **„ბანანცი“** (სომხეთი), **„ლაჩი“** (ალბანეთი), **„ლანელი“** (უელსი), **„შლიემა“** (მალტა), **„რუნავიკი“** (ფარერები), **„ულისე“** (სომხეთი), **„პორტ ტელბოტი“** (უელსი), **„გრევენმახერი“** (ლუქსემბურგი), **„ზეტა“** (ჩერნოგორია), **„პორტადაუნი“** (ჩრდ. ირლანდია), **„სანტა კოლომა“** (ანდორა), **„ლუსიტანსი“** (ანდორა), **„ფაეტანო“** (სან მარინო).

**დავით ცაბაძე**

წილისყრის წინ

## გეგუჩაძემ სავარაუდო მეტოქეები დაახარისხა

„ზესტაფონის“ თავკაცმა **გია გეგუჩაძემ** სავარაუდო მეტოქეები სასურველად და არასასურველად, საინტერესოდ დაყო. არასასურველ სავარაუდო მოწინააღმდეგეთა ჩამონათვალი ასეთია:

**„სტეიმური“ (ფარერები), ხაზარი (აზერბაიჯანი), „შახტიორი“ (ყაზახეთი), „ბანანცი“ (სომხეთი), „ლაჩი“ (ალბანეთი), „რუნავიკი (ფარერები), „ულისე“ (სომხეთი), „სანტა კოლომა“ (ანდორა), „ლუსიტანსი“ (ანდორა), „ტობოლი“ (ყაზახეთი).**

რაც შეეხება შესაძლო მეტოქეთა შორის სასურველს, ესენია: **„ოლიმპია“ (სლოვენია), „ფლორა“ (ესტონეთი), „დიორ ეტო“ (უნგრეთი), „ვიდეოტონი“ (უნგრეთი), „გლენტორანი“ (ჩრდ. ირლანდია), „ნარვა“ (ესტონეთი), „ფალკირი“ (ისლანდია), „მეტალურგი“ (მაკედონია), „ლანელი“ (უელსი), „პორტ ტელბოტი“ (უელსი), „ზეტა“ (ჩერნოგორია), „პორტადაუნი“ (ჩრდ. ირლანდია), „დუდელანჟი“ (ლუქსემბურგი), „გრევენმახერი“ (ლუქსემბურგი), „შლიემა“ (მალტა), „ფაეტანო“ (სან მარინო).**

გეგუჩაძის კომენტარი: *„მინდა, ჩემმა გუნდმა ევროტურნირებზე საფეხბურთო ატმოსფეროში ითამაშოს. გარდა ამისა, უკეთესია, თუ ფარერებზე და კიდევ სადღაც შორს არ მოგვიწევს გადამღლელი მგზავრობა. სწორედ ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით დავყავი მეტოქეები ორ კატეგორიად. ისე კი ევროპის ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე არ არის გუნდი, რომლის ძლევაც ჩვენს შესაძლებლობებს აღემატება“*, - „ლელოსთან“ საუბარში აღნიშნა გია გეგუჩაძემ.

**დავით ცაბაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

გაგრა

# პისკოვეცი პირველ ლიგაშიც იმუშავებს

## გაგრამ ოთხი ფეხბურთელი გაუშვა

„გაგრა“ უმაღლეს ლიგაში დარჩენის იმედს ინარჩუნებს. ნებისმიერ შემთხვევაში, მომავალ სეზონშიც გუნდს უკრაინელი სპეციალისტი **იური პისკოვეცი** გაწვრთნის, რომელიც საქართველოში 19 ივნისს დაბრუნდა. „გაგრას“ პრესატაშე **მიხეილ აფხაზავას** თქმით, სეზონის დამთავრების შემდეგ კლუბში კრება ჩატარდა და გაკეთდა მონახაზი, თუ რომელ ფეხბურთელებზე იქნებოდა აქცენტი მომავალ სეზონში.

*„პისკოვეცმა შეადგინა სია იმ ფეხბურთელებისა, თუ ვისთან სურდა მუშაობა. ამ ფეხბურთელებმა 16, 17 და 18 ივნისს სამედიცინო დიაგნოსტიკურ ცენტრ „სითი სპორტში“ შემოწმება გაიარეს. მხოლოდ რამდენიმე მოთამაშე არ გამოცხადდა, რადგან გამოცდები ჰქონდათ ჩასაბარებელი და წინასწარ გაგვაფრთხილეს. პისკოვეცმა რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვა, მაგალითად, კონტრაქტი აღარ გაუგრძელა მეკარე რეზო თევდორაძეს. რეზო კაპიტანი იყო და ყველანაირად შევეცდებით, ფორმის შენარჩუნებაში დავეხმაროთ და ამ მიზნით, მწვრთნელს ვარჯიშებზე მისი დატოვება ვთხოვეთ. ტრანსფერზეა დაყენებული თავდამსხმელი ილია პავლიაშვილი, რომელსაც „გაგრასთან“ კიდევ 2-წლიანი კონტრაქტი აკავშირებდა, მაგრამ მწვრთნელის გეგმაში ვერ ჩაჯდა. ტრანსფერზეა დაყენებული გიორგი ჭაავა, გათავისუფლებულია ფორვარდი ირაკლი კიკნაძეც“.*

აფხაზავამ დაგვიდასტურა, რომ „გაგრამ“ საჩხერის „ჩიხურადან“ ნახევარმცველი **ლაშა სტეფანიშვილი** დაიბრუნა. პისკოვეცი მას კარგად იცნობს, რადგან სტეფანიშვილი „ოლიმპში“ უკრაინელის მწვრთნელობისას ვარჯიშობდა და მოსკოვში, „თანამეგობრობის თასზეც“ ათამაშა. ჭაბუკთა ლიგიდან დაიმატეს თავდამსხმელი **გიორგი ბაზუაშვილი.**

ცნობილი იყო, რომ საყრდენი ნახევარმცველი **ზვიად ჩხეტიანი** „ზესტაფონში“ ვარჯიშობდა, მაგრამ საბოლოოდ ისევ „გაგრაში“ დაბრუნდა. მოლდოვის უმაღლესლიგელი „დაჩიაში“ მეკარე **ზვიად სტურუა** მიიწვიეს, რომელმაც სამედიცინო შემოწმება კლუბთან ერთად გაიარა. მართალია, სტურუას „გაგრას“ კონტრაქტი დაუმთავრდა, მაგრამ პისკოვეცს შეუთანხმდა - დაბრუნების შემთხვევაში, „გაგრაში“ ითამაშებს.

გაირკვა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველ **თორნიკე ოქრიაშვილის** საკითხიც - „ზენიტში“ გასინჯვაზე წასული გუნდის იტალიელ მწვრთნელ **ლუჩანო სპალეტის** მოეწონა და, სავარაუდოდ, ოქრიაშვილი რუსეთში წლის ბოლომდე იჯარით ითამაშებს.

„გაგრა“ კი 30 ივნისამდე თბილისში მოემზადება. პისკოვეცმა 3 საკონტროლო მატჩი დაგეგმა: 21 ივნისს მუხრანში ორ თამაშს ჩაატარებს **რევაზ ძოძუაშვილის** უგუნდოთა ნაკრებთან (17 და 19 საათებზე), 24 ან 26 ივნისს კი სპარინგი შეთანხმდა ცხინვალის „სპარტაკთან“, თუმცა მატჩის გამართვის ადგილი ჯერ არ დაზუსტებულა.

**მერაბ მამულაშვილი**

ბავშვთა ფეხბურთი

# სად იკარგებიან ეს ტალანტები?!

## ყიფიანის თასი ღირსეულმა ჩაიბარა

18 ივნისი ქართული ფეხბურთის ვარსკვლავის **დავით ყიფიანის** დაბადების დღეა. თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული გამთამაშებელი 59 წლის უნდა გამხდარიყო. ამ თარიღის აღსანიშნავად, „დავით ყიფიანის ფონდისა“ და „სახალისო ფეხბურთის“ ინიციატივით, 35-ე სკოლაში ბავშვთა ტურნირის ფინალური მატჩები გაიმართა, რომელშიც 1999 წელს დაბადებული ბავშვები მონაწილეობდნენ.

ბოლო დროს ბავშვთა რამდენიმე ტურნირს დავესწარი და შესაბამისად, მომავალ თაობებზე დაკვირვების საშუალება მქონდა. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ საქართველოში უნიჭიერესი თაობები იზრდება. გასაოცარი მხოლოდ ის არის, ყველა ასაკში თუ ამდენი ტალანტია, მერე სად იკარგებიან? ის ტემპი, აზარტი და გასაოცარი მონდომება, რაც 18 ივნისს 35-ე სკოლაში 11 წლის ბავშვებმა აჩვენეს, საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატშიც რომ იყოს, ტრიბუნების შევსების კი არა, სტადიონზე შეღწევის პრობლემა შეგვაწუხებდა.

მესამე ადგილისთვის მატჩში **მურად კუპრეიშვილის** გაწვრთნილმა 35-ე სკოლის გუნდმა „თენგიზ სულაქველიძის აკადემია“ 5:2 დაამარცხა. ვერ გეტყვით, ამ ბავშვებმა მხოლოდ იმ დღეს აჩვენეს ასეთი ლამაზი ფეხბურთი თუ სტაბილურად ასე გამოიყურებიან, მაგრამ სტადიონზე შეკრებილი საზოგადოება კი აღტაცებული დატოვეს...

**გიორგი ჭილაია** „ოქროს ხანის“ თბილისის „დინამოში“ თამაშობდა და, შესაძლოა, ამ გვარ-სახელის ფეხბურთელი მომავალშიც ბევრჯერ ვახსენოთ. გიორგი ჭილაია 35-ე სკოლის გუნდში მარცხენა ჰავბეკად ათამაშეს. მისხალსაც არ ვამეტებ - მან გასაოცარი ტექნიკით, ბურთის ფლობითა და ბრძოლის ჟინით დაგვამახსოვრა თავი.

...ფინალში კი „ოლიმპმა“ დამაჯერებლად (2:0) დაამარცხა „ირაო“. დუბლი ტურნირის ნიჭიერმა ნახევარმცველმა, კიდევ ერთმა „აღმოჩენამ“ **ლუკა ქაფიანიძემ** შეასრულა. მისი მეორე გოლი ტურნირზე საუკეთესოდ დასახელდა და აბსოლუტურად სამართლიანადაც - **მარკო ვან ბასტენმა** 1988 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფინალში რომ გაუტანა, იმის ზუსტი ასლი იყო ლუკა ქაფიანიძის გოლიც. ქართული ფეხბურთის ვარსკვლავები ნანახით კმაყოფილებას ვერ მალავდნენ.

**ალექსანდრე ჩივაძე:** *„ბევრი ტალანტი გვეზრდება და მათ მოვლა-პატრონობა სჭირდებათ. ერთი კვირის წინ ბავშვთა ტურნირს ბათუმშიც დავესწარი მურთაზ ხურცილავასთან ერთად და იქაც უამრავი ნიჭიერი ბავშვი ვნახე. ეს ყველაფერი ძალიან მახარებს და მომავლის იმედს მიჩენს. თუმცა ამ ნიჭს ათვისება სჭირდება. საამისოდ, ბავშვებთან ფაქიზი დამოკიდებულებაა საჭირო, მათთან დიდი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის მწვრთნელებმა უნდა იმუშაონ. სხვათა შორის, ვფიქრობ, რომ კვალიფიკაციური მწვრთნელები ყველაზე მეტად სწორედ პატარებს სჭირდებათ. ჩემს ბავშვობაში სულ სამი სკოლა იყო, მაგრამ ბუმბერაზი მწვრთნელები მუშაობდნენ - ვოვა ელოშვილი, გრიშა გაგუა, ქუთაისში - კარლო ხურციძე და ქართულ ფეხბურთს ყოველწლიურად უზრდიდნენ ვარსკვლავებს. მათ ჰქონდათ უდიდესი ცოდნა, გამოცდილება და, რაც ყველაზე მთავარია - თვალი. გამოცდილი მწვრთნელის თვალს ნიჭი არ გამოეპარება. რაც არ უნდა კარგი განათლება გქონდეს, თუ ნიჭი არ გაქვს, მწვრთნელი ვერ გახდები“.*

რამაზ შენგელია: *„მქონია მომენტები, ფეხბურთზე სიარული დამზარებია... აყოლილი ვიყავი სხვებს, მაგრამ მწვრთნელი არ მეშვებოდა და ამიტომ მას მთელი ცხოვრება ვემადლიერები. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ უნიჭიერესი ბავშვები გვყავს და ბევრი მათგანი მომეწონა. თუ მათაც, ჩემი ბავშვობის დარად, ფეხბურთზე უზომოდ შეყვარებული მწვრთნელები გაზრდიან, მომავლის არ შეგვეშინდება - დავით ყიფიანისა და ქართული ფეხბურთის ტრადიციების ღირსეული გამგრძელებლები აუცილებლად გამოჩნდებიან“.*

**მერაბ მამულაშვილი**

გოჩა მაჩაიძე 60

# ...ახლოს არ მიკარებენ

**70-იანი წლების თბილისის „დინამო“ ძმები მაჩაიძეების გარეშე წარმოუდგენელიც იყო; უფროსი, მანუჩარი წლების განმავლობაში „დინამოს“ კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი გახლდათ; არც გოჩა მაჩაიძე იყო ურიგო ფეხბურთელი, მართლაც განსაკუთრებული უნივერსალიზმით რომ გამოირჩეოდა: ბავშვობაში ფორვარდი იყო, შემდეგ ნახევარდაცვაში თამაშობდა, კარიერის ბოლო წლებში კი უკვე განაპირა მცველად მოგვევლინა. „დინამოსთან“ ერთად გოჩა მაჩაიძე საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა და თასს დაეუფლა, ამას გარდა, არაერთი წარმატებული მატჩი ჩაატარა საერთაშორისო არენაზეც: „ლივერპულის“, „ინტერის“, „რეალის“ წინააღმდეგ.**

**ქართული ფეხბურთის დამსახურებულ ვეტერანს დღეს იუბილე აქვს - 60 წელი შეუსრულდა! თუმცა, წინდაწინ ვიტყვით, რომ მთლად „საიუბილეო ინტერვიუ“ ნამდვილად არ გამოგვივიდა...**

**- ბატონო გოჩა, ამჟამად რას საქმიანობთ?**

- არაფერს. საერთოდ, ფეხბურთთან ახლოს არ გამაკარეს, უფროს ნოდარ ახალკაცთან, ცხადია, არც ვიმუშავებდი, მაგრამ სიტუაცია არც მერე შეიცვალა.

**- ფეხბურთში დაბრუნების მცდელობა არ გქონიათ?**

- მერაბ ჟორდანიას დროს მივედი ფედერაციაში და ვთხოვე, სადმე მწვრთნელად რომ მემუშავა; ამხელა დონეზე მაქვს ფეხბურთი ნათამაშები, უზარმაზარი გამოცდილება დამიგროვდა და გამომიყენეთ-მეთქი, იმათ კი, ლიცენზია უნდა აიღო, სხვაგვარად ვერ იმუშავებო...

**- ისე, ლიცენზია ნებისმიერი მწვრთნელისათვის აუცილებელია...**

- გასაგებია, მაგრამ იმასაც ხომ მნიშვნელობა აქვს, სამწვრთნელო კურსებზე ლექციას ვინ წაგიკითხავს! ამხელა კაცი, დილის 9 საათიდან სალამომდე ბეჯითად ვიჯექი და დარსაძის ლექციებს ვისმენდი; მერე, ვიღაც უცხოელი მოგვიყვანეს, წარმოიდგინეთ, ავთანდილ ღოღობერიძესთან ერთად ვთამაშობდიო, ათასგვარ სისულელეებს გვიკითხავდა; მაგრამ, სამაგიეროდ, 10000 დოლარს უხდიდნენ ვითომ-ლექციების წაკითხვაში...



**- ლიცენზია თუ აიღეთ, მუშაობა რატომ აღარ დაიწყეთ?**

- აღარ მინდა იმ კაცის სახელი და გვარი ვახსენო, ვისთანაც დამხმარედ გამიშვეს; ფაქტობრივად ისეთი სიტუაცია შეიქმნა, უნდა წამოვსულიყავი და დღემდე ასე უმუშევარი ვარ. ამპარტავნობაში არავინ ჩამითვალოს, მაგრამ 12 წელი მაღალ დონეზე ვთამაშობდი, ვერცხლის მედალიც მაქვს მოგებული და ოქროსიც, თასიც აღებული მაქვს და მსოფლიოს რომ აზანზარებდნენ, ისეთი გუნდების წინააღმდეგაც მითამაშია, მაგრამ ახლოს არ მიკარებენ; მხოლოდ... სუფრასთან სურთ ჩემთან ურთიერთობა, აი, „შიდა სამზარეულოში“ არავინ მახედებს.

**- როგორ ფიქრობთ, ასე რატომ იქცევიან?**

- იმიტომ, რომ სიმართლის მოსმენა არავის სიამოვნებს, ჰოდა ახლოს არ მიკარებენ; საშა ჩივაძე ჩემი მეგობარია, ერთ უბანში გავიზარდეთ და პიროვნულადაც უდიდეს პატივს ვცემ, მაგრამ, რა ქნას, ვერაფერს წყვეტს. ჩემ გამო პროტესტი რომ გამოთქვას, შესაძლოა, უმუშევარი დარჩეს.

**- ფედერაციის ახალ პრეზიდენტზე რას იტყოდით?**

- მეტ-ნაკლებად მაინც იმედით შევხედე მის დანიშვნას; თუმცა, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ კაცს ჩვენი ფეხბურთი ნანახი საერთოდ არა აქვს. გასაგებია, რომ კარგი ბიზნესმენია, მაგრამ ისიც უნდა იცოდეს, რომ მხოლოდ ინფრასტრუქტურის განვითარებით ჩვენს ფეხბურთს არაფერი ეშველება.

**- აბა, ახალი სტადიონები არ უნდა ავაშენოთ? ან ძველი არ უნდა შეკეთდეს?**

- ეს ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ქართული ფეხბურთის პრობლემებს ბევრად უფრო „ღრმა ფესვები“ აქვს. გენიალური ნათქვამია - ერი მაშინ კვდება, ისტორიას რომ ივიწყებსო; მე კიდევ დავამატებდი, ერი მაშინ ილუპება, ამ ერის ისტორია არასწორად რომ დაიწერება. ჰო, ფეხბურთში თუ წარსული მოკალი, აღორძინებაზე არც უნდა იფიქრო. 30 წელია, ფეხბურთიდან წავედი და ამ ხნის განმავლობაში ტყუილის მეტი არაფერი მომისმენია; არის ჯგუფი, ვინც ხელში ჩაიგდო ქართული ფეხბურთი და ეს „მაფია“ მართავს კიდეც ყველაფერს...

**- ქართული ფეხბურთის პრობლემებს მოგვიანებით დავუბრუნდეთ; ახლა კი თქვენი საფეხბურთო კარიერის შესახებ ვისაუბროთ.**

- „დინამოში“ 1970 წელს ჩავირიცხე; მაგრამ სხვა რამ მინდა ვთქვა, იმიტომ რომ ახლა მაქვს ამის უფლება: საქართველოში სპეციალისტებიც და გულშემატკივრებიც ფეხბურთში ვერ ერკვევიან! თან, ჩვენი ფეხბურთის უბედურება დიდი ხანია დაიწყო: აბა, ტრიბუნაზე ხალხის მოსაზიდად ლატარიას რომ გაათამაშებ, სხვა რა უნდა იფიქრო; არადა, მე რომ ვთამაშობდი, იმ დროს ბილეთის საშოვნელად გულშემატკივარი ძვირფას საათს მოიხსნიდა ხელიდან ან პიჯაკს გაიხდიდა; ახლა კი ჩვენს სტადიონებზე სიარული და იმის ნახვა, ფეხბურთს რომ უწოდებენ, სასჯელია და სხვა არაფერი!..

**- ძალიან მკაცრი შეფასება ხომ არ არის?**

- როგორ გგონიათ, ქართული ფეხბურთის ნგრევა ახალი დაწყებულია? როცა ვთამაშობდი, ჩემზე ამბობდნენ, - ძმაზე უარესიაო, ბურთს ათრევსო; წარმოიდგინეთ: ბურთის ტარებას გვიკრძალავდნენ! მწვრთნელი რომ ამას გეტყვის: ბურთი მიიღე და მაშინვე პასი გადააწოდეო, აბა, რომელ ფეხბურთზეა ლაპარაკი? ეს იგივეა, მესის რომ ბურთის ტარება აუკრძალო...

**- „დინამოში“ თამაშისას არაერთ მწვრთნელთან გიმუშავიათ და იმათგან რომელს გამოარჩევდით?**

- ალბათ, მიხეილ იაკუშინს; სხვათა შორის, „დინამომ“ 1981-ში რომ თასების თასი აიღო, ამ კაცის დიდი დამსახურებაც არის: საფუძველი ჩაუყარა, გუნდი შეკრა, ვახტანგ ქორიძე და ვიტალი დარასელია მოიყვანა გუნდში; იცოდა, რომელი ფეხბურთელი რომელ ამპლუაში გამოეყენებინა. კი, ალკოჰოლის მიმართ მიდრეკილება ჰქონდა, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც იყო, რომ ხანდახან უბიძგებდნენ კიდეც ამისკენ.

**- ეს როგორ გავიგოთ?**

- როგორ და, სპეციალურად ვინმეს „შეუგზავნიდნენ“ ხოლმე და მერე, უცბად, ბაზაზე ცეკას წარმომადგენელი გამოჩნდებოდა ხოლმე; მისი გაშვებით ვიღაცები დაინტერესებულნი იყვნენ. თუმცა, რატომ გიკვირთ: არავის გვინახავს, მაგრამ გადმოცემით ხომ ვიცით, რომ ბორის პაიჭაძე ქართული ფეხბურთის ლეგენდა იყო; ჰოდა, ეს კაცი „დინამოს“ სტადიონის დირექტორობიდან მოხსნეს და მის ნაცვლად ვიღაც კომბინატორი დანიშნეს. მერე, პაიჭაძე რომ გარდაიცვალა, „დინამოს“ სტადიონს მისი სახელი უწოდეს - ამაზე მეტი უზნეობა რაღა უნდა იყოს?

**- ნახევარდაცვაში ყველა პოზიციაზე გითამაშიათ, დაცვაშიც ორივე ფლანგზე ასპარეზობდით; სად უფრო გერჩივნათ თამაში?**

- მაინც ნახევარდაცვაში; აი, მილანში „ინტერს“ რომ მოვუგეთ, ძალიან მაღალ დონეზე ვითამაშეთ. სამწუხაროდ, იტალიურ პრესაში რაც დაიწერა, ჩვენთან „გადაკეთებული“ ვარიანტი გავიდა; პირადად, უშეცდომოდ ჩავატარე ის მატჩი - ჩემი ზონა გადაკეტილი მქონდა. დაცვაშიც არ მქონია პრობლემები - „ლივერპულთან“ ორივე მატჩი მარჯვენა მცველად ვითამაშე და ჩემი ფლანგიდან მეტოქეს შეტევა არც გაუკეთებია. ეგ კი არა, „ჰამბურგთან“ რომ მეთამაშა, დარწმუნებული ვარ, არც ერთ მატჩს არ წავაგებდით - კალტცისა თუ კიგანის წინააღმდეგ სულ სხვა თამაში იყო საჭირო.

**- „ჰამბურგთან“ შეხვედრები რა მიზეზით გამოტოვეთ?**

- შესაძლოა, არც დამიჯეროთ, მაგრამ ერთ-ერთ ვარჯიშზე „დინამოს“ ორმა ფეხბურთელმა, ვითომ სათამაშო ეპიზოდის დროს, დამამტვრია. ეტყობა, იფიქრეს: მე თუ ტრავმას მივიღებდი, ძირითადში თუ არა, 16-კაციან განაცხადში მოხვედრის შანსი გაუჩნდებოდათ.

**- რამდენადაც გვახსოვს, ფეხბურთელი გოჩა მაჩაიძე ყველაზე კარგად მაშინ წარმოჩნდა, ნოდარ ახალკაცმა ამპლუა რომ შეგიცვალათ და მარცხენა მცველად დაგაყენათ.**

- სიმართლე გითხრათ, დაცვაში თამაში არ მინდოდა - ძალიან დიდი კონკურენცია იყო; თუმცა, მარცხენა მცველად თამაში რომ დავიწყე, პრობლემა არასდროს მქონია. ყველაფერი შედარებითია და ჩემი აზრით, „დინამოში“ ჩემზე უკეთესი მარცხენა მცველი არასდროს ყოფილა..

**- ბატონო გოჩა, რა მოხდა 1980 წელს? ანუ, თქვენი და მანუჩარის „დინამოდან“ წასვლის მიზეზზე გეკითხებით.**

- მანამდე, მინდა გკითხოთ: იქნებ, მოიძიოთ და გაარკვიოთ, თუ რამდენი თამაში წააგო „დინამომ“ 1976-დან 1980 წლამდე; ანუ, იმ პერიოდს ვგულისხმობ, მე და მანუჩარი რომ გუნდში ვთამაშობდით; ყოველ შემთხვევაში, წაგებებს საერთოდ ვერ ვიხსენებ. აი, დავასახელებ შემადგენლობას და, მართლაც, იქნებ მოიძიოთ, თუ როგორი წაუგებელი სერია გვქონდა; ოღონდ, კიდევ ვიმეორებ, როცა ამ შემადგენლობით ვთამაშობდით: გოგია (ან - გაბელია) - კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი (ან - კანთელაძე), გ. მაჩაიძე - დარასელია, მ. მაჩაიძე, ქორიძე - გუცაევი, ყიფიანი, შენგელია (ან - ჩელებაძე). აი, რომ ნახავთ, აღმოაჩენთ, რომ დაახლოებით 150-მატჩიანი წაუგებელი სერია იქნება. დამიჯერეთ: სანამ მე და მანუჩარი ვთამაშობდით, ვერც ვიხსენებ, „დინამოს“ თამაში წაეგოს.

» მე-13 გვერდზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გოჩა მაჩაიძე 60

# ...ახლოს არ მიკარებენ

« მე-12 გვერდიდან

**- საკამათო თემაა; თუმცა, ის კი ნამდვილად გვახსოვს, „დინამოს“ ოთხწლიანი წაუგებელი სერია რომ ჰქონდა, ოღონდ საკუთარ მოედანზე, - ვიდრე 1980 წელს თბილისში „სპარტაკმა“ არ მოგვიგო.**

- რა, თუნდაც საკუთარ სტადიონზე ოთხწლიანი წაუგებელი სერია პატარა ამბავია? მაგრამ ამის გახსენება არავის უნდა; იმის არ იყოს, 1976-80 წლებში ჩატარებული მატჩების ფირები შეგნებულად რომ გააქრეს; ჰო - თითქოს ამ პერიოდში არ გვითამაშია „ინტერთან“, „ნაპოლისთან“ თუ „ლივერპულთან“.

**- „ლივერპულთან“ აქაური მატჩი ლაშა დვალიშვილის სტუდიამ არაერთხელ აჩვენა...**

- მხოლოდ მეორე ტაიმი! სხვა მატჩები სად არის? ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ვილაცას არ აწყობდეს, ძმები მაჩაიძეების მონაწილეობით ჩატარებული მატჩების ჩანაწერები ტელევიზიით რომ გადიოდეს. მაგრამ, რა უნდა გვიკვირდეს: ხანდახან ისეთი ხალხი გამოდის ტელევიზიით და ჭკუას გვარიგებენ, „დინამოს“ მაისურით ერთი მატჩიც რომ არ ჩაუტარებიათ, სავსე ტრიბუნების წინ რომ არ უთამაშიათ; სამწუხაროდ, „დინამოს“ მაისურის ჩაცმა ძალიან „გაადვილდა“, ადრე კი პირიქით იყო. თუმცა, ეს არახალი პროცესია და ქართული ფეხბურთის ნგრევაც 1980 წლიდან დაიწყო.

**- რას გულისხმობთ?**

- საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში „დინამო“ 1936 წლიდან მონაწილეობს და 1980 წლამდე რამდენმა ფეხბურთელმაც ითამაშა, აი, იმდენივე იყო მომდევნო სამი წლის განმავლობაში! ხვდებით, ალბათ, რას ვგულისხმობ: „დინამოდან“ ჩემი და მანუჩარის გაშვების შემდეგ გუნდში გაურკვეველი კვალიფიკაციის ფეხბურთელები მოჰყავდათ და ისევ უკან უშვებდნენ, მერე სხვებს მოიყვანდნენ და ასე გრძელდებოდა დაუსრულებლად.

**- ძმები მაჩაიძეები „დინამოდან“ რა მიზეზით დაითხოვეს?**

- დავაზუსტებ: ჩვენ წასვლა გვაიძულეს! მოგეხსენებათ, მაშინდელ „დინამოში“ როგორი კონკურენცია იყო, ჰოდა, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი წასვლით ძირითადში ხომ... ორი ადგილი თავისუფლდებოდა! დასამალი რა არის - გუნდში „ქვედა დინებებიც“ იყო, ვილაცას თავისი ძმაკაცი ერჩივნა გვერდით ჰყოლოდა. კონკრეტული მიზეზი არავის უთქვამს: ნოდარ ახალკაცმა სამწვრთნელო შტაბის წევრების თანდასწრებით გვამცნო მე და მანუჩარს ეს გადაწყვეტილება.

**- როგორ ფიქრობთ, მხოლოდ ახალკაცის „დონეზე“ გადაწყდა ყველაფერი?**

- არა მგონია, ალბათ უფრო „ზემოდან“ იყო წამოსული დირექტივა; მით უმეტეს, რომ ედუარდ შევარდნაძეს ერისკაცად არც მაშინ ვალიარებდი. სხვათა შორის, ახალკაცმა მე და მანუჩარი მარტო დაგვტოვა და გვითხრა, გუნდში ისეთი სიტუაციაა შექმნილი, უნდა წახვიდეთო. თან, დაამატა: ვიცი, მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემზე რა უარყოფითი წარმოდგენა გექნებათ, მაგრამ დრო გავა და გაიგებთ, ეს ყველაფერი ვინ მოგიწყოთო...

**- მერე, გაიგეთ?**

- ამას რა გაგება სჭირდებოდა? მანუჩარი გუნდის კაპიტანი იყო და ეტყობოდა, სწორედ ეს ფაქტი აღიზიანებდა ზოგიერთს. არადა, „დინამო“ ჩემპიონატში მეორე ადგილზე მიდიოდა, და თასის ფინალშიც გასული იყო, მაგრამ მოგვიშორეს. ნოდარ ახალკაცმაც ამის შემდეგ დაიწყო ქართული ფეხბურთის ნგრევა: „დინამოში“ ვინ აღარ მოჰყავდა...

**- თუმცა 1981 წელს „დინამომ“ ხომ თასების თასი აიღო?**

- იცით, რა სიტუაცია იყო? ბილიარდის ბურთულა ლუზაში რომ უნდა ჩავარდეს, ზუსტად იმას წააგავდა - გუნდი უკვე გამზადებული იყო სერიოზული წარმატებებისთვის. თანაც, ხომ გითხარით, ეს იაკუშინის მომზადებული გუნდი იყო; ამასთან, ნუ დაგავიწყდებათ, თუ რა დონის გუნდებს მოუგო „დინამომ“: „კასტორია“, „უტერფორდი“, აღარაფერს ვამბობ „კარლ ცაისზე“, - „ქარხნის გუნდი“ უფრო ეთქმოდა; ან „ლეგიას“ რომ მოუგეს და ერთი ამბავი ატყდა, ის რატომ ავიწყდებათ, რომ პოლონეთში მაშინ რევოლუცია იყო და არავის ეფეხბურთებოდა.

**- „ვესტ ჰემი“ და „ფეიენოორდიც“ სუსტი გუნდები იყვნენ?**

- იმავე „ფეიენოორდს“ თუნდაც ერთი ნორმალური ფეხბურთელი ჰყავდა? არ შეიძლება 1981 წლის 13 მაისის მუდამ ასეთი განდიდება, ველარ „გამოვედით“ მაგ თარიღიდან. იმაზე აღარაფერს ვამბობ, ფინალში „დინამოს“ შემადგენლობაში ოთხი ისეთი ფეხბურთელი იყო, ჩვენ დროს 16-კაცში მოხვედრაზეც რომ ვერ იოცნებებდნენ - იმდენად დაბალი დონის მოთამაშეებად მიიჩნეოდნენ. მაგრამ ქართველებს ხომ ვინმეს გაფეტიშება გვჭირვია; აი, როგორც 1977 წელს „ზარიასთან“ სკანდალური მატჩის შემდეგ ედუარდ შევარდნაძე რომ გმირად გამოაცხადეს. არადა, ჩემი საქციელის გამო მსაჯმა პენალტი არ დანიშნა და ტრიბუნებიდან ხალხი რომ გადმოვიდა, „მხსნელად“ შევარდნაძე მოევლინათ! არადა, ხალხის აგრესია მსაჯისკენ იყო მიმართული...

**- „დინამოდან“ წასვლის მერე ძმების გზები გაიყო - თქვენ ცოტა ხანი „გურიაში“ ითამაშეთ, მანუჩარი კი ტაშკენტის „ფახტაქორში“ გადავიდა.**

- „დინამოდან“ რომ გაგვიშვეს, იმასაც ცდილობდნენ, სხვა გუნდებში არ გადავსულიყავით. ვინ აღარ გვიწვევდა, მაგრამ ცეკაში ჟიული შარტავამ დაგვიბარა და გვითხრა: - მიუღებელი არაფერი გააკეთოთო! „გურიაში“ ექვსი თვე ვითამაშე, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, ალიოშა და სერგო კოტრიკაძეებს უარი ვერ ვუთხარი. „გურიას“ მაშინდელი მამა-მარჩენალი ევგრაფი შევარდნაძეც უნდა ვახსენო - კარგი ქართველი და ფეხბურთის ფანატიკოსი.

**- მოსკოვის „სპარტაკში“ ძმები მაჩაიძეების გადასვლას იმ დროს ბევრი არაერთგვაროვნად შეხვდა...**

- „სპარტაკის“ მთავარ მწვრთნელს, კონსტანტინ ბესკოვს საკავშირო ცეკაში სერიოზული ლობი ჰყავდა მოსკოვის პირველი პირის, გრიშინის სახით და ამ შემთხვევაში დაბრკოლება არ შეგვქმნია. არადა, მოსკოვში რომ ჩავედით, გვითხრეს: პოლიტბიუროშიც ბევრი მტრები გყავთო! ამასობაში „სპარტაკს“ ევროტურნირებზე თამაში მადრიდის „რეალთან“ უწევდა და ბესკოვმაც ეს შეხვედრა ჩემი და მანუჩარის ფაქტორის გათვალისწინებით თბილისში დანიშნა.

**- „სპარტაკში“ დიდხანს არ გაჩერებულხართ.**

- ბესკოვი სანაკრებოდ მამზადებდა, მაგრამ „რეალთან“ განმეორებითი მატჩის წინ ჯერ ალექსანდრ მირზოიანმა დამამტვრია ვარჯიშზე, მერე - ოლეგ რომანცევმა.

**- თანაგუნდელები არ იყვნენ?**

- დაინახეს, რომ დაცვის ორივე ფლანგზე ვთამაშობდი, თანაც, იფიქრეს, „სპარტაკის“ ძირითადშიც დაგვაკარგვინებს ადგილს და საბჭოთა კავშირის ნაკრებშიცო და. როგორც კონკურენტი, ასეთი მეთოდით ჩამომიცილეს...

**- კარიერა მაინც საქართველოში, ქუთაისის „ტორპედოში“ დაამთავრეთ.**

- ჩვენი შევიწროება კვლავაც გრძელდებოდა: თბილისიდან ვილაცებს „სპარტაკის“ ფეხბურთელებისთვის ფული ჩაჰქონდათ და ისინიც იმას ცდილობდნენ, ვარჯიშებზე ჩემთვის ან მანუჩარისთვის ტრავმა მოეყენებინათ. ქუთაისის „ტორპედოში“ რომ ჩავირიცხეთ, ამის მერე გუნდმა ზედიზედ ხუთი თამაში წააგო! თურმე, უმაღლეს ლიგაში გადმოსვლა არ უნდოდათ და მაიმუნობდნენ. თანაც, „საბაბი“ ჰქონდათ - ძმები მაჩაიძეების მოსვლის მერე შედეგი აღარ არისო.

**- „ტორპედომ“ იმ სეზონში (1981 წელს) მაინც შეძლო უმაღლესი ლიგის საგზურის მოპოვება.**

- მერე, ვისი დამსახურებით? თანაგუნდელებს ვუთხარით - თქვენ რაც გინდათ, ის აკეთეთ, ოღონდ ჩვენ ხელს ნუ შეგვიშლით-თქო. თუმცა, ახალი სეზონის დაწყების წინ ახალი მწვრთნელი დაგვინიშნეს - გივი ნოდია, წესიერი კაცი იყო, მაგრამ ზენოლა მასზეც იყო. ბოლოს, პირველი წრე რომ დასრულდა, მეც და მანუჩარიც იძულებული გავხდით „ტორპედოდან“ წამოვსულიყავით...

**გია ტუხაშვილი**

# სატრანსფერო მიდი-მოდი

| გუნდები | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება/ საკონტრ. მატჩები |
|---|---|---|---|
| ოლიმპი<br>თემურ მახარაძე | აკინო, ფრაგა (ორივე - ბრაზილია), გველესიანი (?), ა. გილაური (?), პ. დათუნაიშვილი (?), ჭანტურია (?), მერლანი (?), გ. კვარაცხელია (?), მაჭავარიანი (ტორპედო), ელოხი (?), იმედაშვილი (ხაზარი, აზერბაიჯანი), ს. იაშვილი (?) | გენაძე (გაბალა, აზერბაიჯანი), ბოლქვაძე (სიმურგი, აზერბაიჯანი), ბათიაშვილი (სპარტაკი), ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ვიტ ჯორჯია), რომეო ჰამზაი (ალბანეთი), კარლოს ენრიკე მანზატო დოს სანტოსი (ბრაზილია), იგორ კუცი (ჩერნოგორია), ურმას როობა (ესტონეთი), დოლიძე (დინამო), ტვილდიანი (?) | 4 ივნისიდან - რუსთავში<br>დინამო 0:3<br>ვიტ ჯორჯია 0:2 |
| დინამო<br>კახა კაჭარავა | გ. კაშია (?), შ. კაშია (?), აკირემი (?), კრსტესკი (?), ჩიკვილაძე (ტორპედო), მომჩილოვიჩი (ფიზმომზადების მწვრთნელი) | ხმალაძე (ჰაპოელი ჰაიფა, ისრაელი)<br>მეტრეველი (გაგრა) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 3:0<br>სპარტაკი 2:0 |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | კორღალიძე, გამეზარდაშვილი (ორივე დაჩია, მოლდოვა), კაჭკაჭიშვილი (?), მჭედლიშვილი (?) | ბაბუნაშვილი (სექთცია, ისრაელი), ფიფია (ბაია) | 1-9 ივნისი - თბილისი<br>10 ივნისიდან - ავსტრიაში<br>პლზენი (ჩეხეთი) 1:2<br>ზენიტი (რუსეთი) 0:0<br>ზალცბურგი (ავსტრია) 3:2 |
| ვიტ ჯორჯია<br>გელა გომელაური | ბედიაშვილი, რაზმაძე, ა. კვახაძე, ჯაფარიძე (ყველა - ოლიმპი), გ. დათუნაიშვილი (ტორპედო), | ძაძამია (გურია), ი. ჭანკვეტაძე (ტორპედო 2008) | 10 ივნისიდან - თბილისში<br>ოლიმპი 2:0<br>23 ივნისიდან - უკრაინაში |
| სპარტაკი<br>გოჩა ჩიქოვანი | უხურგუნაშვილი (ბანანცი, სომხეთი), ბათიაშვილი (ოლიმპი), ფოფხაძე (ტორპედო), დემეტრაძე (?), ბურდული (?), მედ ნალო (?), ზონი (?), ნონოსი (?), ბაქრაძე (?), ჩირიკაშვილი (?), ჩივაძე (?), გ. კვახაძე (?), თარხნიშვილი (ტორპედო?), მგალობლიშვილი (?) | ჩალაძე (სამტრედია), ზარქუა (ბაია) | 7 ივნისიდან - თბილისში<br>1 ივლისიდან - უცხოეთში |
| სიონი<br>ხვიჩა ქასრაშვილი | | | 20 ივნისიდან - თბილისში |
| სამტრედია<br>გელა სანაია | ჩალაძე (სპარტაკი), ზ. ხაჭიპერაძე (ტორპედო) | გელა სანაია (მთავარი მწვრთნელი, ლოკომოტივი) | 10 ივნისიდან |
| ბაია<br>ელგუჯა ქომეთიანი | ფიფია (ზესტაფონი), ჩისამბა ლუნგუ (ურალი, რუსეთი), ზარქუა (სპარტაკი), | რაფავა (კვიპროსი) | 15 ივნისიდან |
| ტორპედო<br>რამაზ მუმლაძე | ი. ჭანკვეტაძე (ვიტ ჯორჯია) | რამაზ მუმლაძე (ავაზა/ვისოლი,მთავარი მწვრთნელი), ჩიკვილაძე (დინამო), გ. დათუნაიშვილი (ვიტ ჯორჯია), დ. ფოფხაძე (სპარტაკი), მაჭავარიანი (ოლიმპი), ზ. ხაჭიპერაძე (სამტრედია) ქვილითაია (ლოკომოტივი), თარხნიშვილი (სპარტაკი), ნ. კვასხვაძე (ზესტაფონი) | 11 ივნისიდან - ქუთაისში |
| კოლხეთი (ფ)<br>ბესიკ შეროზია | გ. თოდუა (?), დ. ქირია (?) | | 10 ივნისიდან |

*შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერი*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფარიკაობა

# დაშნით და რაპირით


თათია აფციაური

ბათუმში მოფარიკავეთა საქართველოს თასის გათამაშებაზე ჯილდოები რაპირასა და დაშნაში გათამაშდა. მთავარი პრიზისთვის 50-მდე ქალ-ვაჟი იბრძოდა. რაპირისტი ქალების ნახევარფინალში თბილისელმა **მადონა ჩაბრაძემ** ქუთაისელი **ეკა გიორგაძე** დაამარცხა — 15:9, ხოლო **თინათინ ბოლქვაძემ** (აჭარა) **თეონა გოგლიძესთან** (თბილისი) წააგო 5:15. ფინალში გამოცდილმა ჩაბრაძემ ახალგაზრდა მეტოქეს 15:5 სძლია.

ვაჟებში ნახევარფინალური ორთაბრძოლები ასე დამთავრდა: **სანდრო სიხარულიძე** (თბილისი) - **ირაკლი ჭელიძე** (აჭარა) 15:7, **არჩილ უგულავა** (თბილისი) - **ანზორ გურაშვილი** (ქუთაისი) 15:5. გადამწყვეტი პაექრობა გარდამავალი უპირატესობით ძალიან დაძაბული გამოდგა. საბოლოოდ სიხარულიძემ 15:14 იმარჯვა და საქართველოს თასსაც დაეუფლა.

დაშნაში ქალთა შორის კვარცხლბეკის სამივე საფეხურზე ქუთაისელი სპორტსმენები ავიდნენ. ნახევარფინალში **ხატია ლელაძემ თეონა ბერიძეს** მოუგო - 15:11, ხოლო **ნათია ჩაჩხიანმა ნათია ჩუბინიძე** დაჯაბნა - 15:10. ჩაჩხიანმა გადამწყვეტ პაექრობაში ასეთივე ანგარიშით ლელაძეს აჯობა.

ვაჟთა ნახევარფინალში თბილისელი და ქუთაისელი მუშკეტერები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს: **დავით არველაძე** (ქუთაისი)-**ნიკოლოზ ზურაბიშვილი** (თბილისი) 15:12, **სანდრო სიხარულიძე** (თბილისი)-**ანზორ ყურაშვილი** (ქუთაისი) 15:10. ფინალი. არველაძე-სიხარულიძე 15:10.

საქართველოს თასის გათამაშებაში ფარიკაობის ეროვნულ ფედერაციას კომპანია „აბგ პროფსერვიზი" დაეხმარა.

ვაჟა **დანელია**


მადონა ჩაბრაძე


სანდრო სიხარულიძე

მძლეოსნობა


მარიამ ქევხიშვილი

# სამი პირველი და გუნდური მეთერთმეტე

ბასულ უქმეებზე მალტამ მძლეოსანთა (მე-3 ლიგა) ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლა. 15 ქვეყნის წარმომადგენლებს შორის საქართველოს 19 სპორტსმენიც (**დავით ცუცქირიძე, ენდრიკ ზილბერშტეინი, თენგიზ ლვინჯილია, მერაბ ქინიძე, გიგლა ზილბერშტეინი, დავით ილარიანი, გიორგი ანთელიძე, ზურაბ გოგოჭური, ბორისლავ სხირტლაძე, გიორგი ბედოშვილი, ბენიკ აბრამიანი, როსტომ ჭინჭარაული, სალომე აბშილავა, ლიკა ლოლუა, თეა ფაცურია, გაიანე უსტიანი, გიული დეკანაძე, მაია გოგოლაძე, მარიამ ქევხიშვილი**) იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის.

ქალებში ოლიმპიური თამაშების ორგზის მონაწილე მარიამ ქევხიშვილმა გვასახელა. ქართველმა მძლეოსანმა ბირთვი 17,28-მეტრიან ნიშნულს გადააცილა და მეორე ადგილზე გასულ ბულგარელ **რადოსლავა მავროდიევას** ნახევარი მეტრით აჯობა.

ვაჟებში ასევე ორგზის ოლიმპიელმა დავით ილარიანმა იყოჩაღა: 110 მეტრი თარჯებით მან 14.12 წამში დაფარა და პირველი ადგილი დაიკავა. თანაგუნდელს მხარი აუბა ახალციხელმა ენდრიკ ზილბერშტეინმა, რომელმაც 400 მეტრზე (48.45) აჯობა ყველას.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. დანია (272), 2. ბულგარეთი (268,5), 3. კვიპროსი (251 ქულა). საქართველოს 111 ქულით მე-11 ადგილი ერგო.

ვაჟა **დანელია**

ჭადრაკი

# მაჟორული ფინიშით


დავით ჯოჯუა

სამტრედიელი დიდოსტატი **დავით ჯოჯუა** ერთადერთი ქართველი მოჭადრაკე გახლდათ ვარნის საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც პირველობისთვის სხვადასხვა ქვეყნის ასამდე წარმომადგენელი იბრძოდა.

შვიდი ტურის შემდეგ ჯოჯუა ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა ორ ლიდერს, რომლებსაც 6-6 ქულა ჰქონდათ. **პაველ დიმიტროვისა** და **მირჩა პარლიგრასის** დაპირისპირება პირველის გამარჯვებით დამთავრდა, რითაც ბულგარელს, თითქოს, მთავარ პრიზს ვერავინ შეეცილებოდა, რადგან მისმა უახლოესმა მდევრებმა, მათ შორის - ჯოჯუამ, ორთაბრძოლები მშვიდობიანად დაასრულეს. დაზავდნენ: **ვლადიმირ გეორგიევი-ჯოჯუა, კრასიმირ რუსევი-დიმიტრი კომაროვი, რადოსლავ დიმიტროვი-დანიელ რაძიკოვსკი, ნარმინ კაზიმოვა-ოლგა სტიაშკინა**, ხოლო **ანდრეი დოკუჩაევმა დიან დიმოვს** სძლია.

ბოლო ტურში ქართველი დიდოსტატი ერთპიროვნულ ლიდერ დიმიტროვს შეხვდა. დაძაბულ პაექრობაში ჯოჯუამ გაიმარჯვა და მანაც 7 ქულა მოაგროვა, ისევე, როგორც დოკუჩაევის მძლეველმა გეორგიევმაც. უკეთესი კოეფიციენტით პირველი ადგილი ჯოჯუას ხვდა. მეორე-მესამე ადგილებზე გეორგიევი და დიმიტროვი გავიდნენ.

ვაჟა **დანელია**

ავტოსპორტი

# თბილისელებს ახალი რბოლა მოეწონათ



დიდი დიღმის ტერიტორიაზე საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის მხარდაჭერით კლუბმა „ჯეო-რეიდმა" საქართველოში პირველად ჩაატარა შეჯიბრება კვადროციკლებში - „Quadro Racing 2010". ასპარეზობა საინტერესოდ წარიმართა და რბოლის ახალმა სახეობამ თბილისელთა მოწონებაც დაიმსახურა, მით უფრო, რომ შეჯიბრება წყვილთა რბოლის ფორმატით გაიმართა და მოასპარეზეებს მრავალი რთული წინააღმდეგობის გადალახვა უწევდათ. საბოლოოდ პირველობა **თამაზ ჯავახაძეს** ხვდა წილად, მეორე ადგილზე გავიდა **გიორგი სიხარულიძე**, მესამეზე - **გიორგი ბენდელიანი**.

**„ლელოს" კორ.**

ჭიდაობა ჩვენი, ქართული



# დედაქალაქის ჩემპიონატი

25 ივნისს დიღომში, ძიუდოს აკადემიის ტატამზე საქართველოს პირადი ჩემპიონატი გაიმართება ქართულ ჭიდაობაში. ამ შეჯიბრებას წინ უსწრებდა გლდანში, ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტში გამართული თბილისის ჩემპიონატი. დედაქალაქის ჩემპიონ-პრიზიორები ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ.

**60 კგ:** 1. მიხეილ ოსაძე, 2. გიორგი ბერიაშვილი, 3. გიორგი ტყემალაძე.

**70 კგ:** 1. ბექა ბერიაშვილი, 2. ხვიჩა ნიკლაური, 3. გიორგი მკალავიშვილი

**80 კგ:** 1. გოჩა ხუციშვილი, 2. ვალერი გუგავა, 3. თევდორე ქურციკიძე.

**90 კგ:** 1. გიორგი ცოციაშვილი, 2. თევდორე აბელაშვილი, 3. სანდრო სტეფნაძე.

**გაბრიელ ბარჯაძე**

# ბალათუროვმა იპირველა


გიორგი ბალათუროვი

საქართველოს ოთხი წარმომადგენელი მონაწილეობდა მოჭადრაკეთა თურქეთის საერთაშორისო ტურნირში, რომელიც გუშინ დამთავრდა. 9 შესაძლებლიდან 8 ქულით პირველი ადგილი თბილისელმა დიდოსტატმა **გიორგი ბალათუროვმა** დაიკავა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ქუთაისელი **გიგა ყუფარაძე**, რომელსაც მეორე ადგილი ხვდა. ოთხმა მოჭადრაკემ 7-7 ქულა მაგროვა, მათ შორის - დედაქალაქელმა **არსენ გრიგორიევმა.** იგი მე-5 ადგილით დაკმაყოფილდა. **ივერი ჭილლაძე** 6 ქულით მე-14 ადგილზე გავიდა.

ვაჟა **დანელია**

ჩოგბურთი

# დღეიდან დინამოზე გადაინაცვლებენ...

სამი პირველი და ოთხი მეორე ადგილი — ასეთია ქართველ სპორტსმენთა მონაგარი 14 და 16 წლის ჩოგბურთელთა თბილისის თასზე გამართულ საერთაშორისო ტურნირში, რომელსაც ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებმა უმასპინძლა. შეჯიბრებაში 12 ქვეყნის 120-ზე მეტი გოგონა და ვაჟი ცდიდა ძალებს. მასპინძლებმა განსაკუთრებით 16-წლიან ვაჟებში ისახელეს თავი — აქ ქართული ფინალი ვიხილეთ. პირველ ნომრად განთესილმა **მიხეილ ხმიადაშვილმა** (90) რამდენიმე ძლიერ მეტოქეს სძლია, მათ შორის — მეოთხე და მეექვსე ნომრებად განთესილ **ანდრეი რეჩკინსა** (რუსეთი, 205) და **პიოტრ ლომაცკის** (პოლონეთი, 439), შესაბამისად, 6:2, 5:7, 6:4 და 1:6, 6:3, 6:2. გადამწყვეტ პაექრობაში თანაგუნდელ **ალექსანდრე დავლიანიძეს** (156) დაუპირისპირდა. ასპარეზობის მეორე ნომერმა მხოლოდ პირველ ხელში გაუწია მედგარი წინააღმდეგობა ხმიადაშვილს, უფრო მეტიც — წარმატებასაც მიაღწია (7:6), მაგრამ მეორე და მესამე სეტები აშკარად დათმო — 4:6, 0:6 და მეორე ადგილს დასჯერდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ხმიადაშვილი ავიდა.

ამ ასაკის გოგონებში ფავორიტად ითვლებოდა თანატოლებში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი **ბარბარე ერისთავი** (88), მაგრამ ნახევარფინალში მას **ანი გოგვაძემ** (124) აჯობა — 6:3, 6:4. მეორე ნახევარფინალშიც ქართველები დაუპირისპირდნენ ერთმანეთს თბილისელი **მარიამ გოგელაშვილი** (779) და მოსკოველი **თამარ ფიჩხაძე** (88). მარიამმა წინა დღით რუსეთში მცხოვრებ ერთ ქართველს — **თინა ბოხუას** (189) სძლია — 5:7, 6:1, 6:2, მაგრამ წარმატების გამეორება ვერ შეძლო და ფიჩხაძესთან 3:6, 4:6 წააგო. ამ უკანასკნელმა კი გადამწყვეტ ორთაბრძოლაში გოგვაძეც დაჯაბნა 6:1, 7:5. საგულისხმოა, რომ ფიჩხაძემ ბელარუს **ალინა ზუბკოვასთან** ერთად წყვილთა თანრიგშიც დაიკავა პირველი ადგილი — ფინალში მათ გოგვაძე-ერისთავის მძლეველ თურქებს — **გოზდემ აკირენსა** და **ექემ მერსინს** მოუგეს — 6:4, 6:48

თამარ ფიჩხაძე წარმოშობით ქუთაისელია. მათი ოჯახი რამდენიმე წლის წინათ გადავიდა მოსკოვში საცხოვრებლად. თამუნამ, როგორც მას ეძახიან ახლობლები და მეგობრები, ჩოგბურთის თამაში 8 წლის წინათ დაიწყო. შარშან 14-წლიანთა შორის მოსკოვის პირველობა მოიგო. წლეულს გაზაფხულზე ისრაელში ორი საერთაშორისო ტურნირი მოიგო. ახლა კი 16-წლიანებში თბილისის თასი მოიგო, არადა, ჯერ 13 წლისაც არ არის.

„კარგი ტურნირი იყო, შესანიშნავად ორგანიზებული, — მითხრა თამარ ფიჩხაძემ. — ძლიერი მეტოქეებიც მყავდა. ჩემს გამარჯვებაში გულშემატკივრებსაც მიუძღვით დიდი წვლილი. მამაჩემის მეგობრის — გოგიჩაიშვილების სახლში ვცხოვრობ. მთელი ოჯახი მოდიოდა ჩემს საქომაგოდ. სხვებისგანაც დიდი სითბო ვიგრძენი. ამიტომაც შემთხვევითი არ არის, რომ მე და მამაჩემს ძალიან გვინდა საქართველოს ნაკრებში ვითამაშო. თანატოლთა შორის რუსეთის გუნდში გამოსვლაზე უარი რომ ვთქვი, ბევრი უსიამოვნება შემხვდა: შარშან მოსკოვის პირველობის ფინალში კრისტინა ჩახოვსკიხის ვძლიე, მაგრამ ევროპის ჩემპიონატზე ის წაიყვანეს. რუსეთის ნაკრების ხელმძღვანელი ვლადიმირ კამელზონი დამემუქრა კიდეც — შენს მწვრთნელს ლიცენზიას ჩამოვართმევთ და შინაურ ტურნირებში მონაწილეობას შეგიზღუდავთო. ყოველივეს მიუხედავად, მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი, საქართველოს ნაკრებში თამაშის უფლება მოვიპოვო".

16 წლის ჩოგბურთელ ვაჟთა წყვილებში თავი ისახელეს **ალექსანდრე დავლიანიძემ** და **ლუკა ფილფანმა.** ნახევარფინალში მათ **გიორგი ჯავახიშვილისა** და **ანდრეი რეჩკინის** ინტერნაციონალური დუეტი დაამარცხეს, — ფინალში კი პოლონელებს — **პასკალ კლოსსა** და პიოტრ ლომაცკის დააყრევინეს ფარ-ხმალი — 5:7, 6:2 [10:4].

მთავარი პრიზი 14-წლიანებშიც მასპინძელთა დუეტს ხვდა — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე **შოთა მეფარიძე** და **ალექსანდრე ბაკში** ავიდნენ მას შემდეგ, რაც გადამწყვეტი პაექრობა **მაქსიმ ბულატსა** (მოლდოვა) და **სტეფანოს ციციპასს** მოუგეს 6:1, 7:6.

გამარჯვებულთა შორის გუშინ ამ ასაკში კიდევ ორი ქართველი ჩოგბურთელი შეიძლებოდა, გვეხილა, მაგრამ ისინი მხოლოდ მეორე ადგილებს დასჯერდნენ. შოთა მეფარიძე (99) პირველ ნომრად იყო განთესილი და თავდაჯერებულადაც მიაღწია ფინალამდე ოთხ შეხვედრაში მხოლოდ 5 გეიმი დათმო. აი, მოსკოველ **ფილიპ ალექსანიანთან** (108) გადამწყვეტი ორთაბრძოლისას კი თავისი თამაში „ვერ იპოვა" და 1:6, 2:6 დამარცხდა. მსგავსი ანგარიშით დათმო ფინალური შეხვედრა **ირინე ყარანგოზიშვილმა** (384) თურქ **ეგე ტომისთან** (381) და მეორე ადგილით დაკმაყოფილდა. რაც შეეხება გოგონათა დუეტების ორთაბრძოლას, პირველი პრიზი **მარია ბოცას** (საბერძნეთი) და **იანა მინასიანს** (მოლდოვა) ხვდათ. ინტერნაციონალურმა დუეტმა ფინალში თურქებს — ეგე ტომის და მუგე ტოფსელს სძლია 2:6, 6:2 [10:4].

„მოზარდების ტრადიციული ტურნირი წლეულს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტმა და მინერალური წყლების კომპანია „ბორჯომმა" გადაგვირჩინეს. კარგი შეჯიბრება გამოგვივიდა საკმაოდ ძლიერი შემადგენლობით. ასეთი ასპარეზობები აუცილებელია ჩვენი ჩოგბურთელებისთვის ოსტატობის ასამაღლებლად, მით უმეტეს საქართველოს ნაკრების წევრებისთვის, რომლებსაც ივლისის შუა რიცხვებში თანატოლთა შორის ევროპის პირველობაზე მოუწევთ გამოსვლა", — გვითხრა საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა.**

თბილისის თასის გათამაშების მონაწილეები ორშაბათიდან „დინამოს" კორტებზე გადაინაცვლებენ და „რენას და დათოს" თასზე მოსინჯავენ ძალებს.



თამარ ფიჩხაძე



მიხეილ ხმიადაშვილი



წყვილთა შორის გამარჯვებულები: შოთა მეფარიძე (მარცხნივ) და ალექსანდრე ბაკში

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

დაფასება



# ჯილდო ამაგდარს

ეს იყო სამი ათეული წლის წინათ: მაშინდელ მარჯანიშვილის კორტებზე **გოგი მესხმა** მეგობარ მწვრთნელთან უფროსი ქალიშვილი მიიყვანა — ჩოგბურთი მინდა ასწავლოო. მასპინძლის ყურადღება პატარა გოგონამ მიიპყრო, რომელიც მორცხვად უფროს დას ამოფარებოდა. „მისთვის ჯერ ნაადრევია", — მწვრთნელის მზერა არ გამოპარვია ბატონ გოგის. მე კი გირჩევთ, დებმა ერთად ივარჯიშონო, — ღიმილით უპასუხა მასპინძელმა...

იმ პატარა გოგონამ მერე ქვეყანა ასახელა — საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა, ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა. ალბათ, მიხვდით — ქალბატონ **ლეილა მესხზე** მოგახსენებთ. მისი პირველი დამკვალიანებელი კი **გურამ თოხაძე** გახლდათ, დღეს უკვე შვიდ ათეულ წელს გადაცილებული საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსეული პედაგოგი, სპორტის ოსტატი, რომელიც წლების განმავლობაში წარმატებით იცავდა „სპარტაკის", „ლოკომოტივისა" და „შახტიორის" საკავშირო სპორტსაზოგადოებების ღირსებას. 1958 წლიდან მწვრთნელად მუშაობს. ლეილა მესხთან ერთად მისი აღზრდილები არიან ცნობილი ჩოგბურთელები — **დავით კაჭარავა, ეკა თოხაძე, გიორგი რევაზიშვილი, ნუკრი ცერცვაძე, ნიაზ ჟორდანია, მაკა ჩახნაშვილი, თათია მიქაძე** და სხვები.

წლების სიმძიმის მიუხედავად, გურამ თოხაძე ქალიშვილ ეკასთან ერთად კვლავაც ეწევა მწვრთნელის მძიმე ჭაპანს საკუთარი სახსრებით მოწყობილ კორტებზე ნაძალადევში. ბევრ იმედისმომცემ ახალგაზრდას უკაფავს გზას საერთაშორისო სარბიელისკენ. ერთ-ერთი გახლავთ მისივე შვილიშვილი — **შოთა მეფარიძე,** თანატოლებში საქართველოს ჩემპიონი და მრავალი ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი.

ჩოგბურთის განვითარებაში შეტანილი პირადი წვლილისთვის სპორტის ამ სახეობის ევროპის ფედერაციამ ამას წინათ გურამ თოხაძე სპეციალური პრიზით დააჯილდოვა, რომელიც ამაგდარ პიროვნებას ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა **ლეილა მესხმა** გადასცა.

**ვაჟა დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

# ზაურ მჭედლიშვილი



72 წლისა გარდაიცვალა ვეტერანი ფალავანი და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თავისუფალ ჭიდაობაში ზაურ მჭედლიშვილი.

გამოჩენილ მწვრთნელ ნერსეს აკოფოვთან თბილისში, ცნობილ „პეტრეს დარბაზში" დაოსტატებული ახალგაზრდა გასული საუკუნის 50-60-იანი წლების ერთ-ერთი საუკეთესო მჩატე წონის თავისუფალი სტილის მოჭიდავე იყო.

1957 წელს კიევში სსრკ ჩემპიონი გახდა. იმავე წელს ვერცხლის მედალი მოიპოვა საერთაშორისო მეგობრულ სპორტულ თამაშებში. ერთი წლით ადრე კი სსრკ პირველი სპარტაკიადა და საკავშირო პირველობა მოიგო. იყო საქართველოს ნაკრების კაპიტანი, საკავშირო ჩემპიონატების ორგზის პრიზიორი (1958-1962 წწ). სსრკ ჩემპიონი ჭაბუკთა შორის (1954), საკავშირო გუნდური პირველობის გამარჯვებული.

საქართველოს სახელმწიფო ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ოთხი ათეული წლის განმავლობაში ერთგულად ემსახურა ქართულ სპორტს. მუშაობდა თავისუფალ ჭიდაობაში თბილისის არმიის სპორტული კლუბის უფროს მწვრთნელად და სპორტსკოლის დირექტორად.

პრაგმატული სტილის მოაზროვნე მოჭიდავეს შეკრება-შეჯიბრებებზე მუდამ თან დაჰქონდა მხატვრული ლიტერატურაც. გაწონასწორებული და პუნქტუალური, შინაგანად უაღრესად წესიერი კაცი იყო, ყველას მიმართ ერთობ ყურადღებიანი და კაცთმოყვარე.

ქართული სპორტის ერთგული მსახური და ცნობილი სპორტსმენი ზაურ მჭედლიშვილი დააკლდა ოჯახს, შვილებს, შვილიშვილებს, მოჭიდავეთა თემს, ნათესავებს, სამეგობროს.

ნათელში იყოს!

მეგობრები და ვეტერანი მოჭიდავეები: ვახტანგ ბალავაძე, ჯუმბერ დავლიანიძე, ზაქარია მუხიაშვილი, გურამ სალარაძე, ლერი ძაგანია, თამაზ მაჭავარიანი, მიხეილ ჯინჭარაძე, ომარ ეგაძე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ვიწყებთ კალათბურთით...

# კლოზეს რომ მეხუთე ფოლი არ მიეღო...

## პარალელური ფიქრები

კლავიატურა ბატის ბუმბულივით მოვიმარჯვე, ხელთაგვი მელანში ჩავაწე და როგორც ყოველთვის, კალათბურთზე წერას შევუდექი. თუმცა თვალები მონიტორის მიღმა გამექცა და გონებაც გაიფანტა. პირდაპირ ორი პლაკატი მიყურებს: ერთზე აწერია ITALIA-90 და ზედ ყველა ანგარიში ლურჯი ფერის კალმითაა ჩაწერილი, მეორე პლაკატზე დიდი ასოები გვატყობინებენ: FRANCE-98-ის შესარჩევი, საქართველო, პოლონეთი, ინგლისი, იტალია, მოლდოვა. ხელმარჯვნივ თიხისგან ნათითხნი ფუტიქსი დგას, მარჯვნივ იტალიის ნაკრები ბულგარეთთან თამაშის წინ (1994)...

მოკლედ, ვიზუალური თვალსაზრისით განწყობა საკალათბურთო ნამდვილად არ არის. სმენადობა... ვუზუზელასავით მოზუზუნე პროცესორი სამხრეთაფრიკულ ატმოსფეროს ქმნის. აი, ასეთ რთულ პირობებში მიხდება მუშაობა. მაგრამ კალათბურთს მაინც არ ვუღალატებ: ექსიუგოსლაველები აკადემიურ კალათბურთს თამაშობენ. მაგალითად, სლოვენიის ნაკრები ერთ პასს მეორეს მიაყოლებს, მეორეს - მესამეს, მეოთხეს და ბურთს მანამ დაატრიალებს, სანამ ვინმე სატყორცნ პოზიციაზე არ აღმოჩნდება - შორეული გასროლა და სამქულიანი ალყირის კარში. მეორე ტურში უფრო ლამაზი სამქულიანი ვიხილეთ ბრეჩკოს შესრულებით, თანაც ამერიკულ „დრიმ თიმთან“ (ბრჭყალები ორმაგი მნიშვნელობისაა)...

არგენტინელები ტაქტიკურ ჩარჩოებში ვერ ეტევიან. მანუ ჯინობილიმ ისიც იცის, როგორ უნდა იუგოსლავიური პასი-პასის თამაში, მაგრამ რის მანუ იქნებოდა, მინიმუმ ორი კაცის მოტყუება რომ არ შეეძლოს. საფეხბურთო მოედანზე თითქმის ორჯერ მეტი მოთამაშეა, ჰოდა, მესის მიმიმუმ 4 კაცის მოტყუება შეუძლია თავისუფლად... ეს კორეასთანაც კარგად გამოუვიდა და ამიტომაც ვიხილეთ ეფექტური „ალეი უპები“ მესი-იგუანის შესრულებით.

ჯინობილის „სან ანტონიოს“ მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ფრანგი გამთამაშებელი ჰყავს... ზიდანი არა, პარკერი. იგი მთელი საფრანგეთის ნაკრებია და საინტერესოა, მისი წასვლის შემდეგ რა სახეს მიიღებს სამფეროვანთა საკალათბურთო კრებული. თუმცა წარმოდგენა მაინც შეიძლება: დახუჭეთ თვალები და გაიხსენეთ ზიდანის გარეშე მოფარფატე საფრანგეთის საფეხბურთო გუნდი, რომელსაც მუნდიალზე პეპელასავით სამი დღის სიცოცხლე უწერია...

უკეთესი შემადგენლობა არც გერმანიას ჰყავს, მაგრამ სამხრეთ აფრიკაში სამზე მეტ დღეს რომ იცოცხლებს, ამას იმ შემთხვევაშიც ვიტყვი, თერთმეტის ნაცვლად ხუთმა კაცმა რომ ითამაშოს. არადა, როგორ გასწირა საკალათბურთო ფორტუნამ სერბეთთან მატჩში... ეს უთუოდ მწვრთნელის ბრალია: გერმანელთა მთავარმა იმედმა, კლოზემ ერთი ფოლი რომ მიიღო, ლიოვს უნდა დაესვენებინა და ბოლო წუთებისთვის შემოენახა. აბა, ნოვიცკის ჯარიმების ზედმეტი რაოდენობა პირველივე პერიოდში რომ მიეღო, ბაუერმანი არ დაასვენებდა? მოკლედ, კლოზემ მეხუთე ფოლი პირველივე ტაიმში მიიღო და წითელიც აენთო. იგი მოედნიდან გასული არ იყო, როცა სერბმა ივანოვიჩმა ბურთი მეკარეს ეფექტურად დაატენა. თუმცა მატჩი ქულა-ქულაში გაგრძელდა და თამაშის გადარჩენის შანსი პოდოლსკის მიეცა - საჯარიმოს ხაზთან დადგა და კალათს ააცილა, ბურთი მეკარემ მოხსნა და თანაგუნდელებს გამარჯვება მოუტანა. ისე, გერმანიის სერბეთთან წაგება ფეხბურთის სპეციალისტებს ეჩვენებათ უცნაურად, თურემ საკალათბურთო სამყაროში ვისაც გინდა ჰკითხეთ, გერმანიასთან სერბეთის ერთიანს დაგიწერთ.

ესპანეთის მოგებაზეც ბევრი ერთიანი იწერებოდა და დაიწერება კიდეც... მაგრამ უცნაურია: 90 წუთის მანძილზე ინიესტამ და რუბიომ სამქულიანები ვერ ჩააგდეს, ვერც ვილიამ და ნავარომ გამოიყენეს ორქულიანები, ტორესსა და გასოლს მაინც არ უნდა ჩაეგდოთ თითო საჯარიმო? უცნაურია, რომ ესპანეთის ნაკრებმა ქულაც ვერ ჩააგდო.

თუმცა სპორტში უცნაურობას რა დალევს. აბა, გასაკვირი არ არის: 7-მეტრიან კარს 11 კაცი 90 წუთის განმავლობაში უტევს და ბადეს ერთხელაც ვერ არხევს, ხოლო ნაგვის ურნის დიამეტრის საკალათბურთო რგოლში 5 კაცი სულ რაღაც 40 წუთში 100-ზე მეტ ქულას აგდებს?!

მაგრამ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატი ·ახალი დაწყებულია, გუნდები ფრთხილობენ, ძალებს იზოგავენ...

**ვაჟა სიმონიშვილი**

*P.S. შეიძლება ვინმეს გაუკვირდა, ყვითლებზე რომ არაფერი ვთქვით. სიტყვა თავად ბრაზილიელებს მივანდოთ.*



მიროსლავ კლოზეს მოედანი ნაადრევად დაატოვებინეს

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა




ფარიდ მანსუროვი

# ნასვლაზე მანსუროვიც ალაპარაკდა

ეტყობა, ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში აზერბაიჯანელ ოლიმპიურ და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ **ფარიდ მანსუროვს** (66) რეალურად ემუქრება კარიერის ნაადრევად, იძულებით დამთავრების საფრთხე. აქამდე თუ ამაზე სხვები ლაპარაკობდნენ, გუშინ ამის შესახებ თვითონ სპორტსმენმა განაცხადა. *„ეტყობა, მართალი იყო ჩვენი ნაკრების მთავარი მწვრთნელი ელჩინ ჯაფაროვი, როცა ჩემი კარიერის ნაადრევად დამთავრებაზე ჩამოაგდო სიტყვა. ექიმები ამ ეტაპზე მართლაც უძლურნი არიან. წლის ბოლოს მათთან კიდევ ერთხელ გავივლი შემოწმებას და ამის შემდეგ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას“*, - თქვა მანსუროვმა.

საქართველოში დაბადებულ-გაზრდილმა ფალავანმა ტრავმა ევროპის წლევანდელ პირველობაზე მიიღო ბაქოში - მესამე წრეში კონტინენტის მომავალ ვიცე-ჩემპიონთან, რუმინელ **ლონუტ პანაიტთან** ჭიდილში ყბის ძვალი გაიტეხა და დამარცხდა. შეიძლება ითქვას, მანსუროვი ტრავმებს შეჩვეულია - რამდენიმე წელიწადია, ქრონიკულად სტკივა წელი და შარშან მსოფლიოს პირველობის წინ დაიჩივლა კიდეც, ეტყობა, ამ ტრავმას მთელი ცხოვრება ვერ მოვიცილებო. ალბათ, ამიტომ არც ახლა შეეგუა ბედს და უკრაინელ **სერგეი კრასილნიკოვთან** სახედაბინტული, ყბაახვეული მაინც გავიდა საჭიდაოდ. ეს საბედისწერო რისკი აღმოჩნდა - ტრავმა კიდევ უფრო გაირთულა და დარბაზიდან პირდაპირ საავადმყოფოში გააქანეს. ის, რომ სეზონს გამოტოვებდა, მაშინვე ითქვა, მოგვიანებით კი ინტერნეტში ჯაფაროვის ზემოხსენებული სიტყვები გაჩნდა, შესაძლოა, მანსუროვმა საერთოდ დაასრულოს კარიერაო... ეს ხმები ახლა კიდევ უფრო რეალური გახდა. ყოველ შემთხვევაში, ის კი ნალდია, რომ მანსუროვი სექტემბრის დასაწყისში მოსკოვში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე ვერ იჭიდავებს.

28 წლის მანსუროვი ფრიად უხერხული მეტოქე იყო ჩვენებურებისთვის. დიდ ტურნირებზე ქართველებს მასთან პირველად შერკინება 2002 წელს მოუხდათ, როცა ჯერ კიდევ მომავალი ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონი **მანუჩარ კვირკველია** ასევე მომავალ ოლიმპიურსა და მსოფლიოს ჩემპიონთან მოსკოვში გამართულ პლანეტის პირველობაზე დამარცხდა. იმხანად ორივე სადებიუტო სეზონს ატარებდა ეროვნულ ნაკრებში, თუმცა მაშინ ჯერ კიდევ 66-ში მოჭიდავე კვირკველიას უკვე მოესწრო უფროსებში ევროპის ვიცე-ჩემპიონობა. სამაგიეროდ, მანსუროვი ახალგაზრდებში წინა წლის მსოფლიოს ჩემპიონი იყო. იმ პერიოდში კვირკველიას ჯერ კიდევ აკლდა თავდაჯერება, საკუთარი ძალების რწმენა და ხუთი წლით უმცროს მეტოქესთან ძირითადად ამის გამო წააგო, თუმცა-მანსუროვმა მაშინვე გაუმართა ბინძური ბრძოლა - თავის ჩარტყმები, მალული მუჯლუგუნები თუ თვალებზე წაპოტინების მცდელობები იმ შეხვედრაშიც ბლომად იყო. საბოლოოდ მოსკოვში კვირკველია მესამეზე გავიდა, მანსუროვმა კი ვერცხლი მოიპოვა - ფინალში შვედ **ჯიმი სამუელსონთან** წააგო.

თუმცა მოსკოვში კვირკველიასთან მომხდარი არაფერი იყო იმ უმსგავსობასთან შედარებით, რაც შარშანდელი მსოფლიოს პირველობის ფინალში მოხდა მანსუროვისა და **მანუჩარ ცხადაიას** შეხვედრისას. იქ დატრიალებულ უკეთურობაზე სიტყვის გაგრძელება აღარც ღირს, რადგან იმ ფინალს საჭიდაო სამყარომ მაშინვე გამოუტანა განაჩენი როგორც მიკერძოებულსა და უმსგავს შეხვედრას. სხვას თავი დავანებოთ, თურმე სახელოვანმა **ალექსანდრ მედვედმა** მსაჯებსა და საერთაშორისო ფედერაციის დიდმოხელეებს სულ „სვოლოჩები“ ეძახა. საინტერესოა, რომ მაშინ აზერბაიჯანის ბერძენ-რომაელთა ნაკრებს ქართველი მწვრთნელი, **ოთარ ტატიშვილი** წვრთნიდა, თუმცა მომხდარში ყველაზე ნაკლები ბრალი მას და თავად მანსუროვს მიუძღვით - შეხვედრებს არც მწვრთნელები ყიდულობენ და მით უფრო - სპორტსმენები. ეს საკითხები „ზემოთ“, ბევრად მაღალ დონეზე წყდება. არადა, უცხო თვალისთვისაც კი აშკარა იყო, შეხვედრის მიმდინარეობაში მსაჯები ასე ავბედითად რომ არ ჩარეულიყვნენ, მანსუროვი არ იყო ჩვენებურის მომგები - ცხადაია უფრო აქტიური, უფრო მომზადებული და ბევრად უკეთესი იყო.

მანსუროვმა რომც შეძლოს სპორტში დაბრუნება, საეჭვოა, ძველი ფორმა აღიდგინოს და ისევ შევიდეს ადრინდელ ფორმაში. მას ეს გაცდენილი პერიოდი აუცილებლად დაასვამს დაღს. თან სარეაბილიტაციო პერიოდსაც გარკვეული დრო სჭირდება... მართალია, ის უკვე საკმაოდ გამოცდილი ფალავანია და ფორმას დამწყებზე ბევრად სწრაფად აღიდგენს, ჯერ არც კრიტიკულ ასაკშია, ეს ძალიან რომ გაუჭირდეს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება მისი წელის ,ტრავმა, რაც სერიოზულ პრობლემებს უქმნის არა მხოლოდ სპორტში, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. იმავე ტატიშვილისგან ვიცი, რომ მას ხანდახან მოძრაობაც კი უჭირს, ტრავმა იმდენად უმძაფრდება.

ცხადია, სახელოვანი ფალავანი უკმაყოფილოა მოსალოდნელი პერსპექტივით, მაგრამ აზერბაიჯანის ნაკრებში ამ წონითი კატეგორიის მომავალზე მაინც ოპტიმისტურად ლაპარაკობს. „პირადად მე მიმაჩნია, რომ ჩემს წონაში არიან ძლიერი ბიჭები. ავილოთ თუნდაც ვიტალი რახიმოვი და ჰასან ალიევი“, - განუცხადა მან აზერბაიჯანულ მედიას. შეგახსენებთ, რომ **ვიტალი რახიმოვი** პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონია, ოღონდ 60 კილოგრამ წონით კატეგორიაში, მაგრამ წლეულს 66-ში გადმოინაცვლა და შაბათს ახალ წონაში აზერბაიჯანის ჩემპიონიც გახდა. **ჰასან ალიევი** ევროპის მოქმედი ჩემპიონია, ოღონდ - ესეც 60-ში, ქვეყნის პირველობაზე კი იმანაც 66-ში იასპარეზა და მესამეზე გავიდა. ეს ალიევი თბილისელ მაყურებელსაც კარგად ახსოვს - შარშან ჩვენთან ჩატარებულ ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე გაიმარჯვა. შარშან მან ახალგაზრდულში დუბლი შეასრულა - მსოფლიოს პირველობაზეც გაიმარჯვა, თუმცა ტიტულებმა ტატიშვილის რისხვისგან მაინც ვერ იხსნა და ერთხელ ვარჯიშზე სულ რაღაც ხუთი წუთის დაგვიანებისთვის დარბაზიდან გააგდო. ეტყობა, რახიმოვმაც და ჰასან ალიევმაც საბოლოოდ შეიცვალეს წონა.

აზერბაიჯანის პირველობა ამ უქმეებზე ჩატარდა და იქაურმა მედიამ მთავარ სენსაციად 84 კილოგრამი წონითი კატეგორიის ფინალში ევროპის შარშანდელ მესამე პრიზიორ **შალვა გადაბაძის** მარცხი მიიჩნია ირანიდან გადაბირებულ **ჰასან სამან ტახმასებისთან.** აქამდე თუ აზერბაიჯანელები ძირითადად რუსებს ართმევდნენ მოჭიდავეებს, ახლა ირანსაც მიადგნენ. ძნელი სათქმელია, ასეთი ტენდენცია რას მოუტანს საკუთრივ აზერბაიჯანულ ან მსოფლიოს ჭიდაობას, მაგრამ ძალზე არასასურველი პრეცედენტი კი გვგონია. აქამდე თუ აზერბაიჯანელები პერსპექტიულ, მაგრამ შედარებით უცნობ მოჭიდავეებს ეტანებოდნენ, ახლა საკმაოდ ცნობილს მიადგნენ - ეროვნებით ქურთი ტახმასები მსოფლიოს 2007 წლის ბრინჯაოს პრიზიორია. იმედია, მისი გადაბირება ირანული ფედერაციის თანხმობით მოხდა, თუმცა აზერბაიჯანელთაგან უკვე არაფერი გაგვიკვირდება და თუ ასე არაა, მაშინ ახალი „მაგომედოვის საქმე“ გარანტირებულია.

აზერბაიჯანის ამ პირველობამაც გვარიანი სენსაციებით ჩაიარა, ისე, როგორც „თავისუფლების“ პირველობამ. კერძოდ, დამარცხდა და უმედლოდ დარჩა ევროპის კიდევ ერთი მოქმედი ჩემპიონი **ელჩინ ალიევი** (55), რომელმაც ამჯერად 60-ში იჭიდავა. მის კვალს მიჰყვა, ანუ 55-დან 60-ში გადაინაცვლა პეკინის ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონმა **როვშან ბაირამოვმა**. ოღონდ, ალიევისგან განსხვავებით, დედით ქართველმა ბაირამოვმა ბრინჯაო მოიპოვა. ამ წონაში ჩემპიონი ქვეყნის პრეზიდენტის კიდევ ერთი მოგვარე - **ფუად ალიევი** გახდა, 55-ში კი **ორხან ახმედოვმა** გაიმარჯვა - შარშანდელი თბილისური ახალგაზრდული ევროპირველობის გამარჯვებულმა. 74-ში ევროპის წლევანდელმა ვიცე-ჩემპიონმა **ელვინ მურსალიევმა** იმარჯვა. 96-ში ოქრო არავის დაანება კონტინენტის წლევანდელი პირველობის კიდევ ერთმა მონაწილემ, ოღონდ ხელმოცარულმა **საბუჰი ჰუმბატოვმა**, რომელსაც ჩვენმა **სოსო ჯაბიძემ** გამოუყვანა წირვა, შარშან კი თბილისში ახალგაზრდების ევროპის პირველობაზე ბრინჯაო მოიპოვა. მძიმე წონაში **მუსლიმ მუსლიმოვმა** იპირველა, ბერძენ-რომაელთაგან ჩემპიონატის საუკეთესო მოჭიდავედ ახმედოვი დაასახელეს, „თავისუფალთაგან“ - აშრაფ ალიევი (74).

**ირაკლი თავაძე**

IRB-ს ერთა თასი



საქართველო-ნამიბია

# მარცხი, რომელმაც ერთი კითხვა გააჩინა

## მიზეზი ბევრია

**საქართველო-ნამიბია 16:21**

საქართველო (15-9) ურჯუკაშვილი (ყიასაშვილი 64), თოდუა, ზიბზიბაძე (ნინიძე 29), გიგაური, ჩხიკვაძე, კვირიკაშვილი (ხმალაძე 71), სამხარაძე (1-8) ასეიშვილი (ნატრიაშვილი 53), დადუნაშვილი, შეყლაშვილი (კაკოვინი 53), სუთიაშვილი, უჩავა (მიქაუტაძე 61), მაისურაძე (ბრაგვაძე 59), თავართქილაძე, კოლელიშვილი (შეყლაშვილი 77)

*ლ: კოლელიშვილი. 3ს, გ: ურჯუკაშვილი*

ნამიბია (15-9) ბოთა, ვინკლერი, ზილი, ჰარპი, ჰ.ბოკი (ვოლტერსი 65), ჯ.ბოკი (ფანვეიკი 65), იანჩისი (დეკოი 75) (1-8) რედელიგჰაუზი, შ.ესტერჰოიზენი (ოკალაჰენი 62), ვისერი (დუიტოი 42), კოლი, ნ. ესტერჰოიზენი (კაზომბიაზე 62), ბურხერი, ნიუვენჰოიზი, ფან ლილი (დუპლესი 40)

*2ლ: ნიუვენჰოიზი, ბოთა. 3ს: ბოთა. გ: იანჩისი*

მსაჯი: ჯეიმზ ჯოუნზი (უელსი)

საქართველოს ნაკრებმა ნამიბიასთან წააგო - 16:21. არადა, ნამიბიის ნაკრები სულაც არ არის ის გუნდი, რომელთანაც საქართველოს თუნდაც ამ ფორმაციის ნაკრები უნდა აგებდეს. მაშინ რატომ წავაგეთ?

წავაგეთ იმიტომ, რომ „ბორჯღალოსნებს“ მთელი მატჩის განმავლობაში ერთი შეტევის გარდა, რომელსაც ლელო მოჰყვა, სახეირო არაფერი გაუკეთებიათ.

წავაგეთ იმიტომ, რომ მთელი მატჩის განმავლობაში სამი ფაზა არ გადაგვიბამს.

წავაგეთ იმიტომ, რომ სუფთად ვერც ერთი დერეფანი ვერ მოვიგეთ და რამდენიმე ჩვენიც წავაგეთ.

წავაგეთ იმიტომ, რომ გამუდმებით ფეხით ვურტყამდით და ხშირად უხეიროდ.

წავაგეთ იმიტომ, რომ მატჩის არბიტრმა (რომელიც რატომღაც თამაშის წინ შეცვალეს) სამი „ბორჯღალოსანი“ ყველაზე მნიშვნელოვან მომენტში, როცა თამაშის დასრულებამდე ათი-თორმეტი წუთი რჩებოდა, სინბინში გაუშვა.

წავაგეთ იმიტომ, რომ ნაკრების კაპიტანი და ყველაზე გამოცდილი მოთამაშე თედო ზიბზიბაძე ისე დაშავდა, რომ თამაშის გაგრძელება ველარ შეძლო.

რატომ წავაგეთ? კითხვა ერთია, მიზეზი ბევრი, რომლებსაც კარგად გაანალიზება და სათანადო დასკვნების გაკეთება სჭირდება.

ახლა ძნელი სათქმელია, წავაგებდით თუ არა, თედო რომ არ დამტვრეულიყო, მაგრამ ფაქტია, გუნდი სწორედ ამის შემდეგ აირია და პირველ ტაიმში მოპოვებული 13-ქულიანი უპირატესობა მეორე ტაიმის საწყის 15 წუთში გაანიავა.

არადა, ყველაფერი თითქოს კარგად დაიწყო. ნამიბიელებმა დასწყისშივე, მე-4 წუთზე ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ვერ გაიტანეს. ჩვენი მორაგბეების მომდევნო შეტევა კი სამ წუთში შედეგიანი გამოდგა. ნამიბიელები რაკში თამაშისას დაჯარიმდნენ და ფულბეკმა **მალხაზ ურჯუკაშვილმა** ანგარიში გახსნა - 3:0. მანვე მე-16 წუთზე საჯარიმოდანვე 50 მეტრიდან კარის ძელებს შორის ზუსტად გაატარა ბურთი - 6:0.

ნამიბიელები ოდნავ დაბნეულები გამოიყურებოდნენ. მათი პირველხაზელები დანიშნულ შერკინებაში არასწორად ჩადიოდნენ და ერთ-ერთ ეპიზოდში უელსელმა არბიტრმა **ჯეიმზ ჯოუნზმა** საჯარიმო ჩვენ სასარგებლოდ დანიშნა.

კვირიკაშვილმა ბურთი აუტში გადაიტანა. მეტოქის ოცდაორმეტრიანი ზონის მისადგომებთან დერეფანში აგდებული ბურთი მესამეხაზელმა **ლაშა თავართქილაძემ** ცხრა ნომერ **ბიძინა სამხარაძეს** ჩამოუგდო. ამან მეტოქის ხაზში დაუცველი სივრცე დროულად შენიშნა და ლელოსკენ შეუტია. რვა ნომერი **ვიქტორ კოლელიშვილი** იქვე მიჰყვა. სამხარაძემ ბურთი დროულად გადააწოდა და „ვიტო“ მეტოქის ჩათვლის მოედანში შეიჭრა. ურჯუკაშვილმა გარდასახა - 13:0. პირველი ტაიმი ასე დამთავრდა.

ძნელად წარმოიდგენდა ვინმე, მეორე ნახევარში ყოველივე თავდაყირა თუ დადგებოდა. „ბორჯღალოსნებმა“ 13-ქულიანი უპირატესობა 15 წუთში ქარს გაატანეს. ნამიბიელთა ფულბეკმა **კრისანდერ ბოთამ** 44-ე და 46-ე წუთებზე ორი საჯარიმო გაიტანა - 6:13. 55-ე წუთზე კი მეტოქემ ჩვენი ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დერეფნიდან მოლი ააგორა და ლელო გაგვიტანა. ბოთამ ვერ გარდასახა - 11:13.

ათ წუთში ურჯუკაშვილმა საჯარიმოთი ისევ გაზარდა სხვაობა, ამჯერად ხუთ ქულამდე - 16:11, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრებს ქულების მოპოვების არც ერთი შანსი აღარ მისცემია.

სამაგიეროდ, ნამიბიელებმა მშვენივრად გამოიყენეს მატჩის არბიტრის საჩუქარი. უელსელმა ორ-ორ წუთიანი შუალედებით სამი მორაგბე, ვიქტორ კოლელიშვილი, **მამუკა ნინიძე** და **ვასილ კაკოვინი** გაასინბინა .

70-ე წუთზე ბოთამ საჯარიმოდან ანგარიშში სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. ორ წუთში ნამიბიელთა კონტრშეტევა მანვე ლელოთი დაასრულა. გარდასახვა ცხრა ნომერმა **ევგენ იანჩისმა** გაიტანა - 21:16.

ყველაზე ცუდი კი ისაა, რომ ამ მარცხის გამო საქართველოს ნაკრები მსოფლიო რეიტინგში, სავარაუდოდ, მინიმუმ, ორი საფეხურით დაქვეითდება.

**III ტური**

იტალია A-რუმინეთი 22:27, არგენტინა A-შოტლანდია A 33:13

**სატურნირო მდგომარეობა**

1. ნამიბია - 12 ქულა), 2. რუმინეთი - 9, 3. იტალია A - 9 , 4. არგენტინა A- 5, 5. საქართველო - 5, 6. შოტლანდია A- 2.

ივნისის ტესტები

# ამჯერად ორი ორზე

ივნისის ტესტების წინა ტურთან შედარებით ჩრდილოელებმა ამჯერად ბევრად უკეთ იასპარეზეს და სამხრეთელებთან ჭიდილში ოთხი მატჩიდან ორი მოიგეს. 2011 წლის მსოფლიო თასზე საქართველოს ნაკრების მეტოქემ, შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა ზედიზედ მეორედ დაამარცხა არგენტინის ნაკრები - 13:9. ინგლისელთა ძალისხმევამ კი ნაყოფი გამოიღო სიდნეიში, სადაც „პომებმა“ მინიმალური სხვაობით - 21:20 მოუგეს „ვოლაბებს“.

ძნელი სათქმელია, რატომ, მაგრამ ფაქტია - არგენტინის ნაკრებს კრიზისი დაეწყო. ზედიზედ ორჯერ შოტლანდიის ნაკრებთან წაგება მეტისმეტია. მარ დელ პლატაში თამაში წვიმის თანხლებით მიმდინარეობდა, რაც უფრო სტუმრებს უშლიდა ხელს. „სკოტები“ მოედნის საკუთარი ნახევრიდან ცდილობდნენ ხელდახელ მრავალფაზიანი შეტევების წამოწყებას, რაც ხშირ შემთხვევაში გამოსდიოდათ კიდეც.

„პუმები“ შოკში ჩააგდო თამაშის დასაწყისშივე, მეორე წუთზე მეტოქის მეორეხაზელის **ჯეიმზ ჰემილტონის** მიერ გატანილმა ლელომ, რომელიც წინა მატჩის გმირმა, მგეზავმა **დენ პარქსმა** გარდასახა - 7:0.არგენტინელებმა ანგარიში მინიმუმამდე მე-19 წუთისთვის შეამცირეს მგეზავ **ფელიპე კონტეპომის** ორი საჯარიმოთი - 6:7, თუმცა ტაიმის დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე პარქსმა ასევე საჯარიმოთი სხვაობა ოთხ ქულამდე გაზარდა - 10:6.

მეორე ნახევარში არგენტინამ ყველა ღონე იხმარა წარმატების მისაღწევად, მაგრამ მთავარი, რაც ამისთვის ხელს უშლიდა, არასათანადო სათამაშო დისციპლინა იყო. „პუმები“ ხშირად არღვევდნენ თამაშის წესს. საბოლოოდ გუნდებმა მეორე ტაიმში თითო საჯარიმო გაცვალეს და შოტლანდიელებმა სამხრეთ ამერიკა ტრიუმფით მოიარეს - 13:9.

ულრესად საინტერესო და უმაღლესი კლასის რაგბი აჩვენეს ავსტრალიისა და ინგლისის ნაკრებებმა სიდნეიში, ოღონდ მხოლოდ 51 წუთის განმავლობაში. ამ დროისთვის მინიმალური სხვაობით - 21:20 წინ ინგლისელები იყვნენ და მატჩის ბოლომდე აღარაფერი შეცვლილა.

არადა, თამაში ორივე გუნდმა აქტიურად, მაქსიმალურად მობილიზებულმა და მოტივირებულმა დაიწყო. საწყის 15 წუთში „ვოლაბების“ შუამარბმა **მეთ გიტომ** ორი საჯარიმო გაიტანა, რაზეც „პომების“ მგეზავმა **ტობი ფლუდმა** ერთით უპასუხა - 3:6. მე-17 წუთზე კი ინგლისელთა ცხრა ნომერმა **ბენ იუნგზმა** გაიბრწყინა. მეტოქის ოცდაორმეტრიან ზონასთან მოგებული დერეფნიდან ბურთი იუნგზს მიაწოდეს. მან ცრუ მოძრაობით ავსტრალიელთა მთელი უკანა ხაზი უსაქმოდ დატოვა და ლელომდე ისე ირბინა, წინააღმდეგობა არ შეხვედრია. ფლუდმა გარდასახა - 10:6.

ინგლისელებს ვალში არც მასპინძლები დარჩნენ. ოთხ წუთში გიტომ არანაკლებ ლამაზი ლელო მიითვალა, გარდასახვაც თვითონ გაიტანა და თავისიანები ისევ დააწინაურა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ვოლაბებს“ ოცივე ქულა სწორედ გიტომ მოუტანა. მან თავისი მეორე ლელო მეორე ტაიმის დასაწყისში, 42-ე წუთზე გაიტანა, როცა ინგლისელთა გარემარბ **კრის ეშტონის** ლელოს შემდეგ „ვოლაბები“ 15:13-ს აგებდნენ. გიტომ ეს ლელოც გარდასახა და მასპინძლები 20:15 დაწინაურდნენ.

ინგლისელებმა ამას ორი საჯარიმოთი უპასუხეს. 44-ე წუთზე ჯერ ფლუდმა შეამცირა ანგარიშში სხვაობა, ხოლო შვიდ წუთში შეცვლაზე შესულმა **ჯონი ვილკინსონმა** „პომები“ საბოლოოდ დააწინაურა - 21:20. ინგლისის ნაკრებმა შვიდი წლის შემდეგ სტუმრად ავსტრალიაში პირველი გამარჯვება მოიპოვა. შეგახსენებთ, რომ „პომებმა“ „ვოლაბებს“ 2003 წლის მსოფლიო თასის ფინალში მოუგეს.

უელსის ნაკრებმა დანიდინში ახალი ზელანდიის ნაკრების შეტევებს მხოლოდ ერთი ტაიმი გაუძლო. პირველ ნახევარში „ოლ ბლექსმა“ სტუმრებს ორი ლელო გაუტანა, თუმცა მხოლოდ 6 ქულით დაწინაურდა - 15:9. უელსელები, როგორც სჩვევიათ, თავდადებით იბრძოდნენ და რაკში თამაშისას მეტოქეს ჯაბნიდნენ კიდეც.

მეორე ნახევარში ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ორ ლელოს ახალზელანდიელებმა კიდეც სამი მიუმატეს და უელსის ნაკრებს დიდი ანგარიშით - 42:9 მოუგეს.

სამხრეთაფრიკელებს იტალიელებთან დიდი ბრძოლა არ გადახდენიათ. „სკუადრა აძურას“ მთავარ მწვრთნელს, სამხრეთაფრიკელ **ნიკ მალეტს** ტყუილად ჰქონდა საკუთარი პირველი ხაზის იმედი. ერთადერთი გამორჩეული ფიგურა იტალიელთა შორის ახლახან ტრავმამოშუშებული რვა ნომერი **სერჯო პარისე** იყო.

მნიშვნელოვნად გადახალისებული „ბოკე“ კი, ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, მეტოქეს რა ანგარიშითაც მოინდომებდა, იმ ანგარიშით მოუგებდა. საბოლოოდ სამხრეთაფრიკელებმა იტალიის ნაკრებს ოთხი ლელო გაუტანეს და მორიგი მშვიდი გამარჯვება იზეიმეს - 29:13.

**ავსტრალია-ინგლისი 20:21**

ავსტრალია (15-9) ოკონორი, იოანი (ეშლი-კუპერი 63), ჰორნი, გიტო, მიტჩელი, კუპერი, გენია (1-8) დეილი, ფაინგაა (ედმონდსი 72), მააფუ (სლიპერი 52), მამი (ჩისჰოლმი 53), შარფი, ელსომი, პოქოქი, ბრაუნი

*2ლ,2გ,2ს: გიტო*

ინგლისი (15-9) ფოდენი, კეიტო, თინდოლი (დ.ერმითიჯი 68), ჰეპი, ეშტონი, ფლუდი (ვილკინსონი 50), იუნგზი (კერი 65) (1-8) პაინი (ვილსონი 71), თომპსონი (ჩატერი 70), კოლი, ლავი (შოუ 57), პალმერი, კროფტი, მუდი, ისთერი

*2ლ: იუნგზი, ეშტონი. 3ს: ფუდი (2), ვილკინსონი. გ: ფლუდი*

მსაჯი: რომენ პუატიე (საფრანგეთი)

**ახალი ზელანდია-უელსი 42:9**

ახალი ზელანდია (15-9) დაგი (კაჰუი 40), ჯეინი, სმითი, სტენლი, როკოთოკო, კარტერი (კრადენი 73), ქოუანი (ვიპუ 59) (1-8) ბ.ფრენქსი (ვუდქოქი 45), მეალამუ (დე მალმანჩი 75), ო.ფრენქსი, თორნი, ბორიჩი (ვაითლოქი 57), ვიტო, მაკქოუ, რიდი (თომსონი 70)

*5ლ: კარტერი (2), მეალამუ, ჯეინი, კაჰუი. 4გ,3ს: კარტერი*

უელსი (15-9) ბირნი, ჰალპფენი, ბიშოპი (ნოილი 74), რობერტსი (დევისი 70), პრიდლი, ს. ჯოუნზი (ბიგარი 57), ფილიპსი (1-8) ჯეიმზი, რისი (ბენეტი 69), ჯოუნსი, დევისი, ა.ჯოუნზი (იაპი 57), თომასი (მაკკუსკერი 58), თომასი, რ.ჯოუნზი

*2ს: ს.ჯოუნზი, ჰალპფენი. ა: ს.ჯოუნზი*

მსაჯი: ჯორჯ კლანსი (ირლანდია)

**სამხრეთ აფრიკა-იტალია 29:13**

სამხრეთ აფრიკა (15-9) კირშნერი (ბესონი 74), ეპლონი, დე ფილიერსი, ჯეიმზი, ჰაბანა, სტეინი (დე იონგი 64), იანუარი (პინარი 64) (1-8) სტენკამპი, რელეპელე (მაკუ 79), დუ პლესი (ფან დერ ლინდე 51), ბოთა (ჰარგრეივსი 49), მეტფილდი, ლავი, პოტხიტერი (კანკოვსკი 74), სპისი

*4ლ: სტეინი, ლავი, ჰაბანა, კირშნერი. 3გ,ს: სტეინი*

იტალია (15-9) მაკლინი, რობერტსონი, მასი (კანალე 58), პრატიკეტი, ბერგამასკო, გოვერი, ტებალდი (1-8) პერუჯინი, ჯილარდინი (ონგარო 57), კასტროჯოვანი (ჩიტადინი 18), ბერნაბო (ბორტოლამი 50), გელდენჰაუზი, ფავარო (დერბიშირი 64), ძანი, პარისე

*ლ: პარისე. 2ს,გ: ბერგამასკო*

მსაჯი: ენდრიუ სმოლი (ინგლსი)

**არგენტინა-შოტლანდია 9:13**

არგენტინა (15-9) როდრიგესი, გონსალესი, ტესი, ფერნანდესი, აგულა, კონტეპომი (კარბალო 63), ფიგუეროლა (1-8) რონკერო, ლედესმა (კრევი 66), სკელსო (აიერსა 69), კარისა, ალბასეტე, ფესია, ლეგუსამონი (გუსმანი 46), ფერნანდეს ლობე

*3ს: კონტეპომი (2), როდრიგესი*

შოტლანდია: (15-9) საუთვილი, ლამონტი, ევანსი (დე ლუკა 69), მორისონი, დენიელი, პარქსი, რ.ლაუსონი (ბლერი 68) (1-8) ჯაკობსენი (დიკინსონი 60), ფორდი (ს.ლაუსონი 66), ლოუ, ჰემილტონი, კელოკი (მაკლოიდი 68), ბრაუნი, ბარკლი, ბითი (სტროკოში 58)

*ლ: ჰემილტონი. 2ს,გ: პარქსი*

მსაჯი: კრისტოფ ფერდოსი (საფრანგეთი)

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძე**



გამარჯვებული ინგლისის ნაკრები

www.sport.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

უიმბლდონის წინ

# რეპეტიცია დასრულდა

გასულ კვირას ევროპის ორ ქალაქში - ისტბურნსა და ჰერტოგენბოშში ოთხი საჩოგბურთო ტურნირი გაიმართა და ჩოგბურთელებმა უიმბლდონისთვის მზადება დაასრულეს.

შემადგენლობის მიხედვით ყველაზე პრესტიჟული იყო ქალების დაპირისპირება ისტბურნში და აქ უდიდესი სენსაცია დაფიქსირდა. მსოფლიოს მე-100 ჩოგანმა, რუსმა **ეკატერინა მაკაროვამ** ძირითად ბადეში კვალიფიკაციის გავლით გააღწია და ისტბურნში გამოსვლა კარიერაში პირველი ტიტულის მოპოვებით დაასრულა. ფინალამდე მან ძლიერი მეტოქეები ჩამოიშორა გზიდან - **ფლავია პენეტა, ნადეჟდა პეტროვა, სვეტლანა კუზნეცოვა** და **სამანტა სტოსური**. თანაც არც ერთი მათგანისთვის სეტი არ დაუთმია.

ფინალში მაკაროვას მეტოქეს - ბელარუს **ვიქტორია აზარენკასაც** ერთგვარი პროგრესი ჰქონდა, რადგან ამ ჩოგბურთელს თებერვალში დუბაის ტურნირის ფინალში გასვლის შემდეგ ნორმალური შედეგი არ უჩვენებია, რაც ძირითადად ტრავმებით იყო განპირობებული.

მუხლის ტრავმა აზარენკას ფინალშიც აწუხებდა და ამ მიზეზით პირველივე გეიმში წააგო საკუთარი მოწოდება. მიუხედავად ამისა, ბელარუსმა საპასუხო ბრეიკისთვის ძალა გამონახა, თანაც მაშინ, როცა მაკაროვა სეტზე აწვდიდა. საბოლოოდ საქმე ტაი-ბრეიკამდე მივიდა, სადაც ოდნავ უფრო უკეთ რუსი გამოიყურებოდა. მან სამმაგი სეტ-პოინტი მოიპოვა და მესამე ცდიდან სეტებში ანგარიში გახსნა - 7:6 (7:5).

მეორე სეტში აზარენკა კიდევ უფრო მეტად უჩიოდა მტკივან მუხლს და ცრემლებს ვერ იკავებდა, თუმცა თამაში არ შეუწყვეტია. სეტის შუაში, როცა მაკაროვა ბრეიკით გავიდა წინ, ბელარუსმა სირბილი შეწყვიტა, თუმცა ბრეიკის რამდენიმე ბრწყინვალე შანსი მაინც მიიღო. მაკაროვამ გაძლო და კარიერაში პირველი ტიტული მოიპოვა - 6:4.

სხვათა შორის, წელს WTA-ის ტურში პირველად მოიგო ტურნირი ჩოგბურთელმა, რომელიც ძირითად ბადეში კვალიფიკაციიდან მოხვდა. ცალკე უნდა აღინიშნოს ის, რომ მაკაროვამ ხუთი მატჩი რეიტინგის საუკეთესო ოცეულის წევრებს სეტის წაუგებლად მოუგო. უიმბლდონზე მაკაროვა პირველ წრეში უნგრელ **აგნეს შავაის** შეხვდება, მეორე წრეში კი მისი სავარაუდო მეტოქე **ვენუს უილიამსი** იქნება. ასე რომ, ამერიკელს წილისყრის მხრივ დიდად არ გაუმართლა.

იგივე შეიძლება ითქვას ვენუსის უმცროს და **სერენაზე**. მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა, შესაძლოა, მეორე წრეში გერმანელ **ანდრეა პეტკოვიჩთან** ითამაშოს, რომელმაც ჰერტოგენბოშის ფინალში დიდი თავსატეხი გაუჩინა **ჟუსტინ ანენს**, არადა, სახელოვანმა ბელგიელმა ფინალამდე გზა უპრობლემოდ გაიარა.

ანენმა პირველ სეტში საკუთარი მოწოდების წაგების შემდეგ, დაკარგული ვერ აინაზღაურა და პარტია დათმო. უფრო მეტიც, მეორე სეტიც გერმანელმა ბრეიკით დაიწყო, რის შემდეგაც ჟუსტინმა სერიოზულად მოუმატა და არა მხოლოდ გაათანაბრა ანგარიში, არამედ წინაც გავიდა. მაგრამ ამ წარმატების შემდეგ ბელგიელს ისევ ჩავარდნა დაეწყო. ის გადამწყვეტ სეტში 0:3 ჩამორჩა. თუმცა უმნიშვნელოვანეს მომენტში ანდრეამ ზეწოლას ვერ გაუძლო და უპირატესობა გაანიავა - 6:3, 3:6, 4:6. ბელგიელმა კარიერაში 43-ე ტიტული მოიპოვა, აქედან მეორე - ტურში დაბრუნების შემდეგ.

■ ■ ■

მამაკაცებს შორის ჰერტოგენბოშის ფინალში უკრაინელი **სერგეი სტახოვსკი** და სერბი **იანკო ტიპსარევიჩი** ხვდებოდნენ ერთმანეთს. თუ ამ ორი ჩოგბურთელის კარიერას გადავხედავთ, იანკოს უფრო ბევრი ეფექტური გამარჯვება აქვს, ვიდრე მის მეტოქეს. სერბი კარგი ხანს რეიტინგის საუკეთესო 50 ჩოგბურთელს შორის შედიოდა, მაგრამ ტიპსარევიჩს პროფესიულ ტურში არც ერთი ტიტული არ მოუგია, სტახოვსკის კი ამ ფინალამდე ორი ტურნირი ჰქონდა მოგებული. შაბათს ბრძოლა საერთოდ არ ყოფილა. უკრაინელმა ყველა კომპონენტში აჯობა მეტოქეს. თუ პირველი სეტი სტახოვსკიმ ერთი ბრეიკით მოიგო, მეორეში ტიპსარევიჩმა საკუთარი გეიმის წაგების შემდეგ საერთოდ შეწყვიტა წინააღმდეგობა - 3:6, 0:6.

გასული კვირის კიდევ ერთი ტრიუმფატორი გახდა ფრანგი **მიკაელ ლოდრა**, რომელმაც ბალახის სეზონზე მწვრთნელად თანამემამულე **ამელი მორესმო** მიიწვია. თანამშრომლობა იმდენად ნაყოფიერი აღმოჩნდა, რომ ლოდრამ კარიერაში მეხუთე, ბალახზე კი მეორე ტიტული მიითვალა. ისტბურნშიც ყველაფერი ორ სეტში გაირკვა - ფრანგმა 7:5, 6:2 დაამარცხა ესპანელი **გილერმო გარსია ლოპესი**.

■ ■ ■

უიმბლდონს კი პრაქტიკულად ყოველდღე აკლდება პროფესიული ტურის წამყვანი მოთამაშეები. ქალების ტურნირში ვერ ითამაშებს მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **დინარა საფინა**. რუსმა ჩოგბურთელმა ბოლო მომენტში გამოიტანა განაცხადი ტურნირიდან, მიზეზი კი ისაა, რაც საფინას უკვე დიდი ხანია აღარ აძლევს უმაღლეს დონეზე თამაშის საშუალებას - ზურგის ტრავმა.

რეიტინგის 21-ე ჩოგანის ტრავმის შემდეგ ძირითად ბადეში ადგილი კანადელმა **სტეფანი დუბუამ** დაიკავა.

კაცების ბადეს გამოაკლდა ლატვიელი **ერნესტ გულბისი**. ბალტიისპირელი ჩოგბურთელის უარის მიზეზი გახდა ბარძაყის ტრავმა, რომელიც მან როლან გაროსის დროს მიიღო.

ექიმებთან კონსულტაციის შემდეგ გულბისი ტრავმის გამიზეზების შიშით რისკს მოერიდა და უიმბლდონიდან მოიხსნა. მისი ადგილი ძირითად ბადეში ამერიკელ **ჯესი ლევინს** მიაკუთვნეს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## უიმბლდონი. ქალების ბადე



კალათბურთი

# აივერსონი ბრუნდება



„ფილადელფიასიქსერზის“ გამთამაშებელი **ალენ აივერსონი** მომავალ სეზონში NBA-ში დაბრუნებას აპირებს. ლეგენდარული კალათბურთელის პირადი მენეჯერი **გარი მური** ამბობს, რომ მისი კლიენტი ფიზიკურ ფორმას ინარჩუნებს და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, მინიმუმ ერთი წლით გააგრძელოს კარიერა. შეგახსენებთ, რომ აივერსონმა მარტში ოჯახური პრობლემების (პატარა ქალიშვილის ავადმყოფობა) გამო დატოვა „ფილადელფია“. მურის თქმით, გოგონა ახლა თავს კარგად გრძნობს.

აივერსონი ამჟამად დოკუმენტური ფილმის გადაღებებზეა დაკავებული, რომელსაც „წინააღმდეგობრივი ალენ აივერსონი“ ჰქვია.

■ ■ ■

სეზონებს შორის არდადეგებისას, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეიცვალოს „ბოსტონ სელტიქსის“ შემადგენლობა. კერძოდ, თავისუფალი აგენტის სტატუსს მიიღებს ორი მცველი - **რეი ალენი** და **ნეიტ რობინსონი**, რომლებთანაც კლუბი აღარ აპირებს თანამშრომლობის გახანგრძლივებას.

გარდა ამისა, დიდია ალბათობა, რომ 35 წლის ცენტრმა **რაშიდ უოლასმა** კარიერა დაასრულოს. ამის შესახებ თავად გუნდის მწვრთნელმა **დოკ რივერსმა** განაცხადა.

*„არ შემიძლია იმის თქვა, ითამაშებს თუ არა უოლასი NBA-ში. რაშიდი სამუდამოდ წასვლაზე ფიქრობს. ფინალურ სერიაში მან ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო. ტრავმირებული ზურგის მიუხედავად, მთელი ძალით ცდილობდა ჩვენთვის ტიტულის მოპოვებას“*, - ამბობს რივერსი.

■ ■ ■

ფინალური სერიის დასრულების შემდეგ, ლოს ანჯელესში დიდი არეულობა იყო. „ლეიკერსის“ გაჩემპიონების შემდეგ ქალაქის ქუჩებში უამრავი გულშემატკივარი გამოვიდა და პოლიციას მათ შორის ყველაზე აქტიური 40 ფანის დაპატიმრება მოუხდა.

როგორც სააგენტო AP წერს, პოლიციამ გულშემატკივართა უმრავლესობა საზოგადოებრივ ადგილებზე სიმთვრალისთვის დააკავა, რამდენიმე კაცი ქუჩებში ვანდალიზმისთვის მოხვდა პოლიციაში, ორი ფანი კი პოლიციელზე თავდასხმაშია დადანაშაულებული.

„ლეიკერსის“ გამარჯვების აღნიშვნისას გულშემატკივრებმა პოლიციელებს სხვადასხვა საგანი დაუშინეს, დაამტვრიეს და დაწვეს ავტომობილები. ტელეარხი KTLA აღნიშნავს, რომ ადგილობრივმა მეხანძრეებმა სამი საათის განმავლობაში 37 გამოძახება მიიღეს. სამ შემთხვევაში ისინი ალმოდებულ მანქანებს აქრობდნენ.

ამასობაში, ფინალური სერიის მეშვიდე მატჩმა 1997-98 წლების სეზონის შემდეგ სარეკორდო ტელეაუდიტორია დააფიქსირა. „ლეიკერსისა“ და ბოსტონის“ გადამწყვეტი მატჩის რეიტინგმა 18.2 პუნქტი შეადგინა, რაც 32 პროცენტით მაღალია 2005 წლის სერიის მეშვიდე მატჩის რეიტინგზე. მაშინ ერთმანეთს „დეტროიტი“ და „სან ანტონიო“ ხვდებოდნენ.

# ჩემპიონატი ვარსკვლავების გარეშე

გერმანიის ნაკრების ხელმძღვანელობამ „დალას მავერიქსის“ ლიდერი **დირკ ნოვიცკი** იმ 16-კაციან სიაში არ შეიყვანა, რომელიც ივლისში მზადებას დაიწყებს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის. შეგახსენებთ, რომ NBA-ის ვარსკვლავმა ჩემპიონატზე თამაშის სურვილი ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა, რაც ჩემპიონატის ორგანიზატორებმა გერმანიას უაილდქარდი გამოუყვეს. მაგრამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ დალასელისგან ოფიციალური დადასტურება ვერ მიიღო და ამიტომაც დირკი ვერ მოხვდა გაფართოებულ შემადგენლობაში.

ასევე ვერ ვხედავთ გერმანელთა რიგებში NBA-ის კიდევ ერთ მოთამაშეს - „ლოს ანჯელეს კლიპერსის“ ცენტრ **კრის კამანს**.

გერმანია მსოფლიოს ჩემპიონატზე A ჯგუფში ითამაშებს, სადაც მისი მეტოქეები არგენტინა, სერბეთი, ავსტრალია, იორდანია და ანგოლა იქნებიან.

■ ■ ■

პრობლემები აქვს ლიტვის ნაკრებს. ამ ქვეყნის კალათბურთის ფედერაციამ მთავარი სპონსორი დაკარგა, რომელსაც უნდა დაეფარა დაზღვევის თანხები იმ შემთხვევისთვის, თუ რომელიმე კალათბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ტრავმას მიიღებდა.

ასე რომ, თუ ფედერაცია უახლოეს დროში ვერ იშოვის 90 ათას დოლარს წამყვანი მოთამაშეების დასაზღვევად, პლანეტის პირველობამ, შესაძლოა, გუნდის ლიდერების - **ლინას კლეიზას, დარიუშ ლავრინოვიჩისა** და **რენალდას სეიბუტისის** გარეშე ჩაიაროს.

■ ■ ■

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ არგენტინელებს თურქეთში მთავარი ვარსკვლავი **მანუ ჯინობილი** არ ეყოლებათ. სამაგიეროდ, ექიმებმა ჩემპიონატში თამაშის უფლება მისცეს 35 წლის ფორვარდ **ფაბრისიო ობერტოს**. ერთი წლის წინ ათენის ოლიმპიადის ჩემპიონმა გულის არითმიის კორექციისთვის ოპერაცია გაიკეთა. 2009-10 წლების სეზონში ობერტო „ვაშინგტონში“ საშუალოდ 11 წუთს თამაშობდა.

# ოლიმპიაკოსმა იანაკისი გაუშვა

დიდი ცვლილებებია ბერძნული გრანდის - „ოლიმპიაკოსის“ შემადგენლობაში. კლუბის ხელმძღვანელობა გამოეთხოვა მთავარ მწვრთნელ **პანაიოტის იამანაკისს**. ეს სპეციალისტი გუნდში 2008 წლის თებერვალში მივიდა და ამ სეზონში „ოლიმპიაკოსი“ ევროლიგის ფინალში გაიყვანა, აგრეთვე ბოლო რვა წლის განმავლობაში პირველი ტიტული მოაპოვებინა - საბერძნეთის თასი. იანაკისი ერთადერთი ადამიანია, რომელსაც ევროპის ჩემპიონატი როგორც მოთამაშის (1987), ასევე მწვრთნელის რანგში (2004) აქვს მოგებული.

გარდა ამისა, „ოლიმპიაკოსმა“ არ გააგრძელა კონტრაქტი მცველ **იოთამ ჰალპერინთან**. ადრე ისრაელის პრესა ამ კალათბურთელს თელ-ავივის „მაკაბიში“ დაბრუნებას უწინასწარმეტყველებდა, თუმცა ამის შანსი მინიმალურია, რადგან ჰალპერინს ისრაელში მაღალი გადასახადები აშინებს.

გარდა ამისა, „ოლიმპიაკოსი“ ამერიკელი მცველის **ჯოშ ჩილდრესის** სხვა კლუბში გაშვების შესაძლებლობას განიხილავს. NBA-ის ყოფილ მოთამაშეს კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებს, მაგრამ ხელშეკრულებაში არსებობს პუნქტი, რომელიც კონტრაქტის ერთი წლით ადრე გაწყვეტის შესაძლებლობას იძლევა. თუ ჩილდრესი „ოლიმპიაკოსში“ დარჩენას გადაწყვეტს, კლუბმა მას 7 მილიონი უნდა გადაუხადოს, რისი გაკეთებაც საბერძნეთში არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზისის გამო არ სურს.

„ოლიმპიაკოსი“ უკვე ეძებს იანაკისის შემცვლელს. მთავარი პრეტენდენტი „პარტიზანის“ მწვრთნელი **დუშკო ვუიშევიჩია**. ჩერნოგორიელი 2001 წლიდან უდგას სათავეში ბელგრადულ კლუბს. კლუბმა მისი ხელმძღვანელობით ზედიზედ ცხრაჯერ მოიგო ქვეყნის ჩემპიონატი, წელს კი ევროლიგაზე „ოთხთა ფინალს“ მიაღწია, სადაც ნახევარფინალში ოვერტაიმში დამარცხდა „ოლიმპაიკოსთან“.



მწვრთნელის გარდა, ბერძნული გრანდი „პარტიზანიდან“ ევროლიგის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის - **ალექს მარიჩის** გადაყვანას აპირებს. ავსტრალიელი ცენტრი მოედანზე 25 წუთს ატარებდა და საშუალოდ 14.6 ქულასა და 8.4 მოხსნას აგროვებდა.

ბერძნებისთვის ცენტრის პოზიცია აქტუალურია, რადგან ნიკოლა ვუიჩიჩი გუნდიდან წავიდა, ხოლო **სოფოკლის შორცანიდისის** მომავალი გაურკვეველია. „შავმა შაკმა“, შესაძლოა, „ლოს ანჯელეს კლიპერსში“ გააგრძელოს კარიერა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| ესტონეთი-ლატვია | 0:0 |
| ლიტვა-ესტონეთი | 2:0 |

**ესპანეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კარტახენა-ალბასეტე | 0:4 |
| ვალეკანო-რეკრეატივო | 4:0 |
| რეალ უნიონი-ერკულესი | 0:2 |
| კასტელონი-კორდობა | 0:1 |
| ბეტისი-ლევანტე | 4:0 |
| ვილიარეალი B-სალამანკა | 1:2 |
| კადისი-ნუმანსია | 4:2 |
| სელტა-უესკა | 0:1 |
| ელჩე-სოსიედადი | 4:1 |
| ლას პალმასი-ხიმნასტიკი | 1:0 |
| ხირონა-მურსია | 1:1 |

**დანია — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ფრემი-ჰორსენსი | 2:1 |
| როსკილდე-სკივე | 1:3 |
| აკადემისკი-ჰვიდოვრე | 0:1 |
| ფრედერისია-ბრაბრანდი | 2:1 |
| ფინი-ვიბორგი | 1:1 |
| ლუნგბიუ-ვეილე | 1:0 |
| ნაესტვედი-კოლდინგი | 0:0 |
| ტისტედი-ვესტსიელანდი | 0:1 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ოულუ-ტურკუ | 0:2 |
| იუვასკილა-მარიეჰამნი | 0:2 |
| ჰონკა-ტამპერე | 0:2 |
| ინტერი-ჰიკ | 0:0 |
| მიუპა-იარო | 0:1 |

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| კემი-პოპა | 0:0 |
| ჰამეენლინა-კპვ | 1:1 |
| მიკელი-კოტეპე | 1:2 |
| ოპს-როვანიემი | 1:1 |
| პკ35-იიპო | 1:0 |

**შვედეთი — II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლიუნგსკილე-იონჩოპინგი | 2:0 |
| დეგერფორსი-ვასბი | 2:1 |
| ფალკენბერგი-ნორჩოპინგი | 2:3 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ანგელჰოლმი-ტროლჰატანი | 4:2 |
| ოსტერსი-სუნდსვალი | 0:2 |
| სირიანსკა-ჰამარბიუ | 0:2 |

**ისლანდია**

| | |
|---|---|
| ფილკირი-ბრეიდაბლიკი | 2:4 |
| რეიკიავიკი-ვესტმანაიეარი | 1:0 |
| სტიარნანი-ვალური | 1:1 |

**ბელარუსი**

| | |
|---|---|
| ვიტებსკი-შახტიორი | 1:3 |
| პარტიზანი-დნეპრი | 1:0 |
| ნაფტანი-დინამო (მნ) | 0:2 |
| ნემანი-ბატე | 0:5 |
| მინსკი-დინამო (ბრ) | 1:1 |
| ბელშინა-ტორპედო | 2:0 |

**ლატვია**

| | |
|---|---|
| იაუნიბა-ტრანზიტსი | 1:0 |
| დაუგავა-ოლიმპსი | 2:0 |

**ეკვადორი**

| | |
|---|---|
| ლდუ კიტო-ოლმედო | 5:0 |
| დეპ. კუენსა-მაკარა | 0:1 |
| უნ. კატოლიკა-ელ ნასიონალი | 1:1 |
| ესპოლი-დეპ. კიტო | 0:3 |

**პერუ**

| | |
|---|---|
| ტოტალ ჩალაკო-ლეონი | 1:0 |
| ინტი გასი-სპორტ ბოილი | 2:1 |
| ალ. ლიმა-სპორტი | 4:0 |
| ხოსე გალვესი-უნ. პერუ | 0:3 |
| ხუან აურიჩი-სან მარტინი | 1:1 |
| სპ. კრისტალი-ალ. ატლეტიკო | 2:1 |
| სენსიანო-სესარ ვალეხო | 2:0 |

## კალათბურთი

**იტალია**

| | |
|---|---|
| მილანი-მონტეპასკი | 69:93 |

## ჩოგბურთი

**ATP. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| ლოდრა-გარსია ლოპესი | 7:5, 6:2 |

**ATP. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ტიპსარევიჩი-სტახოვსკი | 3:6, 0:6 |

**WTA. ისტბურნი**

| | |
|---|---|
| აზარენკა-მაკაროვა | 6:7, 4:6 |

**WTA. ჰერტოგენბოში**

| | |
|---|---|
| ანენი-პეტკოვიჩი | 3:6, 6:3, 6:4 |

TV პროგრამა

**21 ივნისი. ორშაბათი**

**I არხი**

15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
15:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. G ჯგუფი. პორტუგალია-ჩრ. კორეა (LIVE).
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
17:50 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. ჩილე-შვეიცარია (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.
22:20 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. H ჯგუფი. ესპანეთი-ჰონდურასი (LIVE).
00:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010.

**მზე**

13:00 იმედის ფსონი.

**რუსთავი 2**

00:00 საფეხბურთო ღამე.

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

07:30 გასული სეზონის ქრონიკა. გერმანიის ჩემპიონატი. ვერდერი-შალკე.
09:15 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
10:05 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. მილანი-რეალი.
12:00 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
12:45 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. მილანი-კალიარი.
14:35 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
15:20 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. რუბინი-ბარსელონა.
17:20 მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. ქალები. რუსეთი-შვეიცარია.
19:10 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. რომა-ლაციო.
21:00 გასული სეზონის ქრონიკა. ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-ჩელსი.
22:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ვალენსია.
00:30 საფეხბურთო კლუბი მსოფლიოს ჩემპიონატზე.
01:15 გასული სეზონის ქრონიკა. ჩემპიონთა ლიგა. ლიონი-ლივერპული.
03:05 გასული სეზონის ქრონიკა. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-რომა.
04:45 საფეხბურთო ტოქშოუ - 2:1.
05:45 გასული სეზონის ქრონიკა. ესპანეთის ჩემპიონატი. ბარსელონა-სევილია.

**EUROSPORT**

10:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
11:00 ავტომოტოსპორტი. უიქ ენდის მიმოხილვა.
11:15 ავტოსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. ზოლდერი. ბელგია.
12:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
14:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
15:00 ახალი ამბები.
15:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
16:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. ბერგენი. ნორვეგია.
17:30 ახალი ამბები.
17:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
17:45 ნიჩბოსნობა. მსოფლიოს თასი. მიუნხენი. გერმანია.
19:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ფინალი. ისტბურნი. ბრიტანეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
20:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
21:00 ახალი ამბები.
21:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
21:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. ბერგენი. ნორვეგია.
22:00 ახალი ამბები.
22:05 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
22:15 ზაფხულის ბიატლონი. შვეიცარიის გრან-პრი. ციურიხი.
22:45 მულტისპორტი.
23:00 პრო-რესტლინგი.
00:25 მულტისპორტი.
00:30 ახალი ამბები.
00:35 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.
01:10 ახალი ამბები.
01:15 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. I დღე. ბერგენი. ნორვეგია.
02:00 მძლეოსნობა. ევროპის გუნდური ჩემპიონატი. II დღე. ბერგენი. ნორვეგია.
03:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი 2010. ახალი ამბები.

20 ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

# NBA-ის უმაღლესი დანაკლისი

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი კალათბურთელი, სუდანელი ცენტრი **მანუტე ბოლი** 48 წლის ასაკში გარდაიცვალა.



მაისში ბოლი სამშობლოდან ამერიკაში დაბრუნდა თირკმლის დაავადების სამკურნალოდ, მაგრამ გუშინ ექიმებმა კალათბურთელის გადარჩენა ვერ შეძლეს. სიკვდილის მიზეზად თირკმლის უკმარისობა დასახელდა.

ბოლი რუმინელ **გეორგე მურეშანთან** ერთად NBA-ის ისტორიაში ყველაზე ტანმაღალი კალათბურთელი იყო - მისი სიმაღლე 231 სანტიმეტრს უდრიდა. პლანეტის უძლიერეს ლიგაში ის ათი წელი თამაშობდა - 1985 წლიდან 1994 წლამდე და ოთხი კლუბის - „ვაშინგტონ ბულეტსის", „გოლდენ სტეიტ უორიორზის", „ფილადელფია სიქსერზისა" და „მაიამი ჰიტის" ღირსებას იცავდა.

ბოლი განსაკუთრებული შედეგიანობით არ გამოირჩეოდა. კარიერაში მისი საშუალო მონაგარი 2.6 ქულასა და 4.2 მოხსნას უდრიდა. სუდანელი განსაკუთრებით ძლიერი დაფარებებში იყო და ორჯერ (1985-86, 1988-89) სეზონის ლიდერი გახდა ამ სათამაშო კომპონენტში - საშუალოდ 5.0 და 4.3 დაფარება.

კარიერის დასრულებიდან დღემდე მანუტე ბოლი სუდანში საქველმოქმედო საქმიანობითა და ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებით იყო დაკავებული.



კრივის მოყვარულებს საინტერესო უიქ ენდი ჰქონდათ. გაიმართა რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლა, რომელთაგან, პირველ რიგში, აღსანიშნავია მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონის **ჰასიმ რაჰმანის** (46-7-2, 37 KO) დიდ რინგზე დაბრუნება. სუპერმძიმე წონაში ორგზის ჩემპიონმა ნიუ იორკში დაამარცხა **შენონ მილერი** (16-4, 9KO). ამისთვის მან ოთხი რაუნდი იკმარა. ასე რომ, ამერიკელის დაბრუნება წარმატებულად უნდა ჩაითვალოს.

ბრძოლა 10-რაუნდიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რეფერი **ჩარლი ფიტჩმა** ცალმხრივი ჩხუბი მილერის გუნდის თხოვნით მეოთხე რაუნდში შეწყვიტა. ამ ოთხი რაუნდის განმავლობაში რაჰმანმა ოთხჯერ მოასწრო მოწინააღმდეგის ნოკდაუნში გაგზავნა.

პირველი სერიოზული შეტევა ჰასიმმა მეორე რაუნდში განახორციელა. მილერმა გაძლო, მაგრამ ბოლო დარტყმებმა ჯერ მარცხნიდან და შემდეგ მარჯვნიდან ბრძოლა უაზრობად აქცია.

რაჰმანი მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდა, მაგრამ ერთ-ორ მძიმე დარტყმას ისიც ვერ გაექცა, რის შემდეგაც მარჯვენა თვალს მხოლოდ სანახევროდ ახელდა.

ეს ყოფილი ჩემპიონის მეორე ბრძოლა იყო მას შემდეგ, რაც 2008 წელს უკრაინელ **ვლადიმერ კლიჩკოს** შეებრძოლა და მეშვიდე რაუნდში დამარცხდა. რაჰმანმა მთელი გასული წელი ფორმის აღდგენას შეალია და დიდ კრივში კიდევ ერთი ტიტულის მოსაპოვებლად დაბრუნდა.

კრივი

# რაჰმანი მოგებით დაბრუნდა

ჰასიმი სერიოზულად მოემზადა მილერთან ბრძოლისთვის. განსაკუთრებით კარგად მას მარცხნიდან დარტყმა გამოსდიოდა - ოთხიდან სამი ნოკდაუნი მეტოქეს სწორედ მარცხენა ხელით მიაყენა.

*„ძალიან თავდაჯერებული ვიყავი. ჩემი სეკუნდანტებისთვის რომ დამეჯერებინა, ასეთ ძლიერ დარტყმებს არ გავატარებდი. საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დასრულდა და მომავალ თვეში კიდევ ერთ ბრძოლას ჩავატარებ. დარწმუნებული ვარ, შემდეგ ჯერზე უკეთ გამოვალ"*, - განაცხადა გამარჯვებულმა.

კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში საკრივო საღამო გაიმართა, რომლის მთავარი მოვლენა იყო საშუალოწონოსანთა ტურნირის - The Super Six-ის მორიგი შეხვედრა ამერიკელ **ანდრე უორდსა** (22-0-0, 13 KO) და მის თანამემამულე **ალან გრინს** (29-2-0, 20 KO) შორის. უორდმა 12-რაუნდიან ბრძოლაში დამაჯერებელ გამარჯვებას მიაღწია - მან ყველა რაუნდი თავის სასარგებლოდ დაასრულა. სამივე მსაჯმა ერთნაირი ანგარიშით - 120:108 მიანიჭა გამარჯვება უორდს, რომელმაც გაინაღდა The Super Six-ის ნახევარფინალში ბრძოლის უფლება.

რაც შეეხება გრინს (ეს ამერიკელი მძიმე ნოკაუტის გამო ტურნირიდან გავარდნილ **ჯერმეინ ტეილორს** ცვლის), ეს მისთვის პირველი ბრძოლა იყო. მას კიდევ რჩება ნახევარფინალში გასვლის შანსი თუ მესამე ტურში **მიკელ კესლერს** დაამარცხებს. უორდი მესამე ტურში **ანდრე დირელს** შეხვდება.


მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, უროლოგი
ალექსანდრე ხელაია გაგიწევთ
კვალიფიციურ სამედიცინო დახმარებას შემდეგ დაავადებებზე:

- ერექციის დარღვევები
- სქესობრივი გზით გადამდები ინფექციები
- პროსტატიტი, პროსტატის ადენომა
- შარდის შეუკავებლობა
- უშვილობა

მის: თბილისი, M 300 არაგველი, წინანდლის ქ. 9.
უროლოგიის ეროვნული ცენტრი, IV სართული.
69 91 96, 855 30 50 51 www. tqveniurologi.ge


მძლეოსნობა

# ბოლტის ფავორიტი არგენტინაა

როგორც ჩანს, სამხრეთ აფრიკაში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე ფეხბურთის მოყვარულთა დიდი ნაწილი **დიეგო მარადონას** არგენტინის ნაკრებს გულშემატკივრობს. გამონაკლისს არც სპორტის ვარსკვლავები წარმოადგენენ. ასე მაგალითად, ლეგენდარული ჩეხი ჰოკეისტი, მეკარე **დომინიკ ჰაშეკი** სწორედ ამ მრავალრიცხოვან ჯგუფს განეკუთვნება. *„ჩეხეთი სამხრეთ აფრიკაში არ თამაშობს, ამიტომაც რჩება მხოლოდ არგენტინა"*, - ამბობს „დომინატორი".

არგენტინელი გულშემატკივრების სიაში შედის მსოფლიოს უსწრაფესი ადამიანი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სირბილში **უსაინ ბოლტი**. *„ძალიან მომწონს მარადონას გუნდის*



*თამაში*, - განაცხადა ბრწყინვალე იამაიკელმა სპრინტერმა. - *არ მგონია მას სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიონ ისეთმა გუნდებმა, როგორებიც არიან: ინგლისი, გერმანია, იტალია და სხვები. ყველაზე სახიფათო მეტოქეებად ბრაზილიასა და ესპანეთს მივიჩნევ. მიუხედავად ამისა, ფსონს არგენტინაზე ჩავდივარ და მინდა მან მოიგოს ჩემპიონატი.*




ფორმულა 1

# ტრაგედია წყალზე

უმძიმეს ავარიაში მოყვა ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, ფინელი **ჯეი ჯეი ლეჰტო**. ფინური პრესის ცნობით, ინციდენტი ქვეყნის სამხრეთით, ქალაქ ტამისაარის მახლობლად მოხდა. დილით ადრე კატერი, რომელშიც ლეჰტო თავის მეგობართან ერთად იმყოფებოდა, დიდი სიჩქარით შეასკდა ხიდის სვეტს.

ფორმულა 1-ის ყოფილმა პილოტმა ნეკნები მოიტეხა და თავის სერიოზული ტრავმა მიიღო, მაგრამ მაინც მოახერხა ნაპირზე დამოუკიდებლად გასვლა. კატერის მეორე მგზავრი კი დაიღუპა.- მისი სხეული ორი საათის შემდეგ მაშველებმა იპოვეს.

იმ არხში, რომელშიც კატერი მოძრაობდა, მაქსიმალური დაშვებული სიჩქარე საათში 5 კილომეტრია, თუმცა ფინეთის სანაპირო დაცვის წინასწარი შეფასებით, ლეჰტოს კატერი ინციდენტის მომენტში საათში 70 კილომეტრ სიჩქარეს ავითარებდა

ჯეი ჯეი ლეჰტო ფორმულა 1-ში 1989-94 წლებში გამოდიოდა. ის „ზაუბერისა" და „ბენეტონის" ღირსებას იცავდა. შემდეგ ფინელმა წარმატებით გააგრძელა კარიერა სპორტკარის რბოლებში და ორჯერ გაიმარჯვა „ლე მანის 24-საათიან რბოლაში". ბოლო დროს, ლეჰტო ფინურ ტელეარხ MTV3-ზე ფორმულა 1-ის რბოლებს უკეთებდა კომენტარს.

# ტრიატლონისტი ბატონი



კანადის გრან-პრის შემდეგ ევროპაში დაბრუნებულმა **ჯენსონ ბატონმა** ლონდონის ტრიატლონისთვის დაიწყო მზადება, რომელიც ბრიტანეთის დედაქალაქში აგვისტოს დასაწყისში გაიმართება. წინასწარი შეფასებით, ტურნირი 11 ათას მონაწილეს მოუყრის თავს. სპორტსმენებს მოუწევთ 1500 მეტრის გაცურვა, 40-კილომეტრიანი დისტანციის ველოსიპედით დაფარვა და 10 ათასი მეტრი სირბილი.

ბოლო წლებში „მაკლარენის" პილოტი ამ საინტერესო სტარტის მუდმივი სტუმარია და მას ფიზიკური ფორმის შენარჩუნებისთვის იყენებს.

გარდა ამისა, ლონდონის ტრიატლონი - საქველმოქმედო აქციაცაა, რომელიც მძიმე დაავადებების მქონე ბავშვებს ეხმარება. ფორმულა 1-ის მოქმედი ჩემპიონი ფონდის - „ჩაიფიქრე სურვილი" ერთ-ერთი დამაარსებელია და აქტიურ მონაწილეობას იღებს მის მუშაობაში: ერთი წლის წინ ბატონმა 20 ათასი ფუნტი შეაგროვა ფონდისთვის და ახლა ამ მაჩვენებლის გაუმჯობესებას გეგმავს. თანაც, ჯენსონს სპორტული შედეგებიც აინტერესებს.

*„შარშან ჩემს ასაკობრივ ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავე და კმაყოფილი დავრჩი*, - წერს თავის ვებგვერდზე ბრიტანელი ავტომრბოლი. - *ვფიქრობ, ეს იმას ნიშნავს, რომ 2010 წელს აქ პირველი ადგილი უნდა მოვიპოვო".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**